78
368/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

68

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1968 1

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 1

იანვარი—თებერვალი

1968 წელი

გამოცემის XV წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო

ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

ოფიციალური მასალა 3

საბჭოთა მილიციის 50 წლისთავისათვის

ვ. **შადური** — ხალხის ინტერესების მტკიცე გუშაგი 6

საბჭოთა სასამართლოს 50 წლისთავისათვის

ს. **ქაჯაია** — მართლმსაჯულების ორგანოების მუშაკთა ზეიმი 11

საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების ორგანოების 50 წლისთავისათვის

ბ. **კაციტაძე** — ნახევარი საუკუნე საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების სადარაჯოზე . . 17

მ. **კომახიძე** — საქართველოს სსრ ადვოკატურის 45 წელი 23

ოფიციალური მასალა 28

მ. **ქურდაძე** — პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის 31

ვ. **შარაშენიძე** — შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლის გამოყენება თანამედროვე პირობებში 35

ზ. **ახვლედიანი** — ლატარიის ბილეთის სამართლებრივი ბუნების საკითხისათვის . . . 41

ვ. **მაყაშვილი** — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამართლის რედაქციის მუშაობის შესახებ 43

ა. **ხოჭოლავა** — მცირე მოგონება მასწავლებელზე 50

ოფიციალური მასალა 58

თ. ვ. **წერეთელი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი . 67

მოწინავეთა პორტრეტები

ლ. **ისაკაძე** — ქართველი ადვოკატი — ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი . 73

სასამართლო კაზუსების ისტორიიდან

ფანტასტიკური პროცესი 76

მოთხრობა

შ. **გვეტაძე** — ნაპრალი 78

ინფორმაცია 88

ბიბლიოგრაფია 92

ნეკროლოგი 95

10256

СОДЕРЖАНИЕ

Официальный материал 3

К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ

В. Шадури — Непоколебимый страж интересов народа 6

К 50-ЛЕТИЮ СОВЕТСКОГО СУДА

С. Каджаиа — Праздник работников органов правосудия 11

К 50-ЛЕТИЮ ОРГАНОВ СОВЕТСКОЙ ГОСУДАРСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ

Б. Кацитадзе — Полвека на страже советской государственной безопасности 17

М. Комахидзе — 45 лет адвокатуры Грузинской ССР 23

Официальный материал 28

М. Курдадзе — Ответственность за вовлечение несовершеннолетнего в преступную деятельность 31

В. Шарашенидзе — Применение ст. 49 Кодекса законов о труде в данное время 35

З. Ахвледиани — К вопросу правового характера лотерейного билета . 41

В. Макашвили — О работе редакции права грузинской советской энциклопедии 43

А. Хочолава — Воспоминания об учителе 50

Официальный материал 58

Т. Церетели — член-корреспондент Академии наук Грузинской ССР . . 67

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ ЛЮДЕЙ

Л. Исакадзе — Адвокат грузин — кандидат искусствоведческих наук . 73

ИЗ ИСТОРИИ СУДЕБНЫХ КАЗУСОВ

Фантастический процесс 76

РАССКАЗ

Ш. Гветадзе — Трещина 78

Информация 88

Библиография 92

Некролог 95

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), **ვ. აბაშმაძე, ო. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე, ვ. მაიხურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.**

შეკ. № 480
ტირაჟი 14.000
უე 06589

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 30/I-68 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/III-68 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მილიციის მუშაკებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკის მილიციის მუშაკებს საბჭოთა მილიციის 50 წლისთავს და უსურვებენ ახალ წარმატებებს ძნელ და საპატიო მუშაობაში, რომლის მიზანია სოციალისტური მართლწესრიგის განტკიცება.

თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა მილიციამ, რომელიც ხალხის წიაღიდან გამოვიდა, განვლო ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა და მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი დიადი სამშობლოს გმირულ მატიანეში.

მუშურ-გლეხური მილიცია, მისი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები გამოიჭედა სოციალისტური მშენებლობის წლებში, ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მტერთან, ყოველნაირ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს სსრ მილიციის ბევრი მუშაკი მამაცურად იბრძოდა არმიის ნაწილებსა და შენაერთებში, გამანადგურებელ ბატალიონებში, მტკიცედ იბრძოდა ზურგის, დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ.

ჩვენი მილიციის ორგანოები განუწყვეტლივ სრულყოფენ თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, მუდამ ზრუნავენ თავიანთი იდეური და საერთო კულტურული დონის ამაღლებისათვის, და ამის მეოხებით წარმატებით იბრძვიან სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის.

თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში დამნაშავეობისა და სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც წლითიწლობით ძლიერდება, მილიციის ორგანოები ეყრდნობიან ჩვენი ფართო საზოგადოებრიობის აქტიურ მხარდაჭერასა და დახმარებას, მტკიცე კავშირს ამყარებენ საზოგადოებრიობასთან.

მიესალმებიან და ულოცავენ რა რესპუბლიკის მილიციის პირად შემადგენლობას საბჭოთა მილიციის ორგანოების 50 წლისთავს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მილიციის მუშაკები კვლავაც განუხრელად სრულყოფენ პროფესიულ ოსტატობას, ზუსტად დაიცავენ დისციპლინასა და სოციალისტურ კანონიერებას, გააფართოებენ და განამტკიცებენ ურთიერთობას მშრომელებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აღზრდიან იდეურად გამოწრთობილ, პოლიტიკურად მომწიფებულ მებრძოლებს, რომლებიც შეასრულებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ყოველ ამოცანას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაკებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ სასამართლო ორგანოების მუშაკებს სახელოვან წლისთავს—„სასამართლოს შესახებ" ლენინური დეკრეტის გამოქვეყნების 50 წლისთავს. ამ დეკრეტით გაუქმდა ძველი სასამართლო სისტემა და შეიქმნა ახალი საბჭოთა სასამართლო.

სასამართლო ორგანოების მუშაკები დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, დამნაშავეობის ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაკები, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობენ და განამტკიცებენ კავშირურთიერთობას საზოგადოებრიობასთან, მკაცრად იცავენ სოციალისტურ კანონიერებას, ამავე დროს გააძლიერებენ ბრძოლას მოქალაქეთა უშიშროების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დანაშაულებრივი ხელყოფის წინააღმდეგ, სამართალდარღვევის ასაცილებლად.

გისურვებთ ძვირფასო ამხანაგებო, დიდ წარმატებებს რთულ და საპატიო საქმიანობაში მართლმსაჯულების განსახორციელებლად და სოციალისტური მართლწესრიგის განსამტკიცებლად, მოქალაქეთა აღსაზრდელად ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა მუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოების შექმნის 50 წლისთავს.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილმა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში. მტრული კაპიტალისტური გარემოცვის ურთულეს ვითარებაში საბჭოთა ჩეკისტებმა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებთან ერთად უზრუნველყვეს სახელმწიფო უშიშროება და სსრ კავშირის ხალხების მონაპოვართა ხელშეუხებლობა.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და მტრის ზურგში ჩეკისტებმა საგმირო საქმეები ჩაიდინეს მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერების დასაცავად, გამოიჩინეს მგზნებარე პატრიოტიზმი და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ მებრძოლთა მაღალი თვისებები. პარტია და მთავრობა დიდად აფასებენ ჩეკისტების უდიდეს წვლილს მტერზე გამარჯვების საქმეში.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, რომელთაც სათავეში უდგას კომუნისტური პარტია, ფხიზლად იცავენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და მათ დაზვერვათა მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს ჩეკისტებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მიესალმებიან და ულოცავენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა პირად შემადგენლობას ღირსშესანიშნავ თარიღს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს ჩეკისტები კვლავაც თავდადებით იდგებიან ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე, მუდამ განამტკიცებენ ურთიერთობას მშრომელთა ფართო მასებთან, ზუსტად დაიცავენ სოციალისტურ კანონიერებას, აიმაღლებენ რევოლუციურ სიფხიზლეს და უზრუნველყოფენ ჩეკისტურ ოსტატობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მილიციის 50 წლისთავისათვის

ხალხის ინტერესების საგუშაგოზე

ვ. შადური,
საქართველოს სსრ სწდს მინისტრის პირველი მოადგილე, შინაგან სამსახურის III რანგის გენერალი

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მესამე დღეს ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა საბჭოთა მილიცია, რომელიც გამარჯვებული პროლეტარიატის ერთ-ერთი პირველი შეიარაღებული რაზმი იყო.

ოქტომბრის პირმშომ — მუშურ-გლეხურმა მილიციამ ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე განვლო ბრძოლებისა და გამარჯვებათა დიადი გზა, არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი სამშობლოს გმირულ მატიანეში.

მილიციის სახელოვან იუბილეს საბჭოთა ხალხი სიხარულითა და შრომითი აქტივობის ამაღლებით შეხვდა. საბჭოთა მილიციაში ისინი ხედავენ ხალხის ერთგულ და დაუღალავ მსახურს, მშვიდობიანი შრომისა და მოქალაქეთა ინტერესების გუშაგს.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა თავიდან მოიშორა მენშევიკური ბატონობის უღელი. მეორე დღეს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ბრძანებაში ნათქვამი იყო: „რევოლუციური წესრიგი დაცული უნდა იქნას მთელი სიმკაცრით. მესაბოტაჟეები, ურჩნი და წესრიგის დამრღვევნი დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით“.

რესპუბლიკაში რევოლუციური წესრიგის დამყარების მიზნით შეიქმნა საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია.

1921 წლის 15 აპრილს გამოქვეყნებული დეკრეტით მილიციას მიენიჭა საგანგებო დანიშნულების შეიარაღებული ორგანოების მნიშვნელობა. იგი აღიჭურვა სათანადო მოვალეობებითა და უფლებებით.

მილიციის შექმნას ჩვენს რესპუბლიკაში ხელმძღვანელობდნენ კომუნისტური პარტიის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ სერგეი კიროვი, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი და სხვები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მილიციას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გადატანა მოუხდა ბანდიტებთან, ყაჩაღებთან, მესაბოტაჟეებთან. ამ პერიოდში ქვეყნის მძიმე ეკონომიურ პირობებს კიდევ უფრო აუარესებდა მენშევიკების ძირგამომთხრელი საქმიანობა, რაც მოითხოვდა მილიციისაგან მთელი ძალების მობილიზებას.

1921 წლის თებერვლიდან როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელდა ბანდიტიზმი. მილიციას ბრძოლა უხდებოდა ორგანიზებულ-პოლიტიკურ ბანდიტებთან, კონტრაბანდისტებთან ბორჩალოს, თელავის, დუშეთის, გორის, სენაკის, ოზურგეთის, ზემო სვანეთისა და სხვა მაზრებში. ხშირი იყო შეიარაღებული თავდასხმები საბჭოთა ორგანიზაციებზე, კოოპერატივებზე, საწყობებზე, დაწესებულებებსა და კერძო პირებზე. ნადგურდებოდა სახალხო დოვლათი, ფერხდებოდა რესპუბლიკის ეკონომიკის წინსვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანტიდებთან ბრძოლაში საქართველოს მილიციელებმა გმირობა და სიმამაცე გამოიჩინეს, საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაკებთან ერთად, მოკლე ვადაში ალაგმეს ჩოლოყაშვილის, სიჭინავას, მუხაშვილის, პირველის, ჯუღელისა და სხვათა ბანდების თარეში.

ჩვენი მილიციის შექმნის პირველ წლებში აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ მის რიგებში შესანიშნავი ორგანიზატორები და ჩეკისტები სიმონ ხმალაძე, ლადო სუხიშვილი, შალვა კიღურაძე, ვასილ ლაკობა, ყარამან მაღრაძე, კაპიტონ ნაჭყეპია და მრავალი სხვა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს მილიციის სახელოვან ტრადიციებს.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესის დამთავრების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ძირითად ამოცანად იქცა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის განხორციელება. ამ პერიოდში მილიციას უკვე ჰქონდა რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება, რამაც დიდად შეუწყო ხელი მის ორგანიზაციულ სრულყოფას. ამ პერიოდში მილიციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა რევოლუციური წესრიგის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების, მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვა, ბრძოლა დამნაშავეობასთან, ზრუნვა საბჭოთა დეკრეტების განუხრელად გატარებისათვის.

ომის მძიმე წლებში საქართველოს მილიციის პირადი შემადგენლობის უმრავლესობა ფრონტზე გაიწვიეს, ხოლო ისინი, რომლებიც მილიციის საგუშაგოზე დარჩნენ კეთილსინდისიერად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. უძნელეს პირობებში თავდადებით ებრძოდნენ ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს, პანიკიორებს, დეზერტირებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს, ყველა იმათ, ვინც ხელს უშლიდა ზურგში მშვიდობიან ცხოვრებას.

დედაქალაქის მილიციის ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი დივიზიონის მთელი პირადი შემადგენლობა მოხალისედ წავიდა ფრონტზე. მისი ადგილი დაიკავეს ქალებმა, რომლებმაც კეთილსინდისიერი მუშაობით ხალხის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს. მთიანი რაიონების მილიციის თითქმის ყველა მუშაკი იარაღით ხელში ებრძოდა კავკასიონის უღელტეხილთან ფაშისტურ ურდოებს.

ფრონტზე წასულმა მილიციის მუშაკებმა უმაგალითო გმირობა, თავდადება და მამაცობა გამოიჩინეს. მთავრობის დავალებათა ღირსეულად შესრულებისა და მამაცობის გამოჩენისათვის მოსკოვისა და ლენინგრადის მილიცია დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით.

ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლაში ბევრი მილიციელი მამაცთა სიკვდილით დაეცა, ბევრი — ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს და კვლავ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა რიგებში ჩადგა.

დღეს ჩვენს რიგებში მუშაობს ოთხი საბჭოთა კავშირის გმირი — ვ. ლურსმანაშვილი, ა. პირმისაშვილი, მ. ჯაფარიძე, ა. გურგენიძე, საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე დგას ბევრი იმათგანი, ვინც ბრძოლა დაიწყო მოსკოვსა და სტალინგრადთან, სევასტოპოლთან და კავკასიასთან და დაამთავრა ომი ფაშისტური გერმანიის დედაქალაქ ბერლინში.

სამამულო ომის წლებში ყველაზე ნათელი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა მილიციისა და ხალხის ერთიანობამ და კავშირმა. შინსახკომის ტერიტორიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილებებთან არსებულმა გამანადგურებელმა ბატალიონებმა, რომლებიც მშრომელებისაგან იყო შედგენილი და რომლებსაც მილიციის ორგანოები ხელმძღვანელობდნენ, უდიდესი როლი შეასრულეს ზურგის განმტკიცებისა და მტრის მზვერავებისა და მედესანტეების უვნებელყოფის საქმეში.

საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ორი ხუთწლედის განმავლობაში, აღადგინა ომის მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობა. ამ გმირულ შრომაში საბჭოთა ხალხს ყოველთვის მხარში ედგა ადამიანთა უფლებების, დოვლათისა და რევოლუციური წესრიგის ერთგული გუშაგი.

მილიციის სამმართველო, მთელი პირადი შემადგენლობა ყოველდღიურად გრძნობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მთავრობის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მხარდაჭერასა და ზრუნვას. ბოლო წლებში გატარდა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მილიციის ორგანოების მატერიალური ბაზის განმტკიცების, მუშაკების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მარტო 1966 და 1967 წლებში მილიციაში პარტიული საგზურებით მოვიდა ბევრი მუშაკი, რომლებიც სამსახურის მაღალი პასუხისმგებლობით შესრულების მაგალითს იძლევიან.

პარტიის და მთავრობის მზრუნველობას მილიციის პირადი შემადგენლობა გაორკეცებული ენერგიით და დაუღალავი სამსახურით პასუხობს.

სამინისტროს ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მილიცია აღჭურვილი იყოს კრიმინალისტიკისა და ოპერატიული ტექნიკის უახლესი მიღწევებით, დამნაშავეობასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდებით.

მილიციის ორგანოების დარაზმულობამ და საზოგადოებასთან კავშირის განმტკიცებამ, რესპუბლიკაში დანაშაულის შემცირების სტაბილური ტენდენცია შექმნა. ეს უპირველეს ყოვლისა განაპირობა ხულიგნობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის გაძლიერებამ და რესპუბლიკაში დამნაშავეობის, მართლწესრიგის დარღვევის მიმართ შეურიგებლობისა და საზოგადებრივი გაკიცხვის ატმოსფეროს შექმნამ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რესპუბლიკის 1800-ზე მეტ დასახლებულ პუნქტში ბოლო ორი წლის განმავლობაში არ მომხდარა წესრიგის დარღვევის მნიშვნელოვანი შემთხვევა.

კაპიტალიზმის ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში დანაშაული ქრონიკულად მატულობს. მხოლოდ ფინანსური მაქინაციებისათვის 1966 წელს დაპატიმრებულია 17 ათასზე მეტი კაცი. სისხლიანი ბიზნესი (მკვლელობა, ბანდიტიზმი) დანაშაულობის 80 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ჩადენილი მძიმე ბოროტმოქმედების 65 პროცენტზე მეტი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში გაუხსნელია. დანაშაულის დაუსჯელობა და მიჩქმალვა ხელისუფალთა და ბოროტმოქმედთა ფარული ურთიერთობის მანკიერი მოვლენაა.

ჩვენს რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების ოპერატიული სამსახურის მდგომარეობის ღრმა, მეცნიერული ანალიზი თამამად გვაძლევს უფლებას განვაცხადოთ, რომ უახლოესი წლების მანძილზე შესაძლებელია მთლიანად აღმოიფხვრას ხულიგნობა და მის მიერ გამოწვეული ბევრი სხვა დანაშაული, რაც ერთიორად შეამცირებს მძიმე სახის ბოროტმოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციის ორგანოები პრაქტიკულ მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ისეთ დანაშაულთა თავიდან აცილებას, რომლებიც უშუალოდ მიმართულია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების წინააღმდეგ. მილიციის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას და მთავარ ამოცანას წარმოადგენს განზრახული დანაშაულის თავიდან აცილება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მაქსიმალურად გამოყენება. ოპერატიული სამსახურისა და საზოგადოებრიობის ზემოქმედების ყველა საშუალება მობილიზებულია სწორედ ამ მიზნის მისაღწევად.

საბჭოთა მილიციის 50 წლისთავს კარგი შედეგებითა და სასიხარულო მაჩვენებლებით შეხვდნენ აჭარის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, ქ. თბილისის, ქუთაისის მილიციის სამმართველოების კოლექტივები, ფოთის, სიღნაღის, დუშეთის, მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ახალციხის განყოფილებები და მილიციის სხვა ორგანოები. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ სახელმწიფო დოვლათი საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი შრომა, დასვენება, მშვიდი და ხელუხლებელი იყოს.

ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლისა და შრომის მიჯნაზე ყალიბდება მილიციის მუშაკის ახალი ტიპი, რომელშიც შეხამებულია განათლება და მაღალი მოქალაქეობრიობა, პედაგოგისა და მებრძოლის თვისებები. იგი ძნელი, რთული, მაგრამ მეტად საპატიო სამსახურია. ეს სამსახური ყველას როდი ძალუძს. იგი დიდ ფიზიკურ და სულიერ დაძაბვას მოითხოვს. მოვალეობის მაღალი გრძნობა, მამაცობა და გმირობა ჩვენი მილიციის პროფესიული თვისებები გახდა. ამის შესანიშნავი მაგალითია თიანეთელი გ. ჯაფარიძის გმირობა, რომელმაც ბანდიტებთან უთანასწორო ბრძოლაში მოქალაქეთა დიდი ჯგუფი საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა სიკვდილისაგან. მამაცი მილიციელები შაქარაშვილი და გაბისონია უშიშრად ეკვეთნენ ბოროტმოქმედებს, გმირულად დაიღუპნენ, მაგრამ მოსალოდნელი დანაშაული თავიდან აიცდინეს. რამდენი ადამიანი გამოსტაცეს მამაცმა მილიციელებმა ადიდებულ მდინარეს, მძვინვარე ხანძარს, რამდენი იხსნეს სასიკვდილო ხიფათისაგან, გამხეცებული ხულიგანისა და მოძალადისაგან. მარტო 1967 წელს საქალაქო და რაიონულმა ორგანოებმა მშრომელთა 600-ზე მეტი მადლობის გამომხატველი ბარათი მიიღეს. ხშირად ცნობილიც კი არ არის ერთგული მხსნელისა და მამაცი გუშაგის ვინაობა.

საქართველოს მოწინავე ადამიანები სულ უფრო ხშირად მოდიან ჩვენთან, გვიწვევენ თავისთან, გვეთათბირებიან, მიგვითითებენ ჩვენს ნაკლოვანებებზე, გვეხმარებიან დამნაშავეობის ხელშემწყობი პირობების გამოვლინებასა და ლიკვიდაციაში. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში ჩვენს სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს, რომლის საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობენ პროფესორი ბ. ფურცხვანიძე, მწერალი ნ. დუმბაძე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. პაპინაშვილი და რესპუბლიკის სხვა მოწინავე ადამიანები.

ინსტიტუტთან არსებული სექციები ღრმა ანალიზს უკეთებენ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, გვაწვდიან რეკომენდაციებს დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად, ატარებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

საბჭოთა ადამიანი დიდ პატივს სცემს თავის მილიციას. მშრომელებს არ სურთ შეურიგდნენ ხულიგნობას, მუქთახორობას, ლოთობას, თავაშვებულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას. ათასობით მუშა, მოსამსახურე ჩადგა სახალხო რაზმელთა რიგებში და მილიციასთან ერთად ეწევა შეურიგებელ ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, ვისაც არა სურს დაემორჩილოს სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. ჩვენი ქვეყანა ამაყობს თავისი მილიციის ძნელი, მაგრამ საპატიო შრომით და დიდად აფასებს მას. სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში დამსახურებისათვის მთავრობამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა საქართველოს მილიციის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი საქართველოს მილიცია თვალისჩინივით უფრთხილდება ხალხის ნდობასა და სიყვარულს. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ჩვენი პარტიის საპროგრამო მოთხოვნები დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციისათვის და უზრუნველყოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი რესპუბლიკაში.

საბჭოთა სასამართლოს 50 წლისთავისათვის

მართლმსაჯულების მუშაკთა ზეიმი

ს. ჟაჯაია,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

1917 წლის 24 ნოემბერს გამოქვეყნდა ლენინის მიერ შემუშავებული № 1 დეკრეტი სასამართლოს შესახებ. ამ ისტორიულ დოკუმენტით ლიკვიდირებული იქნა ბურჟუაზიული სასამართლო სისტემა. ძველ სასამართლო სისტემასთან ერთად გაუქმდა სასამართლო გამომძიებელთა აპარატიც. სისხლის სამართლის საქმეების წინასწარი გამოძიება ერთპიროვნულად დაეკისრათ ადგილობრივ მოსამართლეებს. ამავე დროს დაკავებისა და სამართალში მიცემის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად ეს გადაწყვეტილებები უნდა დაედასტურებინა ადგილობრივ სასამართლოს კოლეგიური დადგენილებით.

დეკრეტი ითვალისწინებდა ახალი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას პირდაპირი, დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე. ასეთი არჩევნების ჩატარებამდე საქმეებს იხილავდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რაიონული, სამაზრო, საქალაქო და საგუბერნიო საბჭოები. საბჭოებშივე ადგენდნენ მსაჯულების სიებს და განსაზღვრავდნენ სესიებზე მათი გამოცხადების რიგს.

ფრონტებზე ადგილობრივ სასამართლოებს სისხლის სამართლის საქმეების გადასაწყვეტად ირჩევდნენ ლეგიონის საბჭოები, ხოლო სადაც ეს საბჭოები არ იყო, ლეგიონის კომიტეტები.

დეკრეტის შესაბამისად შეიქმნა მუშათა და გლეხთა რევოლუციური ტრიბუნალები თავმჯდომარისა და ექვსი მსაჯულის შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ დაუნდობელი ბრძოლა ეწარმოებინათ კონტრრევოლუციური ძალების, სახალხო ქონების დატაცების, საბოტაჟისა და სხვა დანაშაულთა წინააღმდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე 1921 წლის 22 მარტის, 15 აპრილისა და 26 ივლისის დეკრეტით გაუქმდა სენატის, პალატის, სხვა დაწესებულებათა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტები, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედი ოლქის სასამართლოები მათთან არსებული დაწესებულებებითა და თანამდებობით, აგრეთვე მომრიგებელი სასამართლო დაწესებულებებით.

საქართველოს რევკომმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა დებულებები საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოს და რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ.

დებულებით განისაზღვრა სახალხო მოსამართლეთა რიცხვი, მაზრების ტერიტორია, სასამართლო დაიყო უბნებად, გადაწყვეტილ იქნა სხვა ორგანიზაციული საკითხებიც. დებულებაში ხაზგასმული იყო, რომ მოსამართლეს უნდა ეხელმძღვანელა სოციალისტური მართლშეგნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლეს საკასაციო ინსტანციად მიჩნეულ იყო სახალხო მოსამართლეთა საბჭო. სახალხო სასამართლოებისა და სახალხო მოსამართლეთა საბჭოსადმი კონტროლი ევალებოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

1923 წლის 17 სექტემბერს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც 1923 წლის სექტემბრიდან სამოქმედოდ შემოღებულ იქნა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების დებულება. ამ ნორმატიული აქტით გაუქმდა რევოლუციური ტრიბუნალების დებულება, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს დებულების მთელი რიგი მუხლები, „სახალხო მოსამართლეთა საბჭო“ ყველგან შეიცვალა „ოლქის სასამართლოთი“.

ამ დებულებით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებდა სასამართლო დაწესებულებათა შემდეგი ერთიანი სისტემა:

სახალხო სასამართლო, რომელიც შესდგებოდა მუდმივი სახალხო მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულისაგან;

ოლქის სასამართლო და საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლო.

სპეციალური კატეგორიის საქმეების განსახილველად კვლავ მოქმედებდა სამხედრო ტრიბუნალები და სახალხო სასამართლოების შრომის საქმეთა განსაკუთრებული სესიები.

პარტია უკვე იმ პერიოდში ხაზს უსვამდა სოციალისტური კანონიერების დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

ამაზე მიუთითებდა ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ წერილში „ორმაგი დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“. იგი მოითხოვდა, რომ კანონიერება ერთნაირად ყოფილიყო გაგებული მთელს რესპუბლიკაში. უფრო მეტიც, ლენინს აუცილებლად მიაჩნია ერთიანი კანონების დაწესება, არა მარტო რუსეთისათვის, არამედ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის.

საბჭოთა სასამართლო სისტემა დროთა განმავლობაში განაგრძობდა სრულყოფას.

სასამართლო სისტემის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პირველი საკავშირო აქტები სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების შესახებ.

1924 წლის 24 ოქტომბერს მიღებულ იქნა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლები. მის შესაბამისად სასამართლოს ამოცანას შეადგენს პროლეტარული რევოლუციის მონაპოვარის, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების, მართლწესრიგისა და მშრომელთა ინტერესების დაცვა.

საფუძვლებმა დაადგინეს სასამართლო დაწესებულებათა ერთიანი სისტემა და განსაზღვრეს საერთო საწყისები მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. ესენი იყო: სასამართლო საქმიანობის წარმართვა მხოლოდ მშრომელთა მიერ, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობა საბჭოების ან სხვა ორგანოების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად. ამავე დროს საფუძვლებმა საკანონმდებლო წესით განამტკიცა მოკავშირე რესპუბლიკებში ადრე დადგენილი დებულებანი, რომლებმაც გამართლება ჰპოვეს სასამართლო პრაქტიკაში. ამ დებულებას განეკუთვნებოდა შემდეგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსამართლეებად შეიძლება არჩეულ იქნან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ ნასამართლობა და უფლება აქვთ აირჩიონ და იყვნენ არჩეულნი საბჭოებში და გააჩნიათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პრაქტიკული მუშაობის სტაჟი საბჭოთა ან სხვა ორგანოებში; ყველა საქმე არსებითად განიხილება ერთ ინსტანციაში; განაჩენები და გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებული იქნეს საკასაციო წესით.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა და განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზმი, საბჭოთა სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძვლები აყვანილ იქნა კონსტიტუციურ პრინციპებამდე. კონსტიტუციის შესაბამისად მართლმსაჯულების განხორციელება წარმოებს მხოლოდ სასამართლოს მიერ; ყველა სასამართლოში საქმეთა განხილვა ხდება სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით; დაწესდა მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევითობა; სამართალწარმოება ხდება მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე, ამ ენის არ მცოდნე პირები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ თარჯიმნით და მათ უფლება აქვთ სასამართლოში გამოვიდნენ მშობლიურ ენაზე; ყველა სასამართლოში საქმეები განიხილება ღია სამსჯავრო სხდომაზე; უზრუნველყოფილია ბრალდებულის უფლება დაცვაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ძირითად კანონში იმის მითითება, რომ მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

საბჭოთა სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის საფუძვლები დაკონკრეტებული იქნა 1938 წლის 16 აგვისტოს კანონით სსრ კავშირის სასამართლო წყობილების შესახებ. ამ კანონში დასახელებულია ისეთი მნიშვნელოვანი დებულებები, როგორიცაა მართლმსაჯულების წარმართვა ყველა მოქალაქისათვის ერთიან სასამართლო საწყისებზე, განურჩევლად მათი სოციალური, ქონებრივი, ეროვნული, რასობრივი და სამსახურებრივი მდგომარეობისა. სასამართლო ორგანოების ამოცანა განსაზღვრულია ამ კანონის მეორე მუხლში. მასში ნათქვამია, რომ სასამართლოები მოვალენი არიან დაიცვან ყოველგვარი ხელყოფისაგან საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება; სსრ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებები და ინტერესები; სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების კოლმეურნეობების, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები და ინტერესები.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანები დადგა სასამართლოების წინაშე დიდი სამამულო ომის პერიოდში.

პარტიამ და მთავრობამ ომის პირველი დღეებიდანვე ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყველას, ვინც ხელს უშლიდა მტერთან წარმატებით ბრძოლის საქმეს, ფრონტზე და ზურგში წესრიგის დამყარებას. ამ ამოცანათა შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სასამართლოებმა, მათ შორის ამ წლებში შექმნილმა ტრიბუნალებმა.

ომის წლებში იუსტიციის ათასობით მუშაკი გაემართა ფრონტზე საბრძოლველად, ბევრი ნებაყოფლობით ჩაერიცხა საბჭოთა არმიის რიგებში. მათგან დიდი უმრავლესობა დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მათ შორის არიან საქართველოს იუსტიციის წარმომადგენლები: იოსავა, ადამიანი, გველესიანი, მაკარაძე, წიქარიძე, ხითარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, როყვა, სირაძე, ფალავანდიშვილი, სუმბათაშვილი, კურასკუა და ბრაგა-ლი სხვა. იუსტიციის ბევრი მუშაკი გმირულად დაეცა მტერთან ბრძოლაში — ალანია, დავლიანიძე, ქარდავა, მარგველაშვილი, კილამბერია და სხვა. კეთილი ხსოვნა მათ შესახებ არასოდეს წაიშლება ქართველ იურისტთა გულებში.

საბჭოთა სასამართლომ დიდი როლი შეასრულა მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომ პერიოდში. კიდევ მეტად იზრდება მათი მნიშვნელობა ამჟამად, როდესაც საბჭოთა ხალხი, გაშლილი ფრონტით შეუდგა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

კომუნისტური პარტია უკანასკნელ ხანს ახორციელებს ღონისძიებებს სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პარტია შეუწყნარებლად თვლის საბჭოთა კანონებიდან ოდნავ გადახვევასაც კი. სოციალისტური კანონიერების მცირეოდენი დარღვევაც დაუშვებელია სასამართლოს საქმიანობაში. სასამართლო, ხომ თვით არის მოწოდებული ებრძოლოს კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევას და ამიტომ მოვალეა იძლეოდეს კანონების უმწიკვლო და ზუსტად დაცვის მაგალითს.

სასამართლოს, ისე როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, კარგად გრძნობენ იმ დიდ მოვალეობას, რომელიც მათ აკისრიათ, პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებითა და მხარდაჭერით საქართველოს სასამართლო ორგანოებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. რესპუბლიკაში 17 პროცენტით შემცირდა ნასამართლობა, ხოლო ცალკეული სამიში საქმის დანაშაულობანი, როგორიცაა პიროვნების წინააღმდეგ მიმართული, სამეურნეო და სხვა, კიდევ უფრო მეტად შემცირდა.

მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები არ იძლევიან თვითდამშვიდების საფუძველს. ჩვენ მოვალენი ვართ კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა, მივაღწიოთ დანაშაულთა მინიმუმამდე დაყვანას და მის სრულ ლიკვიდაციას. ამას მოითხოვს ჩვენგან პარტია და მთელი საზოგადოება.

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში მაღალი მორალის, სპეტაკი და პატიოსანი ადამიანების გვერდით ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ პირებს, რომლებიც იტაცებენ სოციალისტურ საკუთრებას, ხელყოფენ მოქალაქეთა ქონებას, ადამიანის სიცოცხლეს, ეწევიან სპეკულაციას, მექრთამეობას, სჩადიან ხულიგნობას და ა. შ.

დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი მართალი იყო, როდესაც ჩვენი საზოგადოების ასეთ მავნე ელემენტებზე ამბობდა: „დადიან, სვამენ, ჭამენ, ჯერ დაუსაფლავებელნი არიან, მაგრამ ეჭვი არ არის დასამარდებიანო“.

ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ამ საქმეში აქტიურადაა ჩაბმული ფართო საზოგადოებაც. მათი მონაწილეობით აღკვეთილ იქნა სამართლის დარღვევების ფაქტები, მათ შორის მძიმე დანაშაულობანიც.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების კადრების დონე. ამის მაგალითია ჩვენი რესპუბლიკა. სასამართლო ოპერატიულ შემადგენლობიდან თითქმის ყველა უმაღლესი განათლებითაა. ისინი თავდადებით იბრძვიან მათ წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად. პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მათი შრომა და დააჯილდობა ისინი ორდენებითა და მედლებით. მათ შორის არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგები: სტურუა, კოჭლამაზაშვილი, გიორგაძე, სამხარაძე, ბაღათურია, გიგაური, შამბა, ცაგურია და სხვები.

პარტიისა და ხელისუფლების ზრუნვის გამოხატულებაა ჩვენი მუშაკების გარკვეული ნაწილისათვის დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭება. ეს წოდება დაიმსახურეს: არზიანმა, ჯაფარიძემ, ფალავანდიშვილმა, ღვინჯილიამ, ნაზაროვამ, კოხრეიძემ და სხვებმა.

აღნიშნული მაღალი ჯილდო მათ და სხვა ჩვენს მუშაკებს აღაფრთოვანებს თავიანთ კეთილშობილურ საქმიანობაში.

საბჭოთა სასამართლოს 50 წლისთავის დღეს შეუძლებელია კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ ჩვენი რესპუბლიკის იუსტიციის ყოფილი ამაგდარი მუშაკები, რომლებიც თავის დროზე არ ზოგავდნენ დროსა და ენერგიას საბჭოთა მართლმსაჯულების განმტკიცებისათვის. ესენი იყვნენ ამხანაგები: ვარძიელი, რამიშვილი, ბოლქვაძე, ანდრო და თედორე დოლიძეები, რომლებიც, სამწუხაროდ, თვითონ გახდნენ უკანონობისა და სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევის მსხვერპლნი, ხოლო შემდგომ რეაბილიტირებული იქნენ.

საქართველოში საბჭოთა სასამართლოს დაარსების პირველი დღეებიდანვე სათავეში ედგნენ გამობრძმედილი რევოლუციონერები: საშა გეგეჭკორი, გიორგი სტურუა, ამჟამად პერსონალური პენსიონერი ს. ქავთარაძე და სხვები.

იუსტიციის ძველ მუშაკთა შორის არიან ამხანაგები: ა. ჯავახია, მ. ლომიძე და ბ. ფურცხვანიძე.

ჩვენი მართლმსაჯულების ღირსეული მუშაკები არიან ამხანაგები: კერესელიძე, ხითარიშვილი, სტურუა, არავიაშვილი, სულავა, ბოსტოღანაშვილი, ისაკაძე, ღლონტი, გვათუა, არზიანი, მეგრელიშვილი, მირიმანაშვილი, სეფიაშვილი, ბაღათურია, სანდუხაძე, გიორგაძე, თევზაძე და სხვები, რომლებიც იძლევიან საუკეთესო მაჩვენებლებს თავიანთ საქმიანობაში.

მნიშვნელოვნად ამაღლდა სახალხო მსაჯულთა მომზადების დონე. არჩეულ სახალხო მსაჯულთაგან 50 პროცენტზე მეტი პარტიის წევრი და კანდიდატია, 32 პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება, ისინი აქტიურად მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში, ქმედით დახმარებას უწევენ ჩვენს ორგანოებს.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობა ჩვენგან მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობას, შრომის დისციპლინის მტკიცე დაცვას, საბჭოთა კანონებისადმი ღრმა პატივისცემას. ჩვენს დროში შეუწყნარებელია სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებისადმი უპატივცემლობა, დაუშვებელია ყველა ისეთი ქმედობა, რომელიც ზიანს აყენებს და სახელს გაუტეხს ჩვენს საზოგადოებას.

„ავითარებს რა სახელმწიფო მშენებლობის დემოკრატიულ პრინციპებს პარტია იმით ხელმძღვანელობს, — აღნიშნა პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, პარტიის XXIII ყრილობაზე,—რომ საბჭოთა ორგანოების მთელ საქმიანობას და მოქალაქეთა ფართე შემოქმედებით მონაწილეობას საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოთა კავშირის საქმეების მართვაში, საფუძვლად უნდა ედოს სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვა. საბჭოთა კანონები, რომლებიც სოციალისტური მართლწესრიგის ცხოვრებით შემოწმებული ნორმების განსახიერებაა გამოხატავენ ყველა მშრომელთა ნებას; ეს კანონები განმსჭვალულია ხალხისათვის ზრუნვით და საიმედოდ იცავს ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებას, საბჭოთა მოქალაქეების ინტერესებსა და უფლებებს". ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ სასამართლო ორგანოების მუშაკები წარმატებით შეასრულებენ ამ ამოცანებს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან ერთად თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიად საქმეში.

---

50 წელი საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების საქმიანობაზე

ბ. კაციტაძე,

საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პოლკოვნიკი

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მსოფლიოს აუწყა, რომ რუსეთის მშრომელებმა დაამხეს ექსპლოატატორული კლასები და დაიწყეს სოციალიზმის მშენებლობა.

რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუციის ძალები მტკიცედ შეკავშირდნენ, რათა შეიარაღებული აჯანყების, შეთქმულებების, ტერორისტული თავდასხმების, საბოტაჟისა და სპეკულაციის გზით დაემარცხებინათ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

ასეთ რთულ, მძიმე პირობებში საბჭოთა ხელისუფლების უპირველეს ამოცანად გადაიქცა ოქტომბრის მონაპოვარის შენარჩუნება და განმტკიცება.

„ყოველი რევოლუცია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ უნარი შესწევს თავი დაიცვას...“

საბჭოთა მთავრობის პირველი დეკრეტები მიმართული იყო სწორედ სოციალისტური სამშობლოს დაცვისა და მისი არსებობის შენარჩუნებისაკენ.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1917 წლის 20 დეკემბერს შეიქმნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა ჩვენი ქვეყნის უშიშროება მიანდეს ორგანოს, რომელიც არსებობის 50 წლის მანძილზე ნამდვილად გახდა ოქტომბრის რევოლუციის ფარი და მახვილი. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელად პარტიამ დააყენა პროფესიული რევოლუციონერი, ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლი ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკი, ადამიანი, რომელსაც ბოლშევიკის ყველა საუკეთესო თვისება ახასიათებდა. ჩეკისტური ორგანოს ხელმძღვანელ სამუშაოზე პირველივე წლებიდან იმყოფებოდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები ვ. რ. მენჟინსკი, მ. ს. ურიცკი, ი. ხ. პეტერსი, მ. ს. კედროვი, ი. კ. ქსენოფონტოვი, ვ. ა. ავანესოვი, მ. ი. ლაცისი, ი. ს. უნშლიხტი, ს. გ. ურალოვი, ი. ი. ბუიკისი და ბევრი სხვა.

შიმშილისა და ნგრევის ძნელ პირობებში, იმპერიალისტური ქვეყნების გამოცდილი მზვერავებისა და თეთრგვარდიული იატაკქვეშეთის წინააღმდეგ გაჩაღებულ თავგანწირულ ბრძოლაში ჩეკისტურმა ორგანოებმა სულ მალე დაამტკიცეს თავიანთი ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვების შესაძლებლობანი. ჩეკისტებს იმ დროისათვის არა ჰქონდათ მუშაობის გამოცდილება, არ გააჩნდათ პროფესიული განათლება, მაგრამ მტერთან შეუპოვარ ბრძოლაში მათ ამხნევებდა ლენინური პარტიის დიდი ზრუნვა და მშრომელი ხალხის მტკიცე მხარდაჭერა. განუწყვეტელი გამარჯვებების თავდები იყო რევოლუციის საქმისადმი სიყვარული, სიმართლის გრძნობა და მტკიცე დისციპლინა.

ბევრი შეთქმულება, კონტრრევოლუციური აჯანყება, ანტისაბჭოთა ორ-

10756

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაცია იქნა აღმოჩენილი, ჩაქრობილი და განადგურებული ჩეკისტური ორგანოების მიერ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე წლებში.

1918 წელს ლიკვიდირებულ იქნა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც ცნობილი ესერი-ტეროორისტი ბორის სავინკოვი ხელმძღვანელობდა და რომელიც დაკავშირებული იყო ინგლისსა და საფრანგეთის დაზვერვის ორგანოებთან. იმავე წელს უვნებელყოფილ იქნა ე. წ. „ელჩების შეთქმულება“, რომლის სათავეში ინგლისური მზვერავი ლოკარტი იდგა. მათი მიზანი იყო მოესყიდათ კრემლის დაცვა და მოეხდინათ კონტრრევოლუციური გადატრიალება.

ერთი წლის შემდეგ განადგურებულ იქნა დენიკინელთა გასამხედროებული ორგანიზაცია „ნაციონალური ცენტრი“, რომელიც უცხოელ ინტერვენტებთან მჭიდრო კავშირში 1919 წლის სექტემბრისათვის ასევე სამხედრო გადატრიალებას ამზადებდა.

უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა უშიშროების ორგანოებმა გამოამჟღავნეს და გაანადგურეს 500-მდე კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, უვნებელყვეს ათასობით ჯაშუში, დივერსანტი და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა მტერი.

სოციალისტური სახელმწიფოს უშიშროებისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა რამდენიმე ათასი საბჭოთა ჩეკისტი, მათ შორის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეები: ლენინგრადისა — ურიცკი, თურქესტანისა — ფომენკო, ნიკოლაევისა — აბაშიძე, გომელისა — ლანგი და ბევრი სხვა.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე ჩამოყალიბდა პირველი ჩეკისტური ქვეგანაყოფები, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის უკვე გამოცდილი კადრების ძმური დახმარებითა და ხელშეწყობით.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის რთულ პირობებში საქართველოში 1922 წელს ვ. ი. ლენინის პირადი დავალებით ჩამოდის ფ. ე. ძერჟინსკი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დავალება არ იყო დაკავშირებული უშუალოდ საგანგებო კომისიის მუშაობასთან, ძერჟინსკიმ თბილისსა, სოხუმსა და ზუგდიდში ყოფნის დროს გამონახა დრო ქართველ ჩეკისტებთან საუბრებისათვის, ბევრი საგულისხმო რჩევა-დარიგება მისცა მათ. ამ შეხვედრათა ცოცხალი მოწმეები, ჩვენი ორგანოების ვეტერანები ახლაც გულთბილად და პატივისცემით იხსენიებენ პირველ ჩეკისტს, მის რევოლუციურ მგზნებარებას და კომუნიზმის იდეების გამარჯვების ღრმა რწმენას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდან უცხოეთში ემიგრირებული მენშევიკური მთავრობის მესვეურები იმპერიალისტური ქვეყნების დაზვერვის ორგანოების ხელშეწყობით ცდილობდნენ გაეაქტიურებინათ ჩვენს ქვეყანაში დარჩენილი ანტისაბჭოთა, ნაციონალისტური პოლიტიკური პარტიებისა და სხვა კონტრრევოლუციური ძალების ნარჩენები.

1924 წლის აგვისტოში მათ შეძლეს საქართველოში მოეწყოთ ამბოხება, რომელიც ისტორიაში შევიდა „აგვისტოს ავანტიურის“ სახელწოდებით.

ამბოხების ხელმძღვანელები ვარაუდობდნენ უეცარი დარტყმით გაენადგურებინათ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, დაეხოცათ საბჭოების ხელმძღვანელები და ხელთ ეგდოთ ძალაუფლება. ამ საქმეში მენშევიკებს დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო ჰპირდებოდა დახმარებას ადამიანებით, მატერიალური საშუალებებითა და სამხედრო საჭურვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა ჩეკისტებმა უდიდესი თავდადება, კომუნისტური პარტიისადმი ერთგულება და ბოლშევიკური სიმტკიცე გამოიჩინეს საბჭოთა ხალხის მტრების ავანტიურისტული ამბოხების ჩაქრობაში.

ყოფილ პოლიტიკურ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს ამ დამარცხებით იმდენად მძლავრი მახვილი ჩაეცათ, რომ ამის შემდეგ ასეთი დიდი მასშტაბის ავანტიურის ცდა აღარ განმეორებულა. მაგრამ მათ მაინც არ აუღიათ ხელი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე, შესცვალეს მხოლოდ ბრძოლის ფორმა და ტაქტიკა. საბოლოოდ მიეყიდნენ რა იმპერიალისტური ქვეყნების დაზვერვებს, მენშევიკებმა მათი დახმარებით დაიწყეს საქართველოში ჯაშუშების, ემისრების და აგენტების შემოგზავნა საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებისა და ძირგამომთხრელი მუშაობის წარმოებისათვის.

ქართველი ჩეკისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ასეთი მსტოვარი თავის დროზე იქნა შეპყრობილი და უვნებელყოფილი.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობაში მოქცეულმა ხალხის მტრებმა, კარიერისტებმა და ავანტიურისტებმა დიდი ზიანი მიაყენეს როგორც სამშობლოს ინტერესებს, ისე ჩვენი ორგანოების პრესტიჟსა და ნაყოფიერ მუშაობას.

ამახინჯებდნენ რა საბჭოთა სახელმწიფოს აპარატის საქმიანობის ლენინურ პრინციპებს, ისინი ცდილობდნენ ჩეკისტური ორგანოები დაეყენებინათ პარტიაზე მაღლა, მოეწყვიტათ ისინი მშრომელი მასებისაგან, ნერგავდნენ თვითნებობას და უკანონობას.

მაგრამ, მიუხედავად დაშვებული სერიოზული შეცდომებისა და ჩავარდნებისა, სრულიადაც არ შეცვლილა საბჭოთა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სოციალისტური ბუნება. ამის მთავარ დამამტკიცებელ ფაქტორად ითვლება ის პატრიოტიზმი, თავგანწირული ბრძოლა და პროფესიულად მაღალკვალიფიციური მუშაობა, რომელიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ჩაატარეს ფაშისტური გერმანიის ჯაშუშური ორგანოების წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე და მის მსვლელობაში.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ომის წინ ჩაფუშეს ფაშისტური გერმანიის და მის მომხრეთა გეგმები — შეექმნათ სსრ კავშირში „მეხუთე კოლონა“ და მოემზადებინათ საბჭოთა ზურგის დაშლა, როგორც ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განახორციელეს. ჩეკისტებმა შეძლეს წინასწარ შეეგროვებინათ ინფორმაცია საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის მზადებისა და მისი დაწყების ვადების შესახებ.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა შექმნეს საიმედო საფარი ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პუნქტებში მტრის აგენტების შემოღწევის წინააღმდეგ. ამ საერთო ამოცანის შესრულებაში თავი გამოიჩინეს საქართველოს ჩეკისტებმაც. სასახელოა ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადმოსროლილი ყველა საპარაშუტო დესანტი დროულად იქნა შეპყრობილი და ვერც ერთმა გერმანელმა ჯაშუშმა ვერ შეძლო რაიმე ზიანი მიეყენებინა ჩვენი ქვეყნისათვის.

საქართველოს უშიშროების ორგანოებმა წარმატებით განახორციელეს ე. წ. რადიოთამაში გერმანიის დაზვერვის ორგანო „ცეპელინთან“, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა არა მარტო აგენტებისა და დივერსანტების შეპყრობა თავიანთი აღჭურვილობით, არამედ წელიწადნახევრის განმავლობაში მტრის სრული დეზორიენტირებაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლევამოსილ საბჭოთა არმიასთან ერთად ჩეკისტები იმყოფებოდნენ გმირი ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, სევასტოპოლის, სტალინგრადის, ოდესის დამცველთა რიგებში.

დიდ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა არმიის შენაერთებს უშიშროების ორგანოების მიერ შექმნილი სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფები, განსაკუთრებით რკინიგზებზე. 1942 წელს მარტში დასავლეთის ფრონტის სარდალმა, არმიის გენერალმა გ. ჟუკოვმა სთხოვა უშიშროების ორგანოებს ჩაეტარებინათ სადაზვერვო-დივერსიული ღონისძიებანი ფრონტის მთელ რიგ უბნებზე. ეს დავალება წარმატებით იქნა შესრულებული, რაც მეტად დაეხმარა ფრონტის სარდლობას საბრძოლო გეგმების განხორციელებაში.

ცენტრალური ფრონტის სარდალი არმიის გენერალი კ. როკოსოვსკი 1943 წელს ერთ-ერთ საბუთში წერდა, რომ ჩეკისტურმა შენაერთებმა კამინსკის, მატვეევის და შიხოვის ხელმძღვანელობით, რომლებმაც დაარღვიეს უნჩის და გომელის რკინიგზის კვანძების მუშაობა, დიდი დახმარება გაუწიეს ფრონტს საბრძოლო ამოცანის შესრულებაში.

შეუდარებელი გმირობისა და თავდადების მაგალითებს იძლეოდნენ ფაშისტური არმიის ზურგში შესანიშნავი საბჭოთა მზვერავები ნ. კუზნეცოვი, დ. მედვედევი, კ. ორლოვსკი, მ. პრუდნიკოვი და ბევრი სხვა.

ამჟამად შეუძლებელია იმის დათვლა, თუ რამდენი ქარხანა, ხიდი და ეშელონი იქნა გადარჩენილი აფეთქებასა და განადგურებას, რამდენი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე გადაურჩა მტრის მზაკვრულ ტყვიას, მაგრამ ერთი ცხადია — საბჭოთა ჩეკისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ დაჩქარებულიყო ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების დამსახურება დიდ სამამულო ომში. ბევრ ჩეკისტს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო ათასობით თანამშრომელი დაჯილდოებული იქნა საბჭოთა კავშირის საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წინაშე ახალი ამოცანები დაისვა.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, დასავლეთ გერმანიის და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული პოლიტიკა, მიმართული საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ, ახალი ომის კერების გაჩაღება მსოფლის სხვადასხვა კუთხეში, სუსტად განვითარებული ქვეყნების სამინაო საქმეებში ძალმომრეობით ჩარევა სულ უფრო მეტად აძლიერებს საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობას.

იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული პოლიტიკის მთავარ იარაღად ითვლებიან მათი დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანოები, რომელთა ძირგამომთხრელი საქმიანობა ამჟამად სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე გაიზარდა.

სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ გაჩაღებულ ძირგამომთხრელ მუშაობაში წარმატების მისაღწევად უცხოეთის დაზვერვის ორგანოებმა ყველა ხერხს მიმართეს, ცდილობენ შეაგროვონ საიდუმლო ინფორმაცია, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებზე, სამხედრო მრეწველობაზე, რესურსებზე, სარაკეტო-ბირთვული იარაღის ტექნიკურ-ტექნიკურ მონაცემებზე, მის განლაგებაზე. ისინი თავგამოდებით ცდილობენ ხელში ჩაიგდონ სამოქალაქო თავდაცვის და სამობილიზაციო გეგმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალისტი მზვერავები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებით, სამეცნიერო-ტექნიკური და საკვლევი ინსტიტუტების ადგილმდებარეობით, საკონსტრუქტორო ბიუროების პროფილით და მოღვაწეობით. დიდ ყურადღებას აქცევენ კარტოგრაფიული მასალების შეგროვებას, რაც ხელს შეუწყობს ჯაშუში თანამგზავრებით გადაღებული სამხედრო და სამრეწველო ობიექტების გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრას.

საყურადღებოა დასავლეთ გერმანიის დაზვერვის (ბნდ) ინსტრუქციის ასეთი ადგილი:

„სსრ კავშირის წინააღმდეგ მუშაობა დაზვერვის მნიშვნელოვანი და ურთულესი საქმიანობაა. საბოლოო მიზანია ჩვენმა წყაროებმა შეაღწიონ (იგულისხმება აგენტურა — ბ. კ.) საბჭოთა კავშირში. ამ მუშაობაში მოსალოდნელია მარცხის შემთხვევებიც, მაგრამ ამან არ უნდა შეამინოს ჩვენი თანამშრომლები, აბეზარა ბუზის მაგივრად, რომელსაც ადამიანი ერთი ადგილიდან მოიცილებს და მეორე ადგილას მიაფრინდება, ჩვენც საბჭოთა კავშირს ყოველთვის უნდა მივაფრინდეთ სულ ახალი მხრიდან“.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ხელმძღვანელობით, მოქმედებს ანტიკომუნიზმის „ერთიანი საიდუმლო ფრონტი“, რომელიც ეწევა ძირგამომთხრელ საქმიანობას პოლიტიკურ, სამხედრო-ეკონომიურ და იდეოლოგიურ დარგებში.

ორი წლის წინათ, როდესაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ჯაშუშური მუშაობისთვის დააკავეს ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის დიპლომატთა ჯგუფი, იმის მაგივრად, რომ მათს ხელისუფლებს დაეგმოთ ასეთი ბინძური საქმიანობა, პირიქით, ამერიკის სენატის სპეციალური კომისიის ოფიციალურ რეზოლუციაში აღინიშნა, საიდუმლო ინფორმაციის შეგროვება დიპლომატიური წარმომადგენლების პირდაპირი მოვალეობაა. სენატის კომისიამ უსაყვედურა თავისი მოსკოვის საელჩოს მზვერავებს გაუბედობა და სიმხდალე და მოუწოდა გაეაქტიურებინათ თავიანთი სადაზვერვო საქმიანობა.

უცხოეთის დაზვერვის ორგანოები ასევე გულდასმით ამზადებენ თავიანთ აგენტებს ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშური საქმიანობის საწარმოებლად. საინტერესოა იმ დავალების ტექსტი, რომელიც აგენტმა-კომერსანტმა ვინიმ მიიღო ინგლისის სადაზვერვო ცენტრისაგან.

„როდესაც ხელიდან ხელში მასალებს გადასცემ, არ შეიძლება ხელის გაწვდა. გადაცემის დროს მჭიდროდ უნდა შეეხო იმ ადამიანს ვისაც მასალებს აწვდი. შეხვედრის ადგილი უნდა შეამოწმო წინდაწინ და იქ არასდროს არ უნდა მიხვიდე ადრე ან დაგვიანებით. თუ ის პიროვნება არ მოვიდა, არ შეიძლება იხეტიალო შეხვედრის ადგილას ან მის ახლომახლო. საჭიროა გასცილდე იქაურობას და ხელმეორედ დაბრუნდე მხოლოდ წინასწარ მოლაპარაკებული დროის მონაკვეთში“...

იმპერიალისტური ქვეყნების მმართველ წრეებს ეტრგად ესმით, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან პირდაპირ შეჯახება, შეიარაღებული ძალით კაპიტალიზმის რესტავრაციის ცდა გამოიწვევს საპასუხო ზომებს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხრივ, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს სარაკეტო-ბირთვული ომი, რომელიც უდიდეს საშიშროებას უქმნის იმპერიალისტური ქვეყნებისა და საერთოდ კაპიტალიზმის არსებობას. ამიტომ იმპერიალისტები ცდილობენ მოძებნონ ახალი გზები და საშუალებები სოციალისტური ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკისა და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ძლიერებისა და ავტორიტეტის შესარყევად.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ფართო მასშტაბით წარმოებს ჩვენს წინააღმდეგ იდეოლოგიური დივერსიები. მისი მთავარი მიზანია საბჭოთა ადამიანების ნებისყოფის შერყევა, კომუნიზმის დიადი იდეებისადმი რწმენის დაკარგვის შთაგონება და რეაქციული იდეების თავს მოხვევის მცდელობა.

ანტიკომუნისტური პროპაგანდისათვის ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში ამჟამად გამოყენებულია ათობით და ასობით სხვადასხვა ორგანიზაცია, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები, პრესა, კინო, ტელესტუდიები და გამომცემლობები.

იდეოლოგიური დივერსიების წარმოების არა ერთი ფაქტი გამოამჟღავნეს საქართველოს ჩეკისტებმაც.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრჯერ ცდილან მტრები შეემოწმებინათ ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობის სოციალისტური ბუნება, აშკარად ისწრაფვიან გააღვივონ ჩვენს ხალხში ეროვნული ქედმაღლობა, პირფერობითა და ზედმეტი ლაქუცით აღნიშნავენ ქართული კულტურის, ისტორიის, ხალხის უპირატესობას სხვა ხალხებთან შედარებით, მაშინ როცა ასეთსავე ქათინაურებს უმეორებენ ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებსაც.

ყველაფერი ეს გათვალისწინებულია იმისათვის, რომ გამოიწვიონ ერთა შორის შუღლი, უნდობლობა და ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირის დიდ დასაყრდენს — ხალხთა მეგობრობას, რაც 50 წლის განმავლობაში სულ უფრო მტკიცდებოდა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ფხიზლად ადევნებენ თვალს საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ყოველგვარ მცდელობას, თავის დროზე ამჟღავნებენ და საბჭოთა სამსჯავროს წინაშე გამოჰყავთ ყველა, ვინც ცდილობს ხელი შეუშალოს საბჭოთა ხალხს კომუნიზმის დიადი შენობის აგებაში.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობის წარმატებებს განაპირობებს მათი ერთგულება ლენინური პარტიის იდეებისადმი, განუყრელი კავშირი მშრომელთა ფართო მასებისადმი. ყველა ჩეკისტის რთული და საპატიო შრომის დევიზია ფ. ე. ძერჟინსკის მგზნებარე სიტყვები: „გამჭრიახი გონება, მხურვალე გული და სუფთა ხელები“. ჩვენს საქმიანობაში ძალას გვმატებს ბრწყინვალე ადამიანების: რიჰარდ ზორგეს, კიმ ფილბის, ნიკოლოზ კუზნეცოვის, რუდოლფ აბელის და სხვა გამოჩენილი ჩეკისტების გმირული ბრძოლა, თავდადება და სიმამაცე სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 50 წლის იუბილეს სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ საქართველოს ჩეკისტებიც. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად რესპუბლიკის ჩეკისტთა კოლექტივი არ ზოგავს ძალასა და ენერგიას სამშობლოს უშიშროების ინტერესებისათვის.

მთელი ჩვენი შრომა, თითქმის ყოველი ღონისძიება წარმატებით ხორციელდება მხოლოდ საბჭოთა ადამიანის დახმარებით და მათთან კავშირით.

ჩეკისტები — უხილავი ფრონტის ჯარისკაცები მომავალშიც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენოს კომუნისტური საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ აღვოკატურის 45 წელი

მ. კომახიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წევრი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე 1921 წლის 7 აპრილს, რესპუბლიკის რევკომმა მიიღო შემდეგი დადგენილება: „ვინაიდან საბჭოთა სასამართლოების შემოღების შემდეგ ნაფიც-ვექილთა ინსტიტუტის არსებობა აღარ ამართლებს თავის პირდაპირ დანიშნულებას, ამიტომ საქართველოს საბჭოთა მთელ რესპუბლიკაში ნაფიც-ვექილთა ინსტიტუტი დათხოვნილად ჩაითვალოს“.[1].

ნაფიც ვექილთა ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოში დამცველთა ახალი ინსტიტუტის შემოღების საკითხი. ამის აუცილებლობა განსაკუთრებით ნათელი გახდა 1921 წლის 30 ივლისის შემდეგ, როდესაც საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა სახალხო სასამართლოს დებულება, რომელიც აწესრიგებდა საქართველოში საბჭოთა სასამართლოს მუშაობას. ბუნებრივია, დამცველთა ინსტიტუტის არ არსებობა ხელს უშლიდა მართლმსაჯულების სწორად გატარებას.

ამიტომაც იყო, რომ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 2 ნოემბრის № 15 დადგენილებით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა საბჭოსთან დაარსდა სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების დამცველთა კოლეგია.

ეს დადგენილება აწესებდა, რომ დამცველთა კოლეგიის მოქმედება მოწესრიგდებოდა იუსტიციის სახალხო კომისრის მიერ გამოცემული განსაკუთრებული დებულებით.[2].

საქართველოს ცაკის 1923 წლის 15 სექტემბრის № 61 დადგენილებით „სასამართლოს საქმეების დამცველთა შესახებ“, გაუქმდა 1922 წლის 2 ნოემბრის დადგენილება და მიღებულ იქნა დებულება სასამართლოს საქმეების დამცველთა შესახებ.

მის საფუძველზე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებთან შეიქმნა სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების დამცველთა კოლეგიები.

დებულების მე-9 პუნქტის შესაბამისად გარდა დამცველთა კოლეგიის წევრებისა, დაცვა შეეძლოთ განეხორციელებინათ მხარეთა-ბრალდებულის ან დაზარალებულის ნათესავს, სახელმწიფო დაწესებულების და საწარმოს, აგრეთვე საქართველოს პროფკავშირთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის რწმუნებამოსილ წარმომადგენელს. ამას გარდა, ბრალდებულის და დაინტერესებული

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 1921 წელი, № 39.

[2] ჟურნალი „მოამბე“, № 44, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარის თხოვნით და სასამართლოს თანხმობით, დაცვა შეეძლო განეხორციელებინა სხვა მოქალაქესაც.

დებულებით დამცველთა კოლეგიებისადმი ხელმძღვანელობა ეკისრებოდა საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს.[3]

საქართველოს ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 1 ივლისის ერთობლივი დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად დამცველთა კოლეგიებისადმი ხელმძღვანელობა ნაცვლად საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისა დაექვემდებარა საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, კერძოდ კი უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.[4].

1939 წლის 16 აგვისტოს დადგენილებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ახალი დებულება.

მანამდე ყველა მოკავშირე რესპუბლიკას თავიანთი დებულებები ჰქონდათ, ამ დროიდან კი შემოღებული იქნა ერთიანი საკავშირო დებულება. დებულების მეორე პუნქტის თანახმად ადვოკატთა კოლეგიებისადმი ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა დაკისრებული ჰქონდა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების მეშვეობით.

რესპუბლიკაში იუსტიციის სამინისტროს გაუქმებისა და იურიდიული კომისიის შექმნის შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 525 დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში მოქმედი ადვოკატთა კოლეგიების ხელმძღვანელობა დაეკისრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას.

უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა უდიდესმა ცვლილებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებამ მოითხოვა, რათა ადვოკატთა კოლეგიებისათვის შემუშავებულიყო ახალი დებულება. ამიტომ საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ 1961 წლის 27 დეკემბერს დაამტკიცა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 28 აგვისტოს ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ 1965 წლის 19 ოქტომბერს.

ამგვარად, საქართველოს სსრ ადვოკატურამ 1922 წლის 2 ნოემბრის შემდეგ სახელოვანი გზა განვლო.

ამჟამად საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიებში ირიცხება 601 ადვოკატი, მათ შორის: ქალია 142, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 299, უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს 510 კაცს. ადვოკატებს ა. პაიჭაძეს, ბ. ბარათაშვილს და უ. კაპანაძეს მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია ორი: შ. ი. გვათუა, მ. მ. ნანიკიშვილი, 601 ადვოკატიდან სამამულო ომის მონაწილეა 153 კაცი, 118 —დაჯილ-

3. საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1923 წ., № 2, გვ. 24

4 საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935 წ., № 23, გვ. 425.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებულია ორდენებით და მედლებით. ქ. თბილისის კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ქ. ა. სუხიშვილი სამამულო ომის პერიოდში ხელმძღვანელობდა პარტიზანული რაზმის „ისკრას“ დაზვერვას, რომელიც მოქმედებდა კიევის, ვინიცის, სტანისლავის ოლქებში. იგი ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექციის წევრია. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო სამეცნიერო საბჭოს პარტიზანული სექტორის ბიუროს წევრი ამხ. სუხიშვილი არჩეულია იურიდიული კონსულტაციის პარტბიუროს მდივნად, არის საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის ლექტორი და საზოგადოება „ცოდნას“ წევრი, დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით. ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება სხვა ადვოკატების მიმართაც, რომლებიც სასახელოდ იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში.

ბევრი ადვოკატი არჩეულია ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად. ასე, მაგალითად: ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე მ. მასხარაშვილი, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე ვ. ცქვიტარია, ქ. სოხუმის იურიდიული კონსულტაციის გამგე ი. შონია არჩეული არიან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. პაიჭაძე არჩეულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

76 იურიდიულ კონსულტაციიდან 11-ში კონსულტაციის გამგედ მუშაობს ქალი.

უკანასკნელ წლებში ადვოკატთა რიგებიდან პროკურატურის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებში სამუშაოდ გადაყვანილ იქნა 37 ადვოკატი, 8 ადვოკატი — მ. ბუნტური, ვ. ხუჯაძე, ვ. ბეზარაშვილი, დ. გუზიტაშვილი, გ. ჯაფარიძე, ნ. ყვარელაშვილი, ვ. სალუქვაძე და ა. შარია არჩეულ იქნენ სახალხო მოსამართლეებად.

საქართველოს ადვოკატურის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1963 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა კრებული „ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები“. ამ კრებულის გამოცემა პირველად განხორციელდა ჩვენში. რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებმა, მკითხველთა ფართო საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა მას. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვების ახალი კრებულის გამოცემისათვის.

საბჭოთა ადმინისტრაციული ორგანოები მტკიცედ იცავენ რა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესებს, მკაცრად სჯიან იმ პირებს, რომლებიც უხეშად არღვევენ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. ამასთან ერთად მტკიცედ იცავენ მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს, არ უშვებენ უდანაშაულო პირთა დასჯას, ნერგავენ მასებში საბჭოთა კანონებისადმი სიყვარულს და პატივისცემას.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში სასამართლოს, პროკურატურის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებთან ერთად, თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა ადვოკატურას.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში სასამართლოს, პროკურატურის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებთან ერთად, თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა ადვოკატურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ადვოკატთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა კანონის ღრმა ცოდნით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, ხელს უწყობს მართლმსაჯულების სწორად გატარებას. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ადვოკატები: ბ. ბარათაშვილი, გ. უგრეხელიძე, ნ. გიგინეიშვილი, ა. ჯავახია, ქ. სუხიშვილი, უ. კაპანაძე, ი. სამთელაძე, შ. გვათუა, ვლ. გაგუა, მ. გურიელიძე, მ. ხოფერია, ი. ფაღავა, გ. ლეჟავა, შ. ლეკვეიშვილი, ა. ხოჭოლავა, ს. გეწაძე, ო. ნიკოლაიშვილი, დ. ესაკია, ჯ. ბაქრაძე, ი. კაშია, ვ. ყურაშვილი, ჭ. შარეიძე, ვ. სიდამონიძე, ა. ლომინაძე, ბ. ხომერიკი, ვ. კერესელიძე, ზ. კუზნეცოვა, ს. აკირტავა, ი. შონია და სხვები.

ზოგჯერ არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატი კონკრეტული საქმის ღრმა იურიდიული ანალიზის შედეგად ამტკიცებს პირის უდანაშაულობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ იზიარებს არც წინასწარი და სამსჯავრო გამოძიება, არც უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია საკასაციო საჩივრის განხილვის დროს. ადვოკატი კი, რომელიც დარწმუნებულია თავისი პოზიციის სისწორეში, ზედამხედველობითი წესით შედგენილი საჩივრების საფუძველზე ზემდგომ სასამართლოებში აღწევს საქმის წარმოებით შეწყვეტას.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხარეში 1961 წლის 9 ოქტომბერს მოხდა ვერაგული მკვლელობა. მოქალაქე შიო შიუკაშვილის ოჯახში ამოწყვეტილ იქნა ექვსი ადამიანი, ხოლო მეშვიდე ადამიანი ბოროტმოქმედებმა მძიმედ დააზიანეს. მოკლულთა შორის სამი ბავშვი იყო. ამ საქმეზე სამართალში მიცემულების: გლახო შიუკაშვილის, ვ. სვანიძის, შ. ბაშარაულის და საშო შიუკაშვილის ინტერესებს იცავდნენ ადვოკატები: ვ. ყურაშვილი, გ. ლეჟავა გ. ხანანაშვილი და ვ. კერესელიძე. პროცესი სამ თვეს გრძელდებოდა. საქმის მასალათა ღრმა იურიდიული ანალიზის შედეგად ადვოკატები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სამართალში მიცემულები არ იმხილებიან მკვლელობაში და მოითხოვეს მათი გამართლება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1963 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით სამართალში მიცემულ ოთხივე ბრალდებულს, შეუფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

ადვოკატების საჩივრები საქართველოს სსრ პროკურატურამ და უმაღლესმა სასამართლომ არ გაიზიარეს. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში შეტანილი პროტესტის საფუძველზე განაჩენი აღნიშნულ საქმეზე გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა დამატებით გამოძიებას.

1965 წლის აგვისტოში საქართველოს სსრ პროკურატურამ წარმოებით შეწყვიტა საქმე ოთხივე ბრალდებულის მიმართ მკვლელობის ნაწილში.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურამ 1966 წლის აგვისტოში საქართველოს სსრ სსკ 187 მუხლის მესამე ნაწილით აღძრა საქმე კარლო რომანოზის ძე გოჩიტაშვილის მიმართ, რომელიც მუშაობდა ამავე რაიონის მილიციის ავტოინსპექციის საგზაო ზედამხედველ ინსპექტორად და 1966 წლის 25 აგვისტოს, დაახლოებით 23 საათზე და 30 წუთზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ქ. თბილისში, ლენინის ქუჩაზე თითქოს უმიზეზოდ დააკავა ავტომანქანის მძღოლი ვ. ინორიძე და იძულებითი წესით, ძალის გამოყენებით წარადგინა მილიციის განყოფილებაში.

წინასწარი გამოძიების სტადიიდან გოჩიტაშვილის ინტერესებს იცავდა ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოკატი ო. ნიკოლაიშვილი, რომელმაც წერილობითი შუამდგომლობა შეიტანა გამომძიებელთან და მოითხოვა გოჩიტაშვილის მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტა.

ადვოკატს შუამდგომლობაზე უარი ეთქვა და საქმე გაიგზავნა სახალხო სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ამტკიცებდა გოჩიტაშვილის უდანაშაულობას და მოითხოვდა მის გამართლებას, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1967 წლის მაისში სამართალში მიცემულ გოჩიტაშვილს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ზედამხედველობის წესით ადვოკატის მიერ შეტანილი საჩივრის საფუძველზე, 1967 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით მსჯავრდებულ კ. გოჩიტაშვილის მიმართ საქმე შეწყვიტა წარმოებით მის ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო. იგი აღდგენილ იქნა და მუშაობს თავის ადგილზე.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ადვოკატების შუამდგომლობები, თავის დროზე რომ ყოფილიყო გაზიარებული სასამართლო-პროკურატურის მიერ, დასაწყისშივე იქნებოდა აცილებული უდანაშაულო პირების დასჯა და დროის უნაყოფო დაკარგვა.

რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიების მუშაობაში რა თქმა უნდა ყველაფერი რიგზე არ არის, მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებებია, რომელთა აღმოფხვრისათვის და ადვოკატურის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები იქნება განხორციელებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა პროკურატურის, სასამართლოსა და იუსტიციის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში:

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **გიგაური** ანდრია იოსების-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

2. **მიქელაძე** ნიკოლოზ გრიგოლის-ძე — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით

1. **ბარათაშვილი** ბიძინა არჩილის-ძე — ადვოკატი, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

2. **ინოზემცევი** ნიკოლოზ დავითის-ძე — წყალტუბოს რაიონის პროკურორი.

3. **მეგრელიშვილი** ქეთევან ვასილის ასული — ლანჩხუთის რაიონული სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

1. **მირიანაშვილი** გიორგი პეტრეს-ძე — თელავის რაიონული სახალხო სასამართლოს თავჯდომარე.

2. **ნანიტაშვილი** სოლომონ სერგის-ძე — ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე.

3. **ცეცხლაძე** ნური მემედის-ძე — ქობულეთის რაიონული სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, აჭარის ასსრ.

4. **ჯინჯიხაშვილი** იაკობ მეერის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის უფროსი კონსულტანტი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. **ბალათურია** ემელიანე სილოვანის-ძე — ცხაკაიას რაიონული სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლე.

2. **ვაშაკიძე** ნადეჟდა ნესტორის ასული — ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მმართველის ბიუროს გამგე.

3. **გავაშელი** მიხეილ დავითის-ძე — ახალციხის რაიონის პროკურორის თანაშემწე.

4. **შაქრილი** აკაკი მახტის-ძე — გუდაუთის რაიონული სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი, აფხაზეთის ასსრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება:

ალხაზიშვილს მიხეილ ვიქტორის-ძეს — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

ბარამიას ალექსანდრე ისიდორეს-ძეს — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

ბარამიძეს ნინო გიორგის ასულს — თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

ბასიშვილს ზაქარია როსტომის-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსს.

ბაღათურიას დავით ისიდორეს-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ბეკოევს ალექსი ნიკოლოზის-ძეს — სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს წევრს.

ბორეიშას ექვთიმე ვლადიმერის-ძეს — ა/კ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პროკურორის უფროს თანაშემწეს.

ბოთერაშვილს გიორგი რაფიელის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების უფროს რეფერენტს.

გვათუას იპოლიტე ტარიელის-ძეს — თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

გიგაურს ანდრო იოსების-ძეს — პერსონალურ პენსიონერს.

გიგინეიშვილს ნიკოლოზ გიორგის-ძეს — თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

გიორგაძეს დავით ილიას-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

გოგუაძეს ენვერ გრიგოლის-ძეს — მახარაძის რაიონის პროკურორს.

დავითაიას ნიკოლოზ კირილეს-ძეს — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს.

თუხარელს დავით ანდრიას-ძეს — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრს.

იაკობაშვილს მიხეილ აბიათარის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის კონსულტანტს.

კანდელაკს ლიდა ოქროპირის ასულს — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორს.

კვარაცხელიას თამარ ბათლომეს ასულს — საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების უფროსს.

მაისურაძეს ვლადიმერ ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

მამულიას ბესარიონ ანდროს-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორს.

მამუჩაშვილს მიხეილ ვლადიმერის-ძეს — დუშეთის რაიონის პროკურორს.

მახარაძეს ამბროსი ამბაკოს-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საჩივრებისა და მიღების განყოფილების უფროსს.

მეზურნიშვილს თენგიზ გიორგის-ძეს — ა/კ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პროკურორის თანაშემწეს.

მირიანაშვილს ნინო გრიგოლის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ნაზარიანს ბალასან თათევოსის ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროს კონსულტანტს.

პაპიტაშვილს ვლადიმერ ვასილის-ძეს — ა/კ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს.

სამთელაძეს ივანე ილარიონის-ძეს — თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

ფალავანდიშვილს აპოლონ ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქავთარაძეს კონსტანტინე ფარნაოზის-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს.

ღვინჯილიას ვლადიმერ ნესტორის-ძეს — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

შამბას მირონ მიხეილის-ძეს — სოხუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

ჩხატარაშვილს შალვა იოსების-ძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ცქიფურიშვილს მიხეილ ვასილის-ძეს — ქუთაისის პროკურორის მოადგილეს.

ძამოევს სერგო კონსტანტინეს-ძეს — ა/კ წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტრიბუნალის წევრს.

ჭანტურიას შოთა ბეგოს-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს.

ჯავახიას აკაკი ფარნაოზის-ძეს — თბილისის კალინინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

ჯაფარიძეს სიმონ ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის განყოფილების უფროსს.

ჯინჯიხაშვილს იაკობ მეერის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან პრესებული იურიდიული კომისიის უფროს კონსულტანტს.

ჯომიდავას აკაკი ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, **1967 წლის 29 ნოემბერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის

მ. ჟურდაძე,
საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი

არასრულწლოვანზე,როგორც ფიზიკურად და გონებრივად ჯერ კიდევ მოუმწიფებელ პირზე, შესაძლებელია გავლენა იქონიონ დამნაშავე ელემენტებმა, წააქეზონ ან ჩააბან იგი დანაშაულებრივ საქმიანობაში. ამის გამო კანონმდებელი დანაშაულის დამოუკიდებელ სახედ გამოჰყოფს არასრულწლოვანის დანაშაულებრივ ქმედობაში ჩაბმას. კერძოდ რსფსრ-ს სსკ 210-ე მუხლი, ისე როგორც ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები, სრულიად სამართლიანად გამოჰყოფს ამ დანაშაულს დამოუკიდებელ შემადგენლობად.

აღნიშნული მუხლის საფუძველზე პირმა პასუხი უნდა აგოს ერთობლიობის წესით, როგორც ჩადენილი დანაშაულისათვის, ასევე არასრულწლოვანის დანაშაულში ჩაბმისათვის ე. ი. პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება როგორც ფაქტიურად მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ისე არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმასთან დაკავშირებით.

დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხის ასეთი გადაწყვეტა ხელს უწყობს პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის მართებულ შეფასებას და სერიოზული მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

საქართველოს სსრ სსკ 236-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობას არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის, თავისებურად წყვეტს პასუხისმგებლობის საკითხს ამ დანაშაულის ჩადენისათვის.

საქართველოს სსრ სსკ 236-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ან მისი ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში თუ ამ მოქმედებისათვის კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს, აგრეთვე არასრულწლოვანის დაყოლიება პროსტიტუციაზე, მათხოვრობაზე, ლოთობაზე, ნარკოტიულ ნივთიერებათა ხმარებაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენისათვის, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე ან გადასახლებით იმავე ვადით.

აღნიშნული მუხლით იმ დანაშაულს, რომელშიც წააქეზეს ან ჩააბეს არასრულწლოვანი, დაკარგული აქვს დამოუკიდებელი ხასიათი და იგი საფუძველი ხდება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედობა უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სსკ 236-ე მუხლის პირველი ნაწილით.

კანონმდებელი კონკრეტულად არ განსაზღვრავს, თუ რომელი სხვა დანაშაულისათვის აგებს პასუხს 236-ე მუხლში გათვალისწინებული ქმედობის სუბიექტი. იგი ზოგადად მიუთითებს, რომ 236 მუხლი მაშინ გამოიყენება, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც შესაბამისი დანაშაულისათვის კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებს. მაშასადამე, სხვა შესაბამისი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა ისეთ შემთხვევაში წარმოიშობა, როდესაც კანონი უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს.

ნორმის ასეთმა განსაზღვრამ აღნიშნულ დანაშაულს დაუკარგა საკუთარი, დამოუკიდებელი სახე და განუყოფლად დააკავშირა იმ დანაშაულებრივ ქმედობასთან, რომელიც ჩადენილია, დამნაშავე პირის მიერ.

საქართველოს სსრ სსკ 236-ე მუხლის გამოყენება გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის პრაქტიკული მუშაკებისათვის, რომლებიც უშუალოდ ახდენენ ჩადენილი დანაშაულისათვის პირის პასუხისგებაში მიცემას ან აფასებენ პირის ქმედობას და გამოაქვთ განაჩენი ხსენებული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

როგორც წესი, პირი პასუხისგებაში უნდა მიეცეს და პასუხი უნდა აგოს იმ დანაშაულებრივ ქმედობისათვის, რომელიც მან ჩაიდინა. მან უნდა იცოდეს, როგორ ქმედობას უკრძალავს მას კანონმდებელი.

არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა სრულიად გამოკვეთილი სახეა დანაშაულისა და არ შეიძლება ასეთი მოქმედებისათვის პირი გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს ჩადენილი აქვს სხვა დანაშაული, რომლისთვისაც კანონმდებელი ითვალისწინებს 236-ე მუხლში გათვალისწინებულ სასჯელთან შედარებით უფრო მძიმე სასჯელს.

განაჩენით დადგენილი უნდა იქნეს და კონკრეტულად უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ რა დანაშაული ჩაიდინა პირმა და, სახელდობრ, მის მიერ ჩადენილ რომელ დანაშაულებრივ ქმედობასთან დაკავშირებით იქნა მსჯავრდებული.

თუ კი პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, რომელიც უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე 236-ე მუხლი, ამ შემთხვევაში წინასწარი გამოძიებით პირი არ ეძლევა პასუხისგებაში არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმასთან დაკავშირებით და, რა თქმა უნდა, უკანასკნელი დანაშაულისათვის ვერც სასამართლოს განაჩენით იქნება მსჯავრდებული ხსენებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ამ შემთხვევაში საკითხი ეხება არა მარტო ცალკეულ პირთა დასჯას არასრულწლოვანი პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმასთან დაკავშირებით, არამედ იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარების საკითხს, რომელიც ხელს შეუწყობს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

ანგარიშგასაწევია სხვა გარემოებაც, რომელიც შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნების საფუძველი.

მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ბ-მ არასრულწლოვანი კ. ქურდობაში ჩაბა. წინასწარი გამოძიების ორგანომ ბ-ს ქმედობა დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის მეორე ნაწილით. ამ დანაშაულისათვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ექვს წლამდე. ამის გამო ბ-ს ქმედობა დამატებით აღარ დაკვალიფიცირდა 236-ე მუხლით, ე. ი. პასუხისგებაში არ მიეცა არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის.

სასამართლო სამსჯავრო გამოძიებით პირის მიერ საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით დადასტურდა, მაგრამ ხსენებული მუხლის მეორე ნაწილისათვის გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი ნიშნები არ არსებობს და სასამართლომ პირი იცნო დამნაშავედ ამავე მუხლის პირველი ნაწილით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალისწინებულ დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთ წლამდე.

ასეთ პირობებში დგება საკითხი პირის პასუხისგებაში მისაცემად მის მიერ დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმასთან დაკავშირებით, რამდენადაც 91-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს უფრო ნაკლებ სასჯელს, ვიდრე ამას ითვალისწინებს 236-ე მუხლი.

სასამართლო კი უფლებამოსილი არ არის, რომ პირი მისცეს სამართალში და გამოიტანოს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენისათვის წინასწარი გამოძიების მიერ ბრალდება არ წარდგენია. სასამართლო ვალდებულია საქართველოს სსრ სსკ 232-ე მუხლის საფუძველზე საქმე დაუბრუნოს საგამომძიებლო ორგანოებს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად და პირის პასუხისგებაში მისაცემად 236-ე მუხლით.

ანგარიშგასაწევია, რომ ცალკეულ შემთხვევებში გაურკვევლობას იწვევს აღნიშნული ნორმის რეალიზაციის საკითხი. ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკული მუშაკები შეცდომას უშვებენ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით, როდესაც საქმე ეხება დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმას.

1967 წლის 19 მაისს ქ. ქუთაისის პროკურატურამ განსახილველად გადაუგზავნა ამავე ქალაქის სახალხო სასამართლოს მოდებაძისა და სხვათა ბრალდების საქმე. მოდებაძე სრულწლოვანი იყო, ხოლო სამი სხვა ბრალდებული კი არასრულწლოვანი. მოდებაძე არასრულწლოვანებთან ერთად წინასწარ გამოძიების მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული საქართველოს სსრ სსკ 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტითა და 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის.

სახალხო სასამართლომ მოდებაძე და სხვები სამართალში მისცა წინასწარი გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდებით.

1967 წლის 8 ივლისს აღნიშნული საქმე ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო პროკურატურამ გამოითხოვა სახალხო სასამართლოდან.

წინასწარმა გამოძიებამ მოდებაძეს დამატებით წარუდგინა 236-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება, ამავე საქმეში ბრალდებულებად ცნობილ სამი არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმასთან დაკავშირებით.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1967 წლის 2 აგვისტოს განჩინებით მოდებაძე სამართალში მისცა სსკ 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტით, 150-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 236-ე მუხლით, ხოლო ყაჩაღობაში მასთან მონაწილე არასრულწლოვანები კი 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტით.

სასამართლომ საქმე კვლავ დააბრუნა დამატებით გამოძიებაში. პროკურატურის პროტესტის საფუძველზე საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც სახალხო სასამართლოს განჩინება მოდებაძის საქმეზე კანონიერად სცნო და აღნიშნული განჩინება დატოვა ძალაში.

კონკრეტულ შემთხვევაში მოდებაძის პასუხისგებაში მიცემა საქართველოს სსრ სსკ 236-ე მუხლით შეუძლებელი იყო, რამდენადაც სსკ 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიდან 15 წლამდე, ხოლო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად 236-ე მუხლით საჭიროა, რომ შესაბამისი კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებდეს პირის მიერ რეალურად ჩადენილი დანაშაულისათვის.

საინტერესოა, რომ არც სახალხო სასამართლომ, რომელმაც ორჯერ განიხილა მოდებაძისა და სხვათა საქმე და არც საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია მოდებაძისათვის უსწოროდ წარდგენილ ბრალდებას, მითუმეტეს, რომ სახალხო სასამართლოდან მოდებაძის ბრალდების საქმის უკან დაბრუნებას თავდაპირველად საფუძლად დაედო სწორედ მისთვის დამატებით 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდების წარუდგენლობა.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ სსკ 236-ე მუხლს დაკარგული აქვს დამოუკიდებელი სახე და მის რეალიზაციისათვის საჭიროა გარკვეული წინაპირობა, საქართველოს რესპუბლიკაში ამ მუხლით მსჯავრდებულ პირთა რიცხვი ერთობ მცირეა. ეს გარემოება კი მეტად შეუწყნარებელია და არ გამომდინარეობს ჩვენი კანონმდებლობის საერთო თვალსაზრისიდან.

არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა დამოუკიდებელ დანაშაულის სახეს უნდა ატარებდეს და მისი მოქმედების ხელოვნურად შეზღუდვა დაუშვებელია.

ჩვენი აზრით, პროფ. ბ. ზ. ფურცხვანიძე არასწორად განმარტავს 236-ე მუხლის შინაარსს: „უკეთუ არასრულწლოვანის წაქეზებას ადგილი ჰქონდა ისეთი დანაშაულის ჩასადენად, რომლისთვისაც კანონი უფრო მძიმე დანაშაულს ითვალისწინებს, ვიდრე ეს დადგენილია 236-ე მუხლში (ე ი. თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით), დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს არა მხოლოდ 236-ე მუხლით, არამედ აგრეთვე კოდექსის სხვა შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის წაქეზებისათვისაც“.[1]

236-ე მუხლის შინაარსი პირის პასუხისმგებლობისათვის საპირისპირო კვალიფიკაციაზე მიგვითითებს და ასეთ შემთხვევაში 236-ე მუხლის გამოყენება სწორედ რომ შეუძლებელია.

თუ კი დადასტურდება, რომ პირმა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბა არასრულწლოვანი, რაოდენ მძიმე სასჯელსაც არ უნდა ითვალისწინებდეს კანონმდებელი პირის მიერ სხვა კონკრეტულად ჩადენილ დანაშაულისათვის, სავსებით კანონზომიერია, რომ იგი პასუხისგებაში მიეცეს, როგორც ფაქტიურად ჩადენილი დანაშაულის, ასევე არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ 236-ე მუხლი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: **არასრულწლოვანის წაქეზება რაიმე დანაშაულის ჩასადენად ან მისი ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე არასრულწლოვანის დაყოლიება პროსტიტუციაზე, მათხოვრობაზე, ლოთობაზე, ნარკოტიულ ნივთიერებათა ხმარებაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე, — ისჯება თავისუფლების აღკვეთის ვადით ხუთ წლამდე ან გადასახლებით ამავე ვადით.**

საქართველოს სსრ სსკ 236-ე მუხლის რედაქციაში ასეთი ცვლილების შეტანა ხელს შეუწყობს არა მარტო პირის მიერ ჩადენილი ქმედობის სწორ კვალიფიკაციას, არამედ გარკვეულ როლს შეასრულებს აგრეთვე არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ჩადენის შემცირების საქმეში.

---

1 ბ. ფურცხვანიძე. საბჭოთა სისხლის სამართალი, თბილისი, 1966 წ. გვ. 437-438.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლის გამოყენება თანამედროვე პირობებში

ვ. შარაშენიძე

საბჭოთა ადამიანების დემოკრატიულ უფლებებს შორის მეტად დიდმნიშვნელოვანია შრომითი უფლებები, რამდენადაც სოციალისტური საზოგადოების წევრის მდგომარეობა განისაზღვრება მისი შრომით, პირადი შრომითი მიღწევებით.

მშრომელთა ამ უფლებების სადარაჯოზე დგანან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. განსაკუთრებულ როლს ამ საქმეში ასრულებენ პროფესიული კავშირები.

ამ სტატიის მიზანია გარკვეულ იქნას თანამედროვე პირობებში შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობა, მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების გაუქმებას პროფესიული კავშირის მოთხოვნით.

პროფესიული კავშირის უფლება, — მოსთხოვოს ადმინისტრაციას მუშაკთან დადებული შრომითი ხელშეკრულების გაუქმება, — პირველად საკანონმდებლო წესით შემოღებულ იქნა 1922 წელს. მანამდე მისი რეგულირება კოლექტიური ხელშეკრულებებით ხდებოდა.

49-ე მუხლი არ ითვალისწინებს ამ უფლების გამოყენების პირობებსა და საზღვრებს. იგი 20-ან წლებში უმთავრესად მიმართული იყო იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთა საქმიანობა ხელს უწყობდა კაპიტალისტური ურთიერთობის გაძლიერებას სახალხო მეურნეობაში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდის სასამართლო პრაქტიკის გაცნობა ცხადყოფს, რომ პროფესიული კავშირის ძოთხოვნით სამუშაოდან დათხოვნა მოტივირებული იყო სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, „პოლიტიკური მოსაზრებებით“, „პირადი შემადგენლობის წმენდის საჭიროებით“ და ა. შ.[1]

შემდგომ წლებში 49-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკა შეიცვალა. 1929—1930 წლებში მას უფრო შეზღუდულად იყენებდნენ — „იმ პირთა მიმართ, რომლებიც საწარმოს მშრომელთა მთელი მასის წინააღმდეგ გამოდიან“, პროფესიული კავშირების დისციპლინის ბოროტ დამრღვევთა წინააღმდეგ“ და ა. შ.[2]. აღნიშნულ მუხლს არ იყენებდნენ, როდესაც სამუშაოდან დათხოვნა შესაძლებელი იყო ე. წ. „ნორმალურ პირობებში“, ან თუ საკითხი ეხებოდა „იმ პირის შეცვლას, რომელიც არ იყო პროფკავშირის წევრი, იმ პირით, რომელიც პროფკავშირის წევრი იყო“[3], ვინაიდან ეს წევრების ნებაყოფლობითობის შელახვას ნიშნავდა.

„ნორმალურ პირობებში“ სამუშაო-

---

[1] «Практика Верховного Суда РСФСР по гражданским трудовым делам за 1925 г.», под ред. А. М. Стопани, Юриздат, М. 1926 г., стр. 8, 62, 102, 119.

[2] «Основы трудового законодательства Союза ССР и союзных республик», под ред. В. В. Шмидта. изд. «Вопросы труда», М. 1929, стр. 191—192.

[3]. იქვე გვ. 192

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან დათხოვნა გულისხმობდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლება თვით წარმოების ადმინისტრაციას შეეძლო. პროფკავშირები 49-ე მუხლს მაშინ იყენებდნენ, როდესაც მუშაკის სამუშაოზე დატოვება ზემოაღნიშნული ან სხვა მიზეზის გამო არ იყო მიზანშეწონილი, ხოლო წარმოების ადმინისტრაცია არ იღებდა სათანადო ზომებს.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული კავშირის მოთხოვნა სავალდებულო იყო და არის ადმინისტრაციისათვის. ამიტომ ამ უფლების არასწორად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1929 წლის 13 მაისის დადგენილებით ასეთი მოთხოვნის წარდგენის უფლება მიენიჭათ პროფკავშირების ორგანოებს[4], რომლებიც რაიონული მნიშვნელობისა მაინც არიან. საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს ეს უფლება არა აქვთ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების დროიდან თითქმის 20 წლის განმავლობაში 49-ე მუხლს არ იყენებდნენ. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკა არ ყოფილა გამოქვეყნებული.

ამას ჩვენი აზრით, სწორად ხსნის ლ. გინცბურგი, რომელიც აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 118-ე მუხლის (შრომის უფლება) მოქმედების პირობებში 49-ე მუხლის (რომელიც ითვალისწინებს პროფკავშირის მოთხოვნით მუშაკის დათხოვნას) გამოყენება არ იქნებოდა სწორი. შრომის უფლებებიდან პირდაპირ გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობის მდგრადობის პრინციპი[5].

ამ გარემოებამ საფუძველი მისცა ლ. გინცბურგს გამოეთქვა აზრი 49-ე მუხლის მსგავსი მუხლის მომავალ შრომის კანონთა კოდექსში შეტანის მიზანშეუწონლობის შესახებ[6].

ლიტერატურაში გამოთქმულია ლ. გინცბურგის საწინააღმდეგო აზრიც, რომლის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მთელ რიგ გარემოებათა გამო საჭიროა 49-ე მუხლის მსგავსი მუხლის შეტანა მომავალ კოდექსში. ამასთან თავიანთი შეხედულებების დასადასტურებლად მათ მოჰყავთ მეტად სუსტი არგუმენტები.

მაგალითად, ლ. მალოკოტინი აღნიშნავს, რომ გვხვდება შემთხვევები, როდესაც მუშაკი დისციპლინირებულია, შრომის შინაგანაწესს არ არღვევს, მაგრამ ყოფაცხოვრებაში უარყოფითად ხასიათდება, თუმცა მისი მოქმედება არ იწვევს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას[7].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება კონსტიტუციით მინიჭებული შრომის უფლების პრინციპის დარღვევა ისეთი მუშაკის მიმართ, რომლის მოქმედება არ იწვევს სამართლის რომელიმე დარგით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, თუნდაც მისი ქცევა არ შეეფერებოდეს კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ნორმებს, ამასთან იმ ორგანოს ინიციატივით, რომელიც სპეციალურად მოწოდებულია დაიცვას მშრომელთა შრომითი ინტერესები. ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევებში საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებების სწორად გამოყენებით არის შესაძლებელი დადებითი შედე-

4 «Известия НКТ СССР» 1929 г. № 24.

5 «Советское государство и право» 1959, № 12, стр. 82.

6. იქვე გვ. 85

7 Л. С. Малокотин, О праве профсоюзного органа требовать расторжения трудового договора, «Правоведение», 1960, № 4, стр. 129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის მიღწევა მშრომელის მორალურ გამოსწორებაში.

ყოველ შემთხვევაში, თუ მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლება მისი გარკვეული ბრალეული მოქმედების გამო აუცილებლობით არის გამოწვეული, ასეთის ინიციატორად შეიძლება გამოვიდნენ საწარმო-დაწესებ ულ ების ადმინისტრაცია, სასამართლოს ან პროკურატურის ორგანოები, ამხანაგური სასამართლოები და არა პროფესიული კავშირები.

ვერც ე. გოლოვანოვას დავეთანხმებით. მას მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ქ. პერმის ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულების სტამბის მუშაკებმა დააყენეს საკითხი პროფკომიტეტის წინაშე, რათა გაეთავისუფლებინათ სამუშაოდან სტამბის დირექტორის მეუღლე კ., რომელიც იქვე მუშაობდა და თანამდებობრივად ექვემდებარებოდა დირექტორს, ე. ი. თავის მეუღლეს. მეუღლეთა შორის სამუშაო საათებში ხშირად იმართებოდა დავა, რაც აფერხებდა წარმოების ნორმალურ მუშაობას.[8]

იქვე, სქოლიოში, ე. გოლოვანოვა მიუთითებს, რომ კ-ს სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა რსფსრ-ს სახკომსაბჭოს 1922 წლის 21 დეკემბრის დეკრეტის დარღვევა, რომლითაც აკრძალულია ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში ან საწარმოში ახლო ნათესავების მუშაობა, თუ ისინი თანამდებობრივად ექვემდებარებიან ერთმანეთს[9].

დეკრეტებზე მითითებისას ე. გოლოვანოვა სამართლიანად იკვლევს კ-ს განთავისუფლების საფუძველს, მაგრამ არასწორად მიიჩნევს, რომ ასეთ პირობებში შრომითი ხელშეკრულების დარღვევის მოთხოვნა უნდა წარადგინოს პროფესიულმა კავშირმა. ასეთ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულების გაუქმების ინიციატორად უნდა გამოვიდეს სოციალისტური კანონიერების დაცვის ზედამხედველი ორგანო — პროკურატურა.

პრაქტიკაში ცნობილია სხვა შემთხვევებიც, როდესაც პროფკავშირი მოითხოვს შრომითი ხელშეკრულების გაუქმებას, მაგალითად, როდესაც არასრულწლოვანი მუშაობს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნე და სახიფათო შრომის პირობებში. როგორც წესი, ასეთ მოთხოვნებს აყენებენ ტექნიკური ინსპექტორები, რომლებიც პროფკავშირების სახელით მოქმედებენ.

ასეთი შემთხვევები არ შეიძლება ჩაითვალოს 49-ე მუხლის გამოყენების მაგალითად, ვინაიდან აქ არ არის მუშაკის რაიმე ბრალეული მოქმედება. ტექნიკური ინსპექტორები შრომითი ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვენ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო მუშაკის შრომის პირობების გაუმჯობესება ან სხვა სამუშაოზე გადაყვანა შეუძლებელია და ასეთი მოთხოვნა თვით მუშაკის ინტერესებიდან გამომდინარეობს. შრომის კანონთა კოდექსის მე-4, მე-19 და 28-ე მუხლებში ნათქვამია, რომ ძალა არა აქვს ყველა იმ შრომის ხელშეკრულებას და შეთანხმებას, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის კანონებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით და შინაგანაწესით დადგენილ პირობებს და აუარესებს მშრომელის მდგომარეობას. დასახელებული მუხლების გამოყენების უფლება მხოლოდ პროფკავშირების პრეროგატივას კი არ შეადგენს, არამედ აქვს ყველა იმ პირს და ორგანოს, რომელიც დაინტერესებულია ამაში: თვით მუშაკს, მის მშობლებსა

---

[8] Е. А. Голованова, Увольнение по требованию профсоюзных органов, «Правоведение», 1959 г. № 3, стр. 102—105.

[9] СУ РСФСР, 1923 г. № 1, стр. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეურვეებს[10], არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, პროკურატურას, სასამართლოს და ა. შ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის დეკემბრის პლენუმმა აღნიშნა პროფკავშირების დიდი როლი სოციალისტურ მშენებლობაში, მაგრამ ამასთან ერთად მიუთითა, რომ ისინი ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ უფლებებსა და საშუალებებს შრომის კანონმდებლობის დარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ პერიოდიდან მოყოლებული ვხედავთ შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლის აქტიურად გამოყენებას. ამასთან, თუ ადრე მას იყენებდნენ რიგითი მუშაკების წინააღმდეგ, ახლა მახვილი მიმართულია საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკების წინააღმდეგ.

როგორც პრაქტიკა მოწმობს ამ მუხლმა სრულიად ახალი მნიშვნელობა მიიღო. მას იყენებენ იმ ადმინისტრაციულ-სამეურნეო მუშაკების მიმართ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით თუ უმოქმედობით უხეშად არღვევენ შრომის კანონმდებლობას, სისტემატურად არ უზრუნველყოფენ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან წარმოებაში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას, უგულებელყოფენ პროფესიული კავშირების მოთხოვნებს და ა. შ. ასე, მაგალითად[11], ლენინაბადის ავეჯის ფაბრიკის დირექტორი ი. ივანოვი სისტემატურად არღვევდა შრომის კანონმდებლობას. წარმოებაში ახალი ნორმებისა და სატარიფო თანრიგების გადასინჯვა ხდებოდა პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის მიუღებლად. დირექტორი არ ითვალისწინებდა ადგილკომის აზრს ტექნიკის უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებში. მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტისა და ტაჯიკეთის პროფსაბჭოს არაერთგზის მითითების მიუხედავად, დირექტორი მაინც განაგრძობდა შრომის კანონმდებლობის დარღვევას. ამიტომ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის მოთხოვნით ი. ივანოვი განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან[12].

განსაკუთრებით გაიზარდა 49-ე მუხლის მნიშვნელობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმისა და სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ახალ სისტემაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა მიანიჭა საწარმოებს. ბუნებრივია, გაიზარდა წარმოების ხელმძღვანელთა უფლებებიც.

ხელმძღვანელთა უფლებების გაზრდა არ ნიშნავს პროფკავშირებისა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის უფლებათა შემცირებას. ეს არ ესმის საწარმოს ზოგიერთ ხელმძღვანელს. მაგალითად, ცელინოგრადის ოლქის ესილის სარაიონო საყოფაცხოვრებო კომბინატის დირექტორი ი. ხარლამპიდი პროფკავშირების თანხმობის მიუღებლად ათავისუფლებდა სამუშაოდან

10. შრომითი უფლებაქმედუნარიანობით სარგებლობენ სულით ავადმყოფნი და ჭკუანაკლებნი, რომლებსაც აქვთ გარკვეული შრომისუნარიანობა.

11. სამწუხაროდ, მიუხედავად ანალოგიური დარღვევების ფაქტებისა საქართველოს წარმოება-დაწესებულებებში, საქართველოს პროფესიული კავშირების ორგანოები თითქმის არ იყენებენ 49-ე მუხლს, ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ მაგალითები მოვიყვანოთ სხვა რესპუბლიკის პრაქტიკიდან.

12 «Уважать советские законы», «Советские профсоюзы» 1963, № 4, стр. 1—2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა-მოსამსახურეებს, არღვევდა მეძუძური დედების უფლებებს, უშვებდა დარღვევებს შრომის ანაზღაურებაში და ა. შ., რითაც უხეშად არღვევდა შრომის კანონმდებლობას. პროფესიულ კავშირთა ცელინოგრადის საოლქო საბჭოს მოთხოვნით იგი განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან[13].

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პროფესიული კავშირის მოთხოვნა, წარდგენილი შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლის საფუძველზე, სავალდებულოა ადმინისტრაციისა და ზემდგომი სამეურნეო ორგანოსათვის. ამიტომ არასწორია იმ პროფესიული კავშირების მოქმედება, რომლებიც წარმოების ხელმძღვანელი მუშაკების სამუშაოდან დათხოვნის საკითხს შუამდგომლობის სახით უყენებენ სამეურნეო ორგანოებს. ასეთ შეცდომას ვერ ასცდა ვერც პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნო, რომელმაც, აღმოაჩინა რა შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევების ფაქტები ლვოვის ავტოსატვირთავების ქარხანაში, თხოვნით მიმართა სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს გაეთავისუფლებინა ამ ქარხნის დირექტორი სამუშაოდან. როგორც სწორად აღნიშნავენ ამ საქმესთან დაკავშირებით ე. ბოროვსკაია და რ. ლივშიცი, ამ ნორმის მნიშვნელობა მხოლოდ მოიგებდა, სამდივნოს კატეგორიული ფორმით რომ დაეყენებინა ეს საკითხი[14]. ერთ-ერთი ნიშანი, რაც განასხვავებს 49-ე მუხლს პროფკავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების უფლებათა დებულების[15] მე-14 მუხლისაგან, არის სწორედ საკითხის დასმის ფორმა.

დასახელებული დებულების მე-14 მუხლის თანახმად პროფკავშირების ადგილობრივი კომიტეტები ხელმძღვანელი მუშაკების დასჯის საკითხს სათანადო ორგანოების წინაშე აყენებენ შუამდგომლობის ფორმით და მისი საბოლოო გადაწყვეტა სამეურნეო ორგანოებზეა დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე პირობებში, შრომის კანონთა კოდექსის 49-ე მუხლის გამოყენება პროფკავშირების მიერ წარმოადგენს ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას საწარმო-დაწესებულებათა იმ ხელმძღვანელი მუშაკების მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომის კანონმდებლობას.

ამიტომ ვერ დავეთანხმებით ლ. გინცბურგის ზემომოყვანილ წინადადებას შრომის კანონთა ახალ კოდექსებში 49-ე მუხლის მსგავსი მუხლის შეტანის მიზანშეუწონლობის შესახებ. მაგრამ ვერ გავიზიარებთ ვერც ლ. მალოკოტინისა და ე. გოლოვანოვას მოსაზრებას მოქმედი მუხლის უცვლელად დატოვების თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ მუხლი, რომლის ძალითაც პროფესიულ კავშირებს მინიჭებული აქვთ უფლება მოითხოვონ ზოგიერთი მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლება, აუცილებლად შეტანილ უნდა იქნას ახალ კოდექსებში, ვინაიდან ასეთ მუხლს შეუძლია გარკვეული სამსახური გაუწიოს შრომის კანონმდებლობის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. საჭიროა მხოლოდ 49-ე მუხლის რედაქციის შეცვლა. ამ მუხლით გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ:

ა) იგი ვრცელდება მხოლოდ საწარ-

---

13 «Труд» от 28 января 1967 г.

14 «Советская юстиция», 1958, № 3, стр. 42.

15. დებულება დამტკიცებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო-დაწესებულებათა ხელმძღვანელ მუშაკებზე;

ბ) გამოყენებულ უნდა იქნას შრომის კანონმდებლობის დარღვევის და სხვა მსგავსი მოქმედებისათვის და

გ) მოთხოვნის წარდგენის უფლება აქვთ პროფესიული კავშირების ორგანოებს.

ამ მუხლის რედაქცია, ჩვენი აზრით, დაახლოებით შემდეგი უნდა იყოს:

პროფესიულ კავშირებს უფლება აქვთ მოსთხოვონ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, ან მათს ზემდგომ ორგანოს, იმ ხელმძღვანელი მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლება, რომელიც უხეშად არღვევს შრომის კანონმდებლობას, სისტემატურად არ ასრულებს კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, იჩენს ბიუროკრატიზმს და ანგარიშს არ უწევს პროფკავშირებს.

პროფკავშირის ასეთი მოთხოვნა სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის.

სასურველია კანონმდებელმა ასეთი ნორმა გაითვალისწინოს მომავალი შრომის კანონთა კოდექსის შემუშავებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატარიის ბილეთის სამართლებრივი ბუნების საკითხისათვის

ზ. ახვლედიანი

ლატარიის ბილეთის სამართლებრივი ბუნების გარკვევის საკითხი პრაქტიკამ დააყენა. უპირველეს ყოვლისა ისმება საკითხი — მიეკუთვნება თუ არა ლატარიის ბილეთი ფასიანი ქაღალდების კატეგორიას. ცივილისტურ ლიტერატურაში არის მითითება იმის შესახებ, რომ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები მიეკუთვნებიან ფასიან ქაღალდებს.[1] მაგრამ ავტორები კმაყოფილდებიან მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ ლატარიის ბილეთი ფასიანი ქაღალდია, რაიმე არგუმენტი კი ამის დასასაბუთებლად არ მოყავთ.

ეს საკითხი დაისვა კრიმინალისტების წინაშეც იმასთან დაკავშირებით, რომ ყალბი ლატარიის ბილეთით „მოგება" უნდა ჩაითვალოს თუ არა ფასიანი ქაღალდის დამზადებად. ზოგიერთი კრიმინალისტი ლატარიის ბილეთს ფასიან ქაღალდად თვლის,[2] ზოგს კი მიაჩნია, რომ ლატარიის ბილეთი ვერ ჩაითვლება სახელმწიფო ფასიან ქაღალდად, რამდენადაც ასეთი ბილეთის გაყიდვისას სახელმწიფო არ კისრულობს არავითარ საკრედიტო ვალდებულებას და ბილეთი, რომელსაც არ შეხვდა მოგება კარგავს ყოველგვარ ღირებულებას.[3]

დასმული საკითხის განხილვისას აუცილებელია იმის გარკვევა აკმაყოფილებს თუ არა ლატარიის ბილეთი იმ მოთხოვნებს, რაც ფასიან ქაღალდებს წაეყენება.

როგორც ცნობილია ფასიანი ქაღალდი არის დოკუმენტი, რომლის წარდგენა აუცილებელია მასში გამოხატული ქონებრივი უფლების განსახორციელებლად. ფასიანი ქაღალდისათვის სხვა დოკუმენტებისაგან განსხვავებით აუცილებლად დამახასიათებელია: ა) ის ყოველთვის ანიჭებს მის მფლობელს განსაზღვრულ ქონებრივ უფლებებს და ბ) ამ უფლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ფასიანი ქაღალდის წარდგენის გზით. მაშასადამე, ფასიანი ქაღალდი აუცილებლად გულისხმობს კრედიტორისა და მოვალის არსებობას. ავიღოთ მაგალითისათვის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები. უპირველეს თვით სახელწოდებაშივე (obligatio — ვალდებულებას ნიშნავს) მითითებულია, რომ საქმე გვაქვს ვალდებულებით ურთიერთობასთან. ობლიგაცია ადასტურებს სესხის არსებობას, რომლითაც მსესხებელი ვალდებულია გადაუხადოს გამსესხებელს ნასესხები თანხა და სესხის პირობებით გათვალისწინებული შემოსავალი მოგების სახით. ობლიგაციის მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს

---

[1] О. Усманов. Договор розничной купли-продажи и охрана прав покупателей. Душанбе, 1962, стр. 69. «Советское гражданское право» (Для торгово-экономических учебных заведений), М., 1961, გვ. 66 და სხვა.

[2] «Советское уголовное право», часть особенная, М., 1962 გვ. 70, და სხვა.

[3] «Советское уголовное право», часть особенная М., 1965, გვ. 97.

; **ბ. ზ. ფურცხვანიძე,** საბჭოთა სისხლის სამართალი (განსაკუთრებული ნაწილი), თბილისი, 1966, გვ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასში გამოხატული თანხა, მიუხედავად იმისა შეხვდება თუ არა მას მოგება.

თუ გამოვალთ ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიდან, უნდა ვთქვათ, რომ ლატარიის ბილეთი არ არის ფასიანი ქაღალდი. მისი მფლობელი წინასწარ არ იძენს ქონებრივ უფლებებს და ბილეთის გამომშვებს არ აღმოუცენდება რაიმე ქონებრივი ვალდებულება ბილეთის მფლობელის წინაშე. ლატარიის ბილეთის გამომშვები ვალდებულია ბილეთის მფლობელის წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბილეთს მოგება შეხვდება.

ლატარიის ბილეთის სამართლებრივი ბუნების გარკვევისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ლატარიის ბილეთი საცალო ყიდვა-გაყიდვის საგანია. ცხადია, მყიდველის მიზანი არის მომავალში შესაძლებელი მოგების მიღება. საცალო ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მყიდველს თვით ნივთი კი არ აინტერესებს, არამედ ის შემოსავალი, რომელსაც შეძენილი ნივთისაგან მომავალში მიიღებს. მოქალაქე შეიძენს რა ლატარიის ბილეთს ხდება მისი მესაკუთრე. მოგების შემთხვევაში მოგება განხილული უნდა იქნეს როგორც შემოსავალი, რომელსაც მესაკუთრე ნივთისაგან იღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამართლის რედაქციის მუშაობის შესახებ

ვ. მაყაშვილი,
ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის
სამართლის რედაქციის გამგე

თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაიშალა ინტენსიური მუშაობა პირველი მრავალტომიანი უნივერსალური ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსაცემად. ეს მუშაობა ძირითადად დარგობრივ რედაქციებში წარმოებს.

1. დარგობრივი რედაქციების უპირველეს ამოცანას შეადგენდა — შეექმნათ ტერმინების მდიდარი ფონდი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა თემატურ სიტყვანებს. თემატურ სიტყვანთა საფუძველზე თავის მხრივ შეიქმნება უნივერსალური ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთლიანი ნაკრები სიტყვანი.

იურიდიული ტერმინების შესაკრებად (ეს ტერმინები ქართული ენციკლოპედიის ტერმინთა მთელი ფონდის დაახლოებით ოთხ პროცენტს უდრის) სამართლის რედაქციაში, უპირველეს ყოვლისა, დამუშავდა უკვე არსებული უნივერსალური ენციკლოპედიები. მუშაობა დავიწყეთ მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის სიტყვანით, რომლის ყველა ტერმინი გადავიტანეთ ეგრეთწოდებულ საინფორმაციო ბარათებში. შემდეგ ამ გზით შექმნილი სამართლის კარტოთეკა შევავსეთ იმ იურიდიული ტერმინებით, რომლებიც ასახულია მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემაში, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ და მეორე გამოცემებში, ენციკლოპედიური ლექსიკონის ორტომეულსა (1963-1964 წ.წ.) და უკრაინულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (1959-1965 წ.წ.).

ამას გარდა ჩვენ გამოვიყენეთ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემის იურიდიული ტერმინების სიტყვანის პირველდაწყებითი პროექტი, რითაც აგრეთვე შეივსო სამართლის ტერმინების კარტოთეკა. შემდეგ დამუშავდა მთელი რიგი დარგობრივი ენციკლოპედიები და ლექსიკონები: სამართლებრივი ცოდნის ენციკლოპედიური ლექსიკონი (1965 წ.); „იურიდიული ლექსიკონის" ერთტომეული (1953 წ.), „იურიდიული ლექსიკონის" ორტომეული (1956 წ.); სტუჩკას რედაქციით გამოცემული „სახელმწიფოსა და სამართლის ენციკლოპედია" (1926 წ.); რუსულ-ქართული ლექსიკონი — „იურიდიული ტერმინოლოგია" (1964 წ.); შრომის სამართლის ენციკლოპედია (1963 წ.); ვოლკოვისა და ფილიპოვის რედაქციით რევოლუციამდე გამოცემული „იურიდიულ და სახელმწიფო მეცნიერებათა ლექსიკონი" და ა. შ. ამორჩევითი მეთოდით დამუშავდა ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიები, გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონი, უცხოური ენციკლოპედიები „ბრიტანიკა" და „ლარუსი". დასასრულს ლექსიკური ფონდის გასაალსებლად და თანამედროვე ტერმინების გამოსავლენად გადავათვალიერეთ ახალი სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სასწავლო პროგრამები, სასამართლო პრაქტიკის კრებულები და სხვა წყაროები.

სხვაგვარად მიმდინარეობდა მუშაობა ქართულ მასალაზე. სამართლის რედაქცია იმთავითვე დიდ ყურადღებას უთმობდა ამ მასალას, და ეს გასაგებიცაა, რადგან სწორედ ქართულ მასალასთან არის დაკავშირებული განსაკუთრებული სიძნელეები. ქართული სამართლის ისტორიის ტერმინების მთლიან დამუშავებას აქამდე არ ჰქონია სისტემატური ხასიათი, ჯერაც არა გვაქვს ისეთი დარგობრივი ლექსიკონები, რომლებშიც ენციკლოპედიურად იქნება გაშუქებული ქართული სამართლის ისტორიის საკითხები. არ მოგვეპოვება ამ მასალისადმი მიძღვნილი სპეციალური ტერმინოლოგიური ლექსიკონიც კი. ამგვარად, თუ თანამედროვე და ზოგად-ისტორიული მასალის დამუშავების გზები გაკვალულია, თუ უნივერსალურ ენციკლოპედიებსა, დარგობრივ იურიდიულ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში საკმაოდ სრულად არის ასახული თანამედროვე და ზოგად ისტორიული სამართლებრივი ტერმინები, ქართული ტერმინების სისტემატიზაციის ამგვარი ნიმუშები არ გაგვაჩნია. სწორედ ამის გამო, გვიხდებოდა პირველადი მასალის დამუშავება, ტერმინების შერჩევა სხვადასხვა წყაროებიდან და, რაც მთავარია, თვითეული ტერმინის ხვედრითი წონის დამოუკიდებლად განსაზღვრა, ამგვარად მზა ნიმუშის დაუხმარებლად უნდა გადაგვეწყვიტა საკმაოდ რთული საკითხი, რამდენად მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანშეწონილია ამა თუ იმ ტერმინის შეტანა მომავალ ენციკლოპედიაში.

ქართულ მასალასთან დაკავშირებულია სხვა სიძნელეც: რა მოცულობით უნდა შევიდეს ენციკლოპედიაში ეროვნული, კერძოდ, ჩვენი წარსულის ამსახველი მასალა? გამოითქვა აზრი, რომ ეროვნული ელემენტით გატაცებამ შეიძლება დაარღვიოს ენციკლოპედიის უნივერსალიზმი, პროვინციალიზმის იერი მისცეს მას და ა. შ. ჩვენი აზრით, ამგვარი შიში უსაფუძვლოა. ყველა ენციკლოპედიური ლექსიკონი ეროვნულ ხასიათს ატარებს. რომელი ქვეყნის ენციკლოპედიაც არ უნდა ავიღოთ, იგი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს რაც შეიძლება სრულად გააშუქოს ეროვნული მასალა. ეს გამოიხატება როგორც ამ მასალისადმი მიძღვნილი ტერმინების რაოდენობით, ისე სტატიების მოცულობითაც. ამ მხრივ არც ქართული ენციკლოპედია უნდა შეადგენდეს გამონაკლისს. სწორედ ქართული მასალა მისცემს მას განსაზღვრულ სახეს. ეს მასალა მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მკითხველისათვის, რომ იგი მთელ რიგ შემთხვევაში მას სხვა ენციკლოპედიებში ვერ იპოვის; სწორედ ამიტომაც ჩვენს ენციკლოპედიას მიმართავს როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკის, ისე უცხოელი მკითხველიც.

ამ მოსაზრებით ქართულ ენციკლოპედიაში რაც შეიძლება სრულად უნდა აისახოს ქართული სამართლის ისტორიის საკითხები. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ სამართალი წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ერის კულტურულ დონეზე. ხშირად სწორედ სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტის ანცნების განვითარების ხარისხით განსაზღვრავენ ამა თუ იმ ხალხის კულტურის განვითარების საერთო დონეს.

დაბოლოს, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მომზადებასთან დაკავშირებით ქართული სამართლის ისტორიის ტერმინების განსაზღვრული მარაგის დაგროვების გზით პირველად ეყრება საფუძველი აღნიშნული კატეგორიის ტერმინების შემდგომ ღრმად დამუშავებასა და ამ დარგში სპეციალური ენციკლოპედიური და ტერმინოლოგიური ხასიათის დარგობრივი ლექსიკონების შექმნას.

რედაქციამ გაითვალისწინა ყველა ეს გარემოება და ქართული სამართლის ისტორიის საინფორმაციო ბარათების შესადგენად მიიწვია იურიდიულ ტერმინოლოგიაზე მუშაობის გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დავით ფურცელაძე და გივი ყვანია. უნდა ითქვას, რომ მათ მეტად დიდი მუშაობა გასწიეს ტერმინების შესარჩევად: დაამუშავეს ქართული სამართლისადმი მიძღვნილი მთელი რიგი გამოკვლევები და ჩვენი წარსულის ყველა მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლი. ისინი მთლიანად როდი კრებდნენ დასახელებულ მასალებში არსებულ ტერმინებს, არამედ თავიდანვე მიმართავდნენ შერჩევის მეთოდს. ტერმინის შერჩევის კრიტერიუმად ითვალისწინებდნენ იმას, თუ რამდენად ხშირი და, მაშასადამე, მყარი იყო მისი ხმარება, ამავე დროს რამდენად განსაზღვრული იყო თვით ტერმინის შინაარსი და მისი ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარების ხანგრძლივობა. ამგვარად, ქართულ მასალაზე მუშაობის პირველივე საფეხური შემოქმედებით ელემენტებს შეიცავდა.

2. თანამედროვე და ისტორიული სამართლებრივი მასალისათვის დამახასიათებელი სიტყვა-ტერმინების დაგროვებით დამთავრდა მუშაობის მნიშვნელოვანი ეტაპი. შეიქმნა 9000-მდე საინფორმაციო ბარათი, რომლებიც შეიცავენ სამართლის სხვადასხვა დარგის ტერმინებს (ამათგან 1200 ტერმინი ქართული სამართლის ისტორიას შეეხება). ქართული ენციკლოპედიის მომზადების მეორე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ყველა ტერმინის განლაგება ცალკეული სამართლებრივი დისციპლინების მიხედვით. რედაქცია ხელმძღვანელობდა იურიდიულ მეცნიერებათა შემდეგი კლასიფიკაციით: 1. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია; 2. ქართული სამართლის ისტორია; 3. საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელმწიფოს და სამართლის ისტორია; 4. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია; 5. რომის სამართალი; 6. სახელმწიფო სამართალი (რომელიც მოიცავს როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალს); 7. ადმინისტრაციული სამართალი; 8. სამოქალაქო სამართალი (აქვეა სამეურნეო და საფინანსო სამართლის მასალებიც); 9. საოჯახო სამართალი; 10. შრომის სამართალი; 11. საკოლმეურნეო სამართალი; მიწის სამართალი; 12. სისხლის სამართალი (შრომა-გასწორების სამართლის ტერმინებითურთ); 13. კრიმინოლოგია; 14. სასამართლო წყობილება; 15. სამოქალაქო სამართლის პროცესი. არბიტრაჟი; 16. სისხლის სამართლის პროცესი; 17. კრიმინალისტიკა; 18. სასამართლო მედიცინა; სასამართლო ფსიქიატრია; 19. საერთაშორისო სამართალი (აქვეა ტერმინები, რომლებიც ეხებიან საერთაშორისო კერძო სამართალსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს). განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა სამართლის დარგის იმ მეცნიერი იურისტებისა და პრაქტიკული მუშაკებისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ სტატიებს, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აგრეთვე სტატიებს იურიდიული ინსტიტუტე-

ბის, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და იურიდიული პერიოდიკის შესახებ.

სამართლის ცალკეული დარგებისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით შეკრებილი მასალის განლაგებით გადავილდა თემატურ სიტყვანთა საბოლოო დადგენა. ბუნებრივია, მასალის გააზრება გაცილებით ადვილია, როცა ის თემატურად არის დაჯგუფებული. ამ გზით უზრუნველყოფილია ენციკლოპედიაში შესატანი ტერმინების უფრო სწორად და მიზანშეწონილად შერჩევა. ეს თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს მივიღოთ კვალიფიციური კონსულტაციები ვიწრო დარგების სპეციალისტებისაგან.

სამართლის თემატური სიტყვანის დადგენისა და ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შესატანად გათვალისწინებული ტერმინების შერჩევისათვის იურიდიული დისციპლინების ტერმინთა მთელი მასა დაყოფილი იქნა დარგებად, რომლებიც თავის მხრივ დანაწილდა ქვედარგებად. ამ გზით შეიქმნა თემატურად გაერთიანებული ბარათების ცალკეული ჯგუფები, რომლებიც მიეძღვნა უფრო კერძო საკითხებს. ამ მეთოდს ორი უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, მისი საშუალებით უფრო ადვილია შევამოწმოთ, გამოგვრჩა თუ არა რომელიმე მნიშვნელოვანი ტერმინი და მეორეც — უარი ვთქვათ იმ კერძო ტერმინებზე, რომლებიც არ მოითხოვენ დამოუკიდებელ გაშუქებას. ამას გარდა ბარათების ერთად დაჯგუფება საშუალებას გვაძლევს ამა თუ იმ ცნების დასახელებისა და დამწერლობის სხვადასხვა ვარიანტიდან ავირჩიოთ საუკეთესო. რედაქციის წინაშე იდგა ამოცანა აგვერჩია ცალკეული სამართლებრივი დისციპლინების მიხედვით დაგროვებული ტერმინების მთელი მასიდან დაახლოებით ერთი მესამედი, რაც შეადგენს 3000-მდე იურიდიულ ტერმინს, რომელთა გაშუქება გათვალისწინებულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში.

ტერმინების შერჩევისას ჩვენ გამოვდიოდით იმ საერთო წანამძღვრიდან, რომ სიტყვანში, საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისად, უნდა აისახოს სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა საკითხი, აგრეთვე მათი განვითარების ტენდენციებიც. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სამართლის ნორმატული ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას თვით მოქალაქეთა შორის, მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის, სახელმწიფო ორგანოებს შორის, სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის და ა. შ. ენციკლოპედიაში აუცილებლად უნდა აისახოს უკანასკნელი წლების განმავლობაში მიღებულ კოდექსებში შესული ახალი ტერმინები, რომლებიც საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების ახალ მხარეებს და მეთოდებს შეესაბამებიან. ეს განსაკუთრებით ეხება ახალ სამოქალაქო კანონმდებლობას, რომელმაც გააფართოვა პიროვნების სამოქალაქო უფლებათა დაცვა (მოქალაქეთა პატივისა და ღირსების დაცვა), სხვაგვარად განსაზღვრა იურიდიულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, ახლებურად გადაწყვიტა სამეურნეო სამართლის საკითხები და ა. შ. ენციკლოპედიაში უნდა შევიდეს ის ტერმინებიც, რომლებიც სახელმწიფოსა და სამართალს ახასიათებენ როგორც ზედნაშენურ კატეგორიებს. სხვათა შორის, საჭიროა საკმაოდ სრულად და ამავე დროს კრიტიკულად გავაშუქოთ სახელმწიფოსა და სამართლის დარგის ყველაზე მნიშვნელოვანი ბურჟუაზიული მიმართულებანი და სკოლები. მკითხველს მეტ-ნაკლებად მთლიანი წარმოდგენა უნდა შეექმნას ბურჟუაზიული სამართლებრივი იდეოლოგიის თანამედროვე მდგომარეობაზე და ფილოსოფიურ საფუძველზე, რომელსაც ის ეყრდნობა. ენციკლოპედიაში არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ სამართალი წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებულ სოციალური მოვლენას. მაგალითად, ამ მიმართულებით უნდა აისახოს როგორც დანაშაულობათა წარმომშობი მიზეზებისა და პირობების დადგენის, ისე მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა დამუშავებასთან დაკავშირებული სოციოლოგიური საკითხები. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში განსაზღვრული ადგილი დაეთმობა კრიმინოლოგიის მთელ რიგ ტერმინებს, რომლებსაც ბოლო დროს ინტენსიურად ამუშავებენ საბჭოთა მეცნიერი იურისტები.

დაბოლოს, ენციკლოპედიაში აუცილებლად ფართოდ უნდა აისახოს საერთო-სახალხო სახელმწიფოს განვითარების პროცესები, მისი ნორმების გადაზრდა კომუნისტური მორალის ნორმებად, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა და სხვ.

მაგრამ რით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ კონკრეტული ტერმინის სამართლის თემატურ სიტყვანში შეტანის საკითხის გადაწყვეტისას? ბუნებრივია, რომ ყველა შემთხვევისათვის არ არსებობს მათემატიკურად ზუსტი კრიტერიუმი. აუცილებელია მრავალი გარემოების გათვალისწინება, ამასთან არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ მათს ერთობლიობაში.

ენციკლოპედიაში შესატანი ტერმინების შერჩევისას მხედველობაში იყო მიღებული შემდეგი ძირითადი მომენტები: 1. მოცემული ტერმინის იდეურ-პოლიტიკური და თეორიული მნიშვნელობა; 2. განსახილველი ტერმინის პრაქტიკული მნიშვნელობა; 3. ტერმინის ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიული მნიშვნელობა (მაგალითად. წარსულში არსებული ქართული სამართლის ცნებათა სისტემისათვის); 4. ის გარემოება, თუ რამდენად ხშირად მიმართავს მკითხველი ცალკეულ ტერმინს; 5. ტერმინის სიახლე (რაც განსაკუთრებით უნდა გავითვალისწინოთ ნორმატიული აქტების გამოცემასთან დაკავშირებით); 6. უცხოური ტერმინის ხშირად ხმარება როგორც პრესაში, ისე სხვა პოპულარულ გამოცემებში, და ა. შ. დასასრულ, ტერმინების შერჩევისას ვითვალისწინებდით იმასაც, რომ ისინი გარკვეულ ურთიერთმოქმედებაში არიან ერთმანეთთან. ამიტომ ზოგჯერ მათი სიტყვანში შეტანა დამოუკიდებელი იყო იმაზე, გვაქვს თუ არა სხვა, მსგავსი შინაარსის, ან რაიმე სხვა თვალსაზრისით მასთან დაკავშირებული ტერმინი სიტყვანში. მიუხედავად ამისა, მაინც რჩება საკმაო არე ინტუიციისათვის, ერთგვარი სუბიექტივიზმისათვის, რომელიც ჩვენი მუშაობის მუდმივი თანამგზავრია.

რამდენადმე განკერძოებულად დგას მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეებისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული სტატიების საკითხი. მთელს ენციკლოპედიაში ამ საკითხის ერთნაირად გადაწყვეტისათვის საჭიროა განსაზღვრული კრიტერიუმის დადგენა. სამართლის რედაქციასთან არსებული სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს 1 აზრით ენციკლოპედიაში აუცილებლად უნდა შევიდეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ყველა ნამდვილი წევრისა და წევრ-კორესპონდენტის, აგრეთვე რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრების ბიოგრაფიები. რამდენადმე სხვა მასშტაბით უნდა ვიხელმძღვანელოთ ქართული მეცნიერების მიმართ.

სამეცნიერო საბჭოს აზრით, ენციკლოპედიაში უნდა შევიდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების ბიოგრაფიები; აგრეთვე მეცნიერების იმ დოქტორებისა და პროფესორების ბიოგრაფიები, რომელთაც მინიჭებული აქვთ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. გამონაკლისის სახით ენციკლოპედიაში შეიძლება შეტანილ იქნას იმ მეცნიერთა ბიოგრაფიები, რომლებიც, მართალია, არ აკმაყოფილებენ ზემოთ მოყვანილ პირობებს, მაგრამ თავიანთი მეცნიერული შრომებით ფართო აღიარება ჰპოვეს საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ. საბოლოოდ ამ საკითხს ცალკეული დარგობრივი რედაქციების სამეცნიერო სარედაქციო საბჭოების წინადადებათა განხილვის შედეგად გადაწყვეტს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგია.

3. თემატურ სიტყვანთა შედგენით არ შემოიფარგლება მომავალი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისთვის საძირკვლის ჩაყრა. ტერმინების შერჩევის პარალელურად გარდუვალია ცალკეულ სტატიებს შორის მასალის განაწილების საკითხი; უკვე ამ საფეხურზე ხშირად შეინიშნება იმ საკითხების წრე, რომლებიც უნდა აისახოს ამა თუ იმ ტერმინის გაშუქებისას. ამგვარად, ის ტერმინი, რომელიც ჩვენი აზრით დამოუკიდებელ გაშუქებას არ მოითხოვს, შეიძლება ამავე დროს აისახოს სხვა ტერმინის შინაარსში. ასე, მაგალითად, ტერმინები „ნატურალიზაცია“ და „დენატურალიზაცია“ (მოქალაქეობის შეძენისა თუ ჩამორთმევის სახეობანი) ჩვენ არ გამოვყავით დამოუკიდებელ ტერმინებად და გადავწყვიტეთ, რომ ისინი ასახულიყვნენ სტატიაში „მოქალაქეობის“ შესახებ. ყურადღებას იმსახურებს შემთხვევა, როცა არა გვაქვს ქართული სამართლის ისტორიის ამსახველი ტერმინის დამოუკიდებლად გაშუქების საშუალება, მაგრამ მისი მნიშვნელობა უნდა აისახოს სამართლის რომელიმე სხვა დარგის ტერმინზე დაწერილ სტატიაში. მაგალითად, რედაქციას არ ქონდა საშუალება დამოუკიდებელ ტერმინებად გამოეყო ქართულ სამართალში არსებული გამაწბილებელი სასჯელის ყველა სახეობა, მაგრამ ამავე დროს თვლიდა, რომ მათი გაშუქება ენციკლოპედიაში მაინც აუცილებელია. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ „გამაწბილებელი სასჯელის“ სტატიის ავტორმა უნდა გააშუქოს ისეთი ტერმინებიც, როგორიც არის, მაგალითად, „ლეჩაქის დახურვა“ და სხვა, ან მაგალითად „შეწყალების“ შესახებ დაწერილ სტატიაში გადმოცემულ უნდა იქნას ტერმინ „შენდობის“ მნიშვნელობაც. ეს ტერმინი ქართულ სამართალში აღნიშნავდა მეფის მიერ თავისი დიდებულისათვის ღალატის პატიებას. „ორდალებზე“ დაწერილ საერთო სტატიაში უნდა აისახოს აგრეთვე „ღვთის

---

1 ენციკლოპედიის გამოცემის მზადებასთან დაკავშირებული პრინციპული საკითხების გადასაწყვეტად დარგობრივ რედაქციებთან შექმნილია სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოები, რომლებშიც შედიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. სამართლის დარგის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოში შედიან: აკადემიკოსი ი. ს. დოლიძე (თავმჯდომარე), პროფ. გ. ზ. ინწკირველი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ა. ლილუაშვილი (სწავლული მდივანი). ვ. გ. მაყაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე); იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ვ. ყვანია, პროფ. ი. ი. სურგულაძე, იურიდ. მეცნიერებათა კანდიდატი დ. ლ. ფურცელაძე, პროფ. თ. ვ. წერეთელი, პროფ. ს. მ. ჯორბენაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალთან“ დაკავშირებული ქართული სამართლის ტერმინებიც, როგორიც არის „შანთი“, „ხრმალი“, „მდუღარე“ და სხვ.

ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი ქართული სამართლის ის ტერმინები, რომლებიც თავიანთი დასახელებითა თუ დამწერლობით ემთხვევა თანამედროვე ტერმინებს. მაგალითად, „ბრალი“, „განზრახვა“, „განაჩენი“, „განჩინება“. საკითხი იმის შესახებ, თუ რა დროიდან, ან რომელ წყაროებში გვხვდება ეს ტერმინები, როგორია მათი შინაარსი, როგორი მოდიფიკაცია განიცადეს მათ ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ყველაფერი ეს უნდა აისახოს იმ სტატიებში, რომლებიც ძირითადად მიეძღვნება ამ ტერმინების შინაარსის ახსნას თანამედროვე სამართალში. ამგვარად, ეროვნული ელემენტი გამოვლინდება არა მარტო იმ ტერმინებში, რომლებიც ქართული სამართლის ისტორიას ეხება, არამედ თანამედროვე სამართლის ტერმინების გაშუქების დროსაც [2].

4. ტერმინების შერჩევისა და თემატური სიტყვანის შედგენის პარალელურად ტარდებოდა ამ პროცესებთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა სამუშაოც. სამართლებრივი ტერმინების განხილვის დროს მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ ვრწმუნდებოდით, რომ ამა თუ იმ ტერმინს მარტო იურიდიული მნიშვნელობა როდი აქვს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება ასეთი ტერმინი გადმოსცენ არა იურისტებმა, არამედ ისტორიკოსებმა, ეკონომისტებმა, ეთნოგრაფებმა და ა. შ. ეს ტერმინები გავაერთიანეთ განსაკუთრებულ ჯგუფში. მათ შესახებ ვაცნობეთ სხვა შესაბამის რედაქციებს. ზოგჯერ შეიძლება დაისვას ამა თუ იმ ტერმინისადმი მიძღვნილი სტატიის ერთად დაწერის საკითხი იურისტების მონაწილეობით.

ცალკე ჯგუფად გამოიყო ის ტერმინებიც, რომლებსაც ადრე ქონდათ იურიდიული მნიშვნელობა, მაგრამ დღეისათვის დაკარგეს იგი. მაგალითად, შუა საუკუნეებში, ტერმინები „წიგნი“, „წერილი“ ისმარებოდა „საბუთის“, ე. ი. იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის მნიშვნელობით, ახლა კი ამ ტერმინებს, როგორც ცნობილია, სხვა მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ ეს გარემოება აუცილებლად უნდა ვაცნობოთ სახალხო განათლების რედაქციას, რათა მან სტატიებში „წიგნისა“ და „წერილის“ შესახებ გაითვალისწინოს მათი ძველი მნიშვნელობაც.

5. ენციკლოპედიის მზადების მნიშვნელოვან მომენტად ითვლება სტატიათა ტიპების დადგენა ცოდნის თვითეული დარგისათვის. ეს, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს სტატიების მოცულობის სწორად განაწილებას და, მაშასადამე, ენციკლოპედიაში მასალების თანაბრად განლაგებას. სტატიები, რომლებიც თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით ერთი ტიპის ტერმინებს ეხება, მოცულობითაც დიდად არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, თვითეული სტატიის ტიპის დადგენისათვის საორიენტაციო სქემის შემუშავება ხელს უწყობს ენციკლოპედიაში შემავალი სტატიების ერთნაირ აღნაგობას, რაც თავიდან აგვაცილებს გადმოცემის სტილის აღრევას და ენციკლოპედიას უფრო მთლიან და დასრულებულ ხასიათს მისცემს.

სამართლის დარგში დასახულია შემდეგი ტიპის სტატიები: 1. სტატიები „სამართალი“ და „სახელმწიფო“ (ყველაზე დიდი თავიანთი მნიშვნელობითა და მოცულობით, რომლებიც მთლიანად ასახავენ ჩვენთვის საინტერესო ცოდნის დარგს); 2. სტატიები, რომლებიც გააშუქებენ სამართლის ცალკეულ დარგებს (სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართალი და ა. შ.); 3. იურიდიული (მაგალითად, ძველი ქართული სამართლის) ძეგლებისადმი მიძღვნილი სტატიები; 4. სტატიები, რომლებიც ახასიათებენ მნიშვნელოვან ნორმატულ აქტებს (კონსტიტუცია, კოდექსი, საფუძვლები, დებულებები და ა. შ.); 5. სტატიები, რომლებიც მიეძღვნება როგორც თანამედროვე სამართლისა და სამართლის ისტორიის ცალკეული დარგების ძირითად ინსტიტუტებს, ისე სამართლის საკვანძო მეცნიერულ პრობლემებს; 6. სამართლის დარგის მნიშვნელოვანი მეცნიერული მიმართულებებისა და სამეცნიერო სკოლების ამსახველი სტატიები, 7. თანამედროვე სამართლის და სამართლის ისტორის ცალკეული მნიშვნელოვანი იურიდიული ცნებებისადმი მიძღვნილი სტატიები; 8. სტატიები იმ საერთაშორისო შეთანხმებებზე (კონვენციებზე), რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთაშორისო ურთიერთობებში; 9. წმინდა საცნობარო ხასიათის სტატიები, რომლებიც ცალკეული იურიდიული ცნებებისა და ტერმინების მოკლე ახსნა-განმარტებას შეიცავენ; 10. დიდი მეცნიერი იურისტებისა და იურისტი პრაქტიკოსებისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული ხასიათის სტატიები.

6. ენციკლოპედიის მომზადების პერიოდში ერთ-ერთ რთულ საკითხად ითვლება საკითხი

---

2 სხვათა შორის, ეროვნული ელემენტი გათვალისწინებული იქნება იმ შემთხვევებშიც, როცა საქართველოს სსრ ნორმატული აქტები შეიცავენ პრინციპულ თავისებურებებს. ისინი აისახება ენციკლოპედიის შესაბამის სტატიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინოლოგიის შესახებ. ზოგიერთ სხვა სპეციალისტებთან შედარებით სამართალმცოდნეები უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვინაიდან მათ ხელთ ქონდათ შედარებით არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გამოცემული საკმაოდ სრულად და საფუძვლიანად დამუშავებული რუსულ-ქართული ლექსიკონი — „იურიდიული ტერმინოლოგია". იგი საფუძვლად დაედო ჩვენს მუშაობას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ამ ლექსიკონში მოცემული ტერმინოლოგიისადმი კრიტიკულ მიდგომას. შემჩნეულ იქნა ზოგიერთი ცნების განსხვავებული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა „იურიდიულ ტერმინოლოგიასა" და „რუსულ-ქართულ ლექსიკონს" შორის. ერთმანეთისაგან განსხვავდება „იურიდიულ ტერმინოლოგიასა" და ოფიციალურ დოკუმენტებში აღნიშნული ზოგიერთი ტერმინიც. ასე,მაგალითად, კონსტიტუციაში ტერმინს „**верховный**" შეესატყვისება ქართული „უმაღლესი", ლექსიკონში კი გვთავაზობენ „უზენაესი". ტერმინი „**флаг**" კონსტიტუციაში არის „დროშა", ხოლო ლექსიკონში „ალამი" და სხვა.

ამ ტერმინების დასაზუსტებლად საჭიროა ყველა ეს განსხვავება განიხილოს სამეცნიერო-სარედაქციო საბჭომ. ყოველ შემთხვევაში, თუ ხმარებაში დამკვიდრებულია ერთი ტერმინი, მაგრამ ამავე დროს არსებობს მეორეც, რომელიც უფრო უკეთ გადმოსცემს მოცემული ცნების არსს ან უფრო მეტად არის დასაბუთებული მეცნიერული თვალსაზრისით, უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მივაკუთვნოთ. მაგრამ მკითხველი რომ არ დავაბნიოთ და ენციკლოპედიით სარგებლობა გავუადვილოთ, საჭირო იქნება ენციკლოპედიაში გავითვალისწინოთ დამკვიდრებული ტერმინიც, შიშველი მითითებებით იმ ტერმინზე, რომელსაც უპირატესობა ეკუთვნის და სადაც მოცემული იქნება სტატია.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ ტერმინოლოგიური აღრევა. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ტერმინოლოგიის ერთიანობას, უნიფიკაციას არა მარტო ერთი რედაქციის ჩარჩოებში, არამედ საერთოდ ყველა დარგობრივ რედაქციაში.

7. არანაკლებ სერიოზულია ტრანსკრიფციის საკითხი. ძალზე მნიშვნელოვანია უცხოური სახელების (პირადი და გეოგრაფიული) და უცხოური წარმოშობის ტერმინების სწორი გადმოცემა ქართულ ენაზე. ამის გადაწყვეტას შეძლებისდაგვარად საფუძვლად უნდა დაედოს ფონეტიკური პრინციპი. უნდა ვეცადოთ უცხო სიტყვა თუ სახელი ქართულად დავწეროთ ისე, როგორც მას ორიგინალში წარმოთქვამენ, მაგრამ ამავე დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ქართული ენის ბუნებას და დამკვიდრებულ ტრადიციას. რადგან ჩვენ უმეტესად ლექსიკური ფონდს რუსულ წყაროებიდან ვიღებთ, ამიტომ არსებობს რუსული ტრანსკრიფციის — როგორც შუალედური ინსტანციის ზემოქმედების საშიშროება, რამაც შეიძლება მოცემული ენის დამწერლობაში უნებლიედ შეიტანოს რუსული ენისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი თავისებურებანი. უცხოური სიტყვების ტრანსკრიფციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უნდა განიხილონ სათანადო სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოებზე, რათა გადაწყდეს ტერმინის ორიგინალში გამოთქმასთან დაახლოების საკითხი.

8. გარკვეული სიძნელე იქმნება იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგჯერ ამა თუ იმ ტერმინს სხვადასხვანაირად წერენ. ეს ხშირად ახასიათებს ქართული სამართლის ისტორიის ტერმინებს. მაგალითად, თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი „ამილახორი" ზოგიერთ დოკუმენტსა და წყაროში გვხვდება „ამირახორის" სახით. ტერმინ „მეურნეს" (მეურნეობის განმგე) გამოთქვამდნენ და წერდნენ ასეც — „მოურნე", გამაწბილებელი სასჯელის ერთ-ერთი სახეობა ერთ შემთხვევაში აღინიშნება როგორც „ვირზე შესმა", ხოლო მეორეში როგორც „ვირზე აღსმა", სამეფო კარის თანამდებობის პირი „მუქიბი" ზოგჯერ იწოდებოდა „მუქაფად" ან „მუქიფად".

ენციკლოპედიის მზადების დროს საჭიროა გადავწყვიტოთ, რომელ გამოთქმას მიეცეს უპირატესობა და რა შემთხვევებში უნდა გაშუქდეს ამა თუ იმ სახით დაწერილი ერთი და იგივე ტერმინი.

9. ყველა ენციკლოპედიაში მრავალ ტერმინს ბიბლიოგრაფია ახლავს. ისმება კითხვა, რა შემთხვევებში, და რომელი ტიპის სტატიებს სჭირდებათ ბიბლიოგრაფიის მითითება. ჩვენ საკმაოდ დასაბუთებულად არ მიგვაჩნია ის დამკვიდრებული ტრადიცია, როცა ბიბლიოგრაფია ახლავს მხოლოდ მეტად თუ ნაკლებად დიდი ზომის სტატიებს. ზოგჯერ სრულიად პატარა სტატიაც მოითხოვს ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელს. ამ შემთხვევებში საერთო ორიენტაციისათვის ენციკლოპედიაში შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ტერმინის განსაზღვრით, ხოლო იმათთვის, ვისაც აინტერესებს საკითხის უფრო სრული და ღრმად გაშუქება, საჭიროა დავურთოთ კარგად მოფიქრებული პატარა ბიბლიოგრაფია, ორი-სამი ლიტერატურული წყაროს მითითებით.

10. არსებითი და პრინციპულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა დონეზე უნდა დაიწეროს სტატიები ენციკლოპედიისათვის, ვისი ინტერესები და მოთხოვნილებანი უნდა გავითვალისწინოთ ენციკლოპედიაზე მუშაობის დროს. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნის დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვდიოდეთ საშუალო ინტელიგენტის ინტერესებიდან, სტატიები ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ ასეთ მკითხველს შეეძლოს მათი გაგება. მეორეს მხრივ, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ სპეციალისტების მთელ არმიას, კერძოდ, პრაქტიკოს-იურისტებს (მოსამართლეებს, პროკურორებს, გამომძიებლებს, ადვოკატებს, იურისკონსულტებს, ნოტარიუსებს და სხვ.), აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს. ენციკლოპედიის მომზადების დროს უნდა გავითვალისწინოთ დასახელებული ჯგუფის პრაქტიკოსი იურისტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მოთხოვნილებები. ამიტომ, ჩვენი აზრით სტატიები უნდა იწერებოდეს ერთი მხრივ ისე, რომ მისაწვდომი და გასაგები იყოს საშუალო მკითხველისათვის, ხოლო მეორე მხრივ — ისეთ მეცნიერულ, პროფესიულ დონეზე და ისეთი ცნობების გადმოცემით, რომ სტატია სასარგებლო იყოს როგორც პრაქტიკოსი-იურისტებისათვის, ისე სტუდენტებისათვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამართლის რედაქციის მუშაობა სხვადასხვა დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტში მიმდინარეობს. მჭიდრო კავშირი არსებობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორთან. რედაქცია სარგებლობს სამართლის სექტორის თანამშრომელთა ხშირი კონსულტაციებით. მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე სექტორი სხვა აქტიურ დახმარებასაც გვიწევდა. განზე არ დარჩენილა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიც. მისი ცალკეული თანამშრომლები რედაქციას ეხმარებიან თავიანთი რჩევით. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატების მ. ლეკვეიშვილისა და ნ. სამადაშვილის მონაწილეობა ჩვენს მუშაობაში. ისინი მრავალი თვის მანძილზე ყოველდღიურ უანგარო დახმარებას უწევდნენ რედაქციას. კერძოდ, დიდია მათი დამსახურება სამართლის სიტყვანის პროექტის პირველადი ვარიანტის მომზადებაში, რომელიც ხელნაწერის უფლებით დაიბეჭდა და გასაცნობად დაეგზავნათ სამეცნიერო დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ სპეციალისტებს. ამ უკანასკნელთ შენიშვნები და წინადადებები დაგვეხმარება განსახილველად წარდგენილი თემატური სიტყვანის დაზუსტებასა და გაუმჯობესებაში.

სიტყვანის შემდგომ დამუშავებასა და დახვეწასთან ერთად სამართლის რედაქცია შეუდგა წერილების მომზადებას ენციკლოპედიის პირველი ტომისათვის. ამ მიზნით რედაქციამ მიიწვია მთელი რიგი ავტორები, უმთავრესად მეცნიერი იურისტები. სამართლის რედაქციის გარშემო თანდათანობით უნდა ჩამოყალიბდეს ავტორთა აპრობირებული, საიმედო კოლექტივი, რომელიც შეძლებს სათანადო მეცნიერულ დონეზე და უნივერსალური ენციკლოპედიის მოთხოვნათა ნათლად გაგებით ღირსეულად შეასრულოს თავისი საპასუხისმგებლო ამოცანა.

მრავალტომიანი უნივერსალური ქართული ენციკლოპედიის შექმნის გზაზე დიდი სიძნელეებია დასაძლევი. მაგრამ ეს სიძნელე არ უნდა აშინებდეს იმათ, ვინც ეროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობის ღრმა შეგნებით მთელი ძალით ემსახურება უდიდესი კულტურული მნიშვნელობის საქმეს. უყურებ მათ და გჯერა, რომ პირველი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნისათვის დაწყებული მუშაობა წარმატებით დაგვირგვინდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე მოგონება მასწავლებელზე

ა. ხოჭოლავა

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს არ დარჩენია შრომები. მისი სახელი არ იქნება მოხსენებული ბიბლიოგრაფიულ კრებულში. მაგრამ მისი კოლოსალური გავლენა ოციანოცდაათიანი წლების ქართველ ახალგაზრდობაზე უდიდესია დღესაც. მის სიტყვებსა და აზრებს ამჟამადაც იმეორებენ, უფრო ხშირად, როგორც საკუთრებას. მე ვიცნობდი რამდენიმე ახალგაზრდას, რომლებმაც გადაიღეს ლუარსაბის ლაპარაკის მანერა მისთვის დამახასიათებელი გამოთქმებით და თითქოს დაკარგეს თავიანთი ინდივიდუალობის ნიშნები.

ტალანტი მარტოოდენ შრომების რაოდენობითა და ხარისხით როდი განიზომება. კულტურის დიდი გარდატეხებისა და პროგრესის პირობებში ჩვენ მოწმენი ვიყავით, როგორ ამოტივტივდებოდა ზოგჯერ კონიუნქტურულ გარემოებებზე აზარტულად მოთამაშეთა სახელები, რომლებსაც თავის დროზე ტალანტებადაც კი აღიარებდნენ.

იყვნენ პოეტები, კრიტიკოსები, კულტურის სხვა დარგში მომუშავე პირებიც, რომლებიც, საკუთარ მოქალაქეობრივ ღირსებებთან და ნიჭთან შედარებით არათანაზომიერი პოპულარობით სარგებლობდნენ, ხშირად მათს შეზღუდულ და უფერულ აზრებს ბავშვებსაც კი აზეპირებინებდნენ. დავიწყების ფერფლით დაფარული მათი სახელების აღდგენა ან მათდამი ინტერესის გამოღვიძება შეუძლებელია, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარკვეულ ხმაურს მათი სახელების გარშემო, გამოწვეულს უსარგებლო სამეცნიერო კვლევის ინტერესით, ან იმავე კონიუნქტურული მოსაზრებებით, წარსულის სიმახინჯეების რომანტიკულ ფერებში წარმოდგენის სურვილით.

ერთი შემთხვევის გამო ლუარსაბმა მოიყვანა არ მახსოვს ვისი პარადოქსალური გამოთქმა: „ის იმდენად დიდი პოეტი იყო, რომ ლექსს ვერ წერდაო"; როგორც ყოველ პარადოქსში, აქაც სიმართლის ელემენტია. პირველ რიგში იგი თვით ლუარსაბს ეხება.

დიდი ცოდნისა და აზღვავებული ემოციების მქონე ლუარსაბი ცხოვრებისა და აზროვნების ძვრებს გამომცდელი თვალებით ზომავდა, მერყეობდა და ეჭვით ეკიდებოდა გამომუშავებულ შეხედულებათა ჭეშმარიტებას. მხურვალე გულით და დაუცხრომელი აზროვნებით იგი მუდამ ძიებაში იყო.

ეს ხელს უშლიდა მას ქაღალდზე გადაეტანა თავისი შეხედულებები.

თუ არა ასეთი ავადმყოფური მოთხოვნა საკუთარი აზროვნებისადმი და მუდმივი ტანჯვა და ღელვა მსოფლმხედველობის გამომუშავებისათვის, ჩვენ დღეს ხელთ გვექნებოდა ლუარსაბის ცოდნისა და გემოვნების დონის შესანიშნავი შრომები.

ლუარსაბის თხზულებებით დღეს რომ ვერ სარგებლობენ, ამაში ბრალი მიუძღვით მისი დროის სტუდენტ ახალგაზრდობას, რომელმაც არ გამოიყენა ბედნიერი შემთხვევები და არ ჩაიწერა მისი ლექციები, რომ შემდეგში ისინი ახალი თაობისათვის გადაეცა. ისტორიას უამრავი მაგალითი აქვს იმისა, თუ როგორ იქნა შემონახული განმანათლებელთა აზრები. აღდგენილია არა მარტო თხზულებანი, არამედ პოეტური ნაწარმოებებიც კი.

მით უმეტეს ადვილი იყო ეს ოციან ან ოცდაათიან წლებში ლექციების კურსის მიხედვით, რომელიც წლიდან წლამდე მეორდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრწყინვალე ცივილისტის დიმიტრი მეიერის რუსული სამოქალაქო სამართლის კურსი ჩანაწერების მიხედვით 1859 წელს აღადგინა მისმა მოწაფემ ა. ი. ვიცინმა და საქვეყნოდ გახადა იგი. სამწუხაროდ, ჩვენში არ აღმოჩნდა ლუარსაბის შემოქმედების აღმდგენელი, ბრწყინვალე რაპსოდი.

მაგრამ ცნობიერებაში მოხვედრილი მაღალი სიტყვა ისეთსავე კეთილშობილურ კვალს ტოვებს ადამიანში, როგორსაც თაობიდან თაობაზე გარდამავალი ღრმა თხზულება.

ლუარსაბის სიტყვა ხასიათდებოდა მოსაზრებების სიმდიდრით, ანალოგიების, ილუსტრაციების, კონტრასტების ოსტატურად გამოყენებით. სიტყვაში ხშირად, მოჩვენებითად, ჩართული იყო მის მიერ გაზიარებულ პრინციპებიდან გადასვლები, უკანდახევები, რომ შემდეგში გამოეღვიძებინა აზრთა ჭიდილი, ძიების მონდომება, დამოუკიდებელი შეფასების უნარი, რათა მსმენელი უფრო შეგნებულად ზიარებოდა ჭეშმარიტებას და არ გამხდარიყო მისი ეპიგონი აზრის სიღარიბისა და ავტორიტეტისადმი მონური დამოკიდებულების გამო.

ლუარსაბის სიტყვა არ იყო სქემატური და ტრაფარეტული. მისი დასკვნები მსმენელის წინაშე იშლებოდა როგორც საოცარი სიახლე.

რაც უფრო მეტად უნდოდა მსმენელს დაეღწია თავი ასეთი უჩვეულო აზრისაგან და რაც მეტ მასალას აწვდიდა ლუარსაბი მას ამისათვის საწინააღმდეგო შეხედულებათა გადმოცემის ფორმით, მით უფრო იხლართებოდა მსმენელი ამ აზრებში და დაქანცული ნებდებოდა სიტყვის ოსტატს.

ლუარსაბი არ ჰგავდა იმ „ლოგიკურად მოაზროვნე“ ორატორებს, რომელთა დაკნინებული აზრების მიმართულება პირველი სიტყვისთანავეა ცნობილი.

წარსულში ლუარსაბის ცხოვრება მიმდინარეობდა პეტროგრადის მოწინავე ადვოკატთა და სხვა პროფესიის მაღალ ინტელიგენტთა წრეებთან კავშირში. იგი უდიდესი ქართველი პატრიოტი იყო. მაგრამ ევროპული ჩვევების მიხედვით გაზრდილი მაინც სამშობლოში გადმონერგილს ჰგავდა. ასეთივე ბედი ეწვეოდა მას, რუსეთის რომელიმე სხვა ქალაქშიც რომ ეცხოვრა. პეტროგრადი მაინც ევროპული კულტურის გამავრცელებელი კერა იყო. იგი რუსეთის იმპერიის სივრცეებზე ოაზისს წარმოადგენდა. აქ მოწინავე ინტელიგენციის ლოიალურობისა და გაზრდილობის გამო დიდ რეზონანსს ვერ პოულობდა შავრაზმული დამოკიდებულება პატარა ერებისადმი, განსაკუთრებით საქართველოსადმი.

ისევე როგორც ბევრი ქართველის, ლუარსაბის მოღვაწეობა პეტროგრადის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მიზნად ისახავდა ევროპული კულტურის გავრცელებას, რასაც საქართველოსთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა აღმოსავლეთ სლავიანთა გზით ჩვენში შემოსულ კულტურას, ბევრი აიგივებდა აღმოსავლეთ სლავიანთა კულტურასთან.

ლუარსაბი და მისი მსგავსი მოღვაწენი ევროპული საზოგადოების ადამიანები იყვნენ. ეს კულტურა მათი მეშვეობით „ტრანზიტით“ შემოდიოდა საქართველოში მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელისათვის დაიხურა „პონტის კარი“.

ამ კულტურის თვალსაზრისით ითვისებდა ქართველი ხალხი რუსეთის მოაზროვნეთა და მხატვართა შემოქმედებასაც.

შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად უაღრესი ზეგავლენისა სტუდენტობაზე, ლუარსაბსა და ქართველი სტუდენტობის გარკვეულ ნაწილს შორის ერთგვარი დაძაბულობა არსებობდა.

მემკვიდრეობით მიღებული კულტურის მატარებელი სტუდენტების უდიდესი ნაწილი გულწრფელად იყო დაინტერესებული მეცნიერული ცოდნის მიღებით ინტელიგენტური ყოფის შენარჩუნებითა და მოწინავე ჩვევების გამომუშავებით. ნაწილი კი, შინაგანი ცინიზმის გვერდით, ყალბი ზრდილობის საფარველქვეშ, აგდებითს დამოკიდებულებას იჩენდა ჭეშმარიტი ცოდნისადმი და, პრიმიტიული აზროვნების მიუხედავად, უდიდეს ეშმაკობის უნარს ავლენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში, თვალებს აცეცებდა რაიმეს „შოვნაზე“.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თავის წრეს მოცილებული დიდი ინტელიგენტი, სხვა გარემოში თუ მოხვდა, ამპარტავნობა, ქედმაღლობა რომ არ დასწამონ, უფრო კი განმარტოების თავიდან ასაცილებლად — კარგავს ზომიერებას თავმდაბლობაში, რასაც პოზიორობაში გაწაფული ფილისტერები ბოროტად იყენებენ. მომაბეზრებელი გულმოდგინეობით ეტმასნებოდა სტუდენტობის ნაწილი ლუარსაბს, ბოროტად იყენებდა მის თავმდაბლობას და პრობლემის ანალიზისადმი მიდრეკილებას, ამაში ისინი ვერ ერკვეოდნენ, მაგრამ ფარისევლურად გამომეტყველი სახეებით მიშტერებოდნენ მას, რათა გამოეძალათ მათზე საქებარი სიტყვა, რაზედაც ასე დახარბებული არიან საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენით დაავადებული ადამიანები. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია შემდეგი უცნაური მოვლენა: ხშირად შეხვდებით ლუარსაბის მოწაფეებს, მეტად პრიმიტიულ დონეზე მდგომთ, რომლებიც სერიოზულად ყვებიან, თუ როგორ ასცდნენ ისინი სამეცნიერო მოღვაწეობის დიდ გზას, როდესაც უარი თქვეს ლუარსაბის მიერ შეთავაზებულ მეცნიერულ კარიერაზე. აქ სრულ გაუგებრობას აქვს ადგილი. ექსპანსიური ლუარსაბი არ ერიდებოდა ალეგორიული ეპითეტებით მიემართა მსმენელებისათვის, რასაც საერთო არა ჰქონდა რა ლუარსაბის გულწრფელობასთან ან არაგულწრფელობასთან, მით უმეტეს მის ნამდვილ შეხედულებასთან სტუდენტზე, რომელსაც იგი მიმართავდა.

თუ რაიმე საკითხი არ აეჭვებდა ლუარსაბს, ეს იყო სამართლებრივი მსოფლმხედველობის აბსოლუტიზმის საჭიროება.

იგი ჰკიცხავდა ახალგაზრდობას სამართლებრივი შემეცნების უგულებელყოფისა და უპატივცემლობისათვის. ასეთ დამოკიდებულებას სამართლისადმი იგი მიაწერდა ჩვენს ქვეყანაში თვითმპყრობელობის ზეგავლენით საკუთარი ორგანული ინსტიტუტების გადაგვარებას. საკუთარი სამართლებრივი მრწამსის უქონლობამ და შეუფერებელი ინსტიტუტების თავზე მოხვევამ ქართველ კაცს გამოუმუშავა დუხჭირი ცხოვრებიდან ინდივიდუალური წესით თავის დაღწევის ინსტინქტი, რაც საბოლოოდ ზნეობრივ შერყვნას და სამართლებრივი წარმოდგენების სრულ გაქარწყლებას იწვევს.

ამის გამო, ამბობდა ლუარსაბი, შედარებით ჰუმანურ მმართველთათვის და ქვეშევრდომებისათვის ორმხრივად სავალდებულო სამართლის განხორციელება, განურჩევლად მისი შინაარსისა, წარმოადგენს სიკეთეს, თუ ერთადერთ საშუალებას არა, ადამიანის ღირსებისა და მის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის, რაც ეგზომ საჭიროა ყოველი ერისათვის და მათ შორის ქართველი ერისთვისაც. მიუხედავად ხასიათის იმპულსურობისა, ლუარსაბი დიდი რეალისტი იყო, მაგრამ არასოდეს არ ივიწყებდა არსებულს, მოითხოვდა სწორ დამოკიდებულებას კონიუნქტურისადმი. ერთ-ერთ ლექციაში ნების თავისუფლების შესახებ ლუარსაბმა მოიყვანა დოსტოევსკის სიტყვები, რომლებიც ქართულად ასე ჟღერს: „დროა თავი დავაღწიოთ აპათიურ წუწუნს გარემოზე, ჩაგვითრიაო, დავუშვათ, ეგ მართალია, გარემო მრავალ რასმე ხრწნის ჩვენში, მაგრამ განა სუყველაფერს, და ხშირად ზოგიერთი ეშმაკი და საქმეში ჩახედული გაიძვერა გარემოს ამ ზეგავლენით ფარავს და ამართლებს არა მარტო თავის სისუსტეს, უბრალოდ არამზადობასაც, მეტადრე ლამაზი წერა ან ლაპარაკი თუ ეხერხება.“

აუცილებლობისადმი შემგუებლობა მაშინ არის კარგი, როდესაც შემგუებელი ინახავს საკუთარ მრწამსს და შესაძლებელ მოქმედების უნარს; წინააღმდეგ შემთხვევაში შეგუება სრულ კაპიტულაციად იქცევა, ადამიანურობის თვალსაზრისით ის მხოლოდ ბრმა იარაღია გარეშე ფაქტორებისა, მიუხედავად სახელისა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულ ვითარებაში. ეს სახელი ეფემერულია და შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს მის შთამომავლობას.

ერთ-ერთ ლექციაში, რომელიც რომაე-

ლებს ეხებოდა მან შემდეგი აზრი გამოთქვა:

„შეხედეთ, მრავალი საუკუნის განმავლობაში დამარხულ და ამჟამად მიწიდან ამოღებულ რომაელთა ქანდაკებებს. მათი მტკიცე სახის ყოველი ნაკვთი მაუწყებელია ნებისყოფის, დაძაბულობის, ბუნებრივი ჭკუისა. თავგანწირულობის გრძნობასა და მოვალეობის შეგნებასთან ერთად ამ სახეებიდან მოჩანს ჰარმონიული ადამიანი. მართლაც გვჯერა, რომ ამ ადამიანისათვის არც ერთი ვნება უცხო არ არის.

სამართლებრივი შეგნებისა და იარაღის საშუალებით ამ ადამიანებმა მიაღწიეს უპირველეს მდგომარეობას ხალხთა შორის.

რომის ცივილიზაცია ამოუწურავი რეზერვუარი გახდა ევროპის განახლებისათვის, ხოლო მისი სამართალი—დაუძლეველი ქვაკუთხედი საზოგადოებრივი ყოფისა.

შემდეგი პარალელის გავლება შეიძლება ლუარსაბსა და ერთ ცნობილ ქართველ ცივილისტის პრაქტიკულ საქმიანობას შორის: ათი პასუხიდან ლუარსაბის კონსულტაცია რვა შემთხვევაში არ აკმაყოფილებდა შეკითხვის მიმცემ ორგანიზაციებს, მაშინ როდესაც მეორე ათივე შემთხვევაში მათთვის მისაღებ პასუხს იძლეოდა.

გადახვევები პრინციპული სამართლებრივი შეხედულებიდან მას შეუწყნარებლად მიაჩნდა, და კანონის სწორი განმარტების საშუალებით, მისი აზრისა და სულის შესაბამისად წყვეტდა კანონით პირდაპირ მოუწესრიგებელ კაზუსს.

ის იურისტი კი რომელიც მხედველობაში გვყავდა კარგად იყო დაუფლებული კანონმდებლობას, უწყებების ინსტრუქციებსა და ბრძანებებს და, რაც მთავარია, ითვალისწინებდა შეკითხვის მიცემის განმაპირობებელ ინტერესს. ამის გამო მისი პასუხები უფრო შეესაბამებოდა წამოჭრილ მოთხოვნილებას.

წერილში სტრახოვის სახელზე ლ. ტოლსტოი წერდა: „არ შეიძლება ჭეშმარიტების გამოჭრა სინამდვილის მიხედვით, პირიქით, დაე თვით სინამდვილე მოეწყოს მისდამი ისე, როგორც მას ამის უნარი აქვს და შეუძლია“.

ეს აზრი სავსებით უდგება ზემოთ მითითებულ ორგვარ შეხედულებას სამართლის ნორმის განმარტებაზე, რასაც თუ უპირველესი არა, დიდი მნიშვნელობა აქვს იურისპრუდენციაში.

სამართლის ნორმის პრინციპების მიხედვით უნდა იქნეს გაგებული გაუთვალისწინებელი და ახლად აღმოცენებული მოვლენები, მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელი, ნორმის საწინააღმდეგო აზრით, მოწესრიგებულია ინსტრუქციებითა და ბრძანებებით.

ასეთი მიდგომა საწინდარია ევოლუციური პროგრესისა. წინააღმდეგ შემთხვევაში პრაქტიკა დრომოჭმული სამართლის სისტემის შემყურე აღმოჩნდება ან პერმანენტულად ცვალებადი ინსტრუქციებისა და ბრძანებების შეუზღუდავ ზეგავლენას დაექვემდებარება.

თავისთავად ორგანული სამართლებრივი ყოფა არასოდეს არ ქმნის საზოგადოების მონოლითურობასა და ჰარმონიას. ასეთი საზოგადოებები არ არსებობდნენ. მაგრამ საზოგადოება რომელშიც საგრძნობლად შერყეულია სამართალშეგნება, დეგრადაციის პირისპირ დგას. სამართალშეგნების გარეშე ისევე შეუძლებელია საზოგადოების ცხოვრება, როგორც შეუძლებელია ორგანული ცხოვრება „ჰაერის“ გარეშე. თუმცა მარტოოდენ ეს ფაქტორები არსებობის მხოლოდ ელემენტარული პირობებია. ბევრი ჩვენი „ურა“ პატრიოტის მსგავსად ლუარსაბი არ იყო აღტაცებული ჩვენი ახალგაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდობის, ინტელიგენციის სამართლებრივი წარმოდგენებითა და შემეცნებით.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლუარსაბს სჯეროდა ქართველი ხალხის შემოქმედების უნარი კულტურის სხვადასხვა და მათ შორის სამართალშეგნების გამომუშავების სფეროში.

შესანიშნავ ქართველ იურისტთან გრიგოლ რცხილაძესთან ერთად 1927 წელს მან შეიმუშავა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წერილი სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსადმი სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საწყისების შესახებ, რომლის ასლი ინახება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არქივში. წერილში სხვათა შორის ნათქვამია:

„სამოქალაქო სამართლის უნიფიკაცია, თუნდაც იმ გამონაკლისით, რაც გამოწვეულია რესპუბლიკის ზოგიერთი თავისებურებით, არ არის აუცილებელი და სასურველი“, „სხვაგვარი წარმოდგენა ამ საკითხზე, — განაგრძობენ ავტორები, — ნიშნავს ოქტომბრის რევოლუციის მიერ განთავისუფლებული ერების, მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალებისადმი სრულ ურწმუნობას“.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი აზრის გამოთქმა შეეძლოთ თავისი ხალხის ძალებში დარწმუნებულ ადამიანებს.

არასოდეს არ დამავიწყდება 1926 წლის თებერვლის ერთი საღამო, როდესაც საღამოს ლექციიდან გამოსული ლუარსაბი მე და ჩემმა უდროოდ დაკარგულმა მეგობარმა გიორგი გურგენიძემ მივაცილეთ სახლში.

მან მიგვიპატიჟა ბინაში, და როგორი იყო ჩვენი გაოცება, როდესაც ლუარსაბის ბინაში დაგვხვდა ლუარსაბთან კარგ განწყობილებაში მყოფი ჩვენი მეგობარი ჯანსუღ ფურცელაძე, რომელიც ლუარსაბის მოლოდინში შინამოსამსახურეს მიეღო.

ლუარსაბის ოჯახი იმ დროს თბილისში არ იყო.

თბილ ბინაში ჩაიზე ცხოველი საუბარი გაიმართა. ლუარსაბმა მრავალჯერ დააკმაყოფილა ჩვენი პატარა საზოგადოების ცნობისმოყვარეობა და მოგვითხრო საინტერესო ადამიანებზე. ბოლოს, შემთხვევით ლაპარაკი ჩამოვარდა რუსეთის სახელგანთქმულ ადვოკატ ფ. პლევაკოზე, რომლის ერთი სიტყვა ლუარსაბს მეხსიერებაში შემოუნახავს. მან ეს სიტყვა ისეთი გრძნობიერებით და შეიძლება პათოსით გადმოგვცა, რომ ამ სიტყვის შთაბეჭდილება რამდენიმე დღეს გაგვყვა ყველას.

იმავე საღამოს, სახლში რომ დავბრუნდი, ეს სიტყვა ქართულად ქაღალდზე გადავიტანე. ჩაწერილი სიტყვა შეიცავდა საქმის დეტალურ სიუჟეტს, სასამართლოს თავმჯდომარის და მოქმედ პირთა სახელებსა და გვარებს. სხვადასხვა გარემოებებთან დაკავშირებით, სხვა ჩანაწერებთან ერთად ეს სიტყვა ოცდაათიან წლებში დაიკარგა. დაკარგვამდე ეს სიტყვა მრავალჯერ წამიკითხავს მეგობრებში; ამის გამო ამ სიტყვის ჩემი მეხსიერებიდან ამოუვარდნელობას, თუნდაც შინაარსის მიხედვით, შესაძლოა ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი.

ერთ-ერთ ჩასვლაზე მოსკოვში ლუარსაბს დასჭირვებია თევდორე ნიკიფორეს-ძე პლევაკოს ნახვა. ამ მიზნით იგი საოკრუგო (საოლქო) სასამართლოში წასულა, სადაც პლევაკოს იმ დღეს საქმე ჰქონია.

საოლქო სასამართლო მოთავსებული იყო კრემლის შენობაში, რომელიც გალავნის ქონგურების ჭრილებიდან წითელ მოედანს გადასცქეროდა.

როგორც მას სასამართლოში უთხრეს, პლევაკო გამოდიოდა ხანშიშესული სოვდაგრის დასაცავად. სოვდაგარს, — როგორც ბრალდებულს ეძახდა ლუარსაბი, — ბრალად ედებოდა სტუდენტის სიცოცხლეზე ხელყოფა, ეჭვიანობის ნიადაგზე.

ბრალდებული ფაქტებს არ უარყოფს, საქმე მარტივია და მალე დამთავრდებაო, უთხრეს ლუარსაბს და მიასწავლეს დარბაზი, სადაც საქმის განხილვა უკვე დაწყებულიყო.

ბრალდებულის დაკითხვა დაემთავრებინათ და იგი თავჩაღუნული იჯდა სკამზე.

ის იყო საკმაოდ მოხრილი, საშუალო ტანის, მელოტი, 40-45 წლის კაცი. მოზრდილი მეჭეჭები სახეზე, მსხვილი უფორმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვირი, გამოწეული ნიკაპი თუ არა საზარელს, ყოველ შემთხვევაში ულამაზოს და შეუხედავს ხდიდა მას.

მხოლოდ ვიწრო გამჭვრეტელი თვალები და გულამაჩუყებელი გამოხედვა გაფიქრებინებდათ, რომ ეს კაცი მარტივი და ამომშრალი სულის პატრონი არ უნდა ყოფილიყო.

გრძელდებოდა ბრალდებულის მეუღლის დაკითხვა. მდიდრულად და გემოვნებით შეკერილ ტანსაცმელში მოჩანდა მისი მშვენიერი აგებულება. სახის სწორი ნაკვთები, ცისფერი თვალები, უნატიფესი სახე, აჯადოებდა მნახველს. უბრალო ზონარზე ჩამოკიდებული ოქროს ძვირფასი ჯვარი გამოჰყოფდა მის თეთრ მკერდს. იგი არ იწვევდა მაყურებელში ავხორცული ვნებების აღგზნებას, პირიქით, უბიწობის და ხელუხლებლობის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სასამართლოს შემადგენლობა და ნაფიცი მსაჯულები მოჯადოებული იყვნენ მისი მშვიდი სილამაზით და გულწრფელი თხრობით.

ის იყო უღარიბესი მშობლების უფროსი ქალიშვილი. მის გარდა მის მშობლებს ხუთი შვილი ჰყავდათ. ორი ოთახი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ნახევრად სარდაფი იყო. ვიწრო სარკმელები ამ ოთახებისა ტროტუარზე გამოდიოდა. გამვლელები მოწმენი იყვნენ ხშირი უსიამოვნებისა ამ ოჯახში ოჯახის მეთაურის ლოთობის გამო. ჭორიკანა და უსაქმო გამვლელები ხშირად ცოლ-ქმრის კონფლიქტშიც ერეოდნენ, აქეზებდნენ ერთ ან მეორე მხარეს და ამით თავს იქცევდნენ.

ზოგჯერ ამ სარკმლების წინ სხვადასხვა წოდებიდან გამოსული არშიყნიც ჩერდებოდნენ და გადაჭარბებული თავაზიანობით შფოთის დაწყნარებას ლამობდნენ, რათა ულამაზესი გოგონას ყურადღება მიეპყროთ, რომელიც სხვა ბავშვებთან ერთად ტიროდა მშობლების დაუნდობელი და უსირცხვილო ჩხუბის დროს.

საბოლოოდ ლამაზი გოგონა მისთხოვდა საბრალდებო სკამზე მჯდომ სოვდაგარს. ამის შემდეგ მისთვის დაწყებულა სულ ახალი ცხოვრება. დამოუკიდებელი, მორთული ბინა მეორე სართულზე, შინამოსამსახურე, მზარეული, სპეციალური მასწავლებელი შინაური განათლების მისაღებად, პირველხარისხოვან თეატრებში და კარგ კონცერტებზე დასწრება, ტანსაცმლის შეკვეთა მეჯლისებისათვის და კეთილდღეობის სხვა ნიშნები სოვდაგრის ინიციატივით მშვენიერ ქალს არ დაჰკლებია.

რამდენიმე თვის წინათ, ამავე სახლის პირველ სართულში, მოთავსდა ათლეტური აგებულების ლამაზი, ლოყებღაჟღაჟა და მუდამ მოღიმარი სტუდენტი, რომელიც ხშირად ვარჯიშობდა ეზოში მოწყობილ ღერძსა და ორძელზე.

მისი ვარჯიში აღტაცებას იწვევდა ეზოს ბავშვებში, ხოლო სარკმლებიდან ფარულად მაცქერალი ქალიშვილები მიბნედილი თვალებით და საკუთარ დაფარული სურვილით შესცქეროდნენ მას.

საბოლოოდ სტუდენტი დაუმეგობრდა სოვდაგრის მეუღლეს. ისინი ხშირად დადიოდნენ ცირკში, ღამის რესტორნებში, საიდანაც ბოშათა სიმღერებით გაოგნებულნი გვიან ბრუნდებოდნენ სახლში.

ერთ დილას, როდესაც სტუდენტი ჩვეულებრივ ვარჯიშობდა, სოვდაგარმა მეორე სართულის აივნიდან, რომელიც ეზოში გადიოდა, პისტოლეტიდან მოსაკლავად ორჯერ ესროლა სტუდენტს. საბედნიეროდ, ჭრილობა არ გამოდგა მომაკვდინებელი.

აი ამ შემთხვევამ მიიყვანა სოვდაგარი საბრალდებო სკამზე.

მიუდგომლობის ოსტატურად შემუშავებული ნიღაბის მიუხედავად, სასამართლოს თავმჯდომარეს გამხდარ სახეზე მაინც ემჩნეოდა ერთგვარი აგდებული დამოკიდებულება სოვდაგრისადმი და თანაგრძნობა მრავალჭირგადახდილი მშვენიერი ქალისადმი, რომლის სიტყვებით, მის მეუღლეს არავითარი საფუძველი არა ჰქონდა ასეთი მოქმედება ჩაედინა. გულუბრყვილო და გამოუცდელ ნაფიც მსაჯულთა გამომეტყველება, მეუღლეთა აღნაგობის კონტრასტულობის შთაბეჭდილებით, ვერ მალავდა ანტიპათიას სოვდაგრისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის დაკითხვის შემდეგ შემოიყვანეს დაზარალებული სტუდენტი. იმ დროს, თუ დაზარალებული ბრალმდებლად ან სამოქალაქო მოსარჩელედ არ გამოდიოდა, მას დაჰკითხავდნენ როგორც ჩვეულებრივ მოწმეს, იმ განსხვავებით, რომ ჩვენებას იძლეოდა დაუფიცებლად.

ბრალდებულის მეუღლეზე არანაკლები შთაბეჭდილება დატოვა უბრალო და მოღიმარმა სტუდენტმა. არც ერთი მოწმისათვის პლევაკოს შეკითხვები არ მიუცია, და სიჩუმით უპასუხა თავმჯდომარის მიმართვას გამოეყენებინა დაკითხვის უფლება.

ფაქტები ეჭვს არ იწვევდა. დანაშაული დადასტურებული იყო აღიარებით და მოწმეთა ჩვენებებით. არც ბრალდების იურიდიული მხარე იძლეოდა შეცილების შესაძლებლობას, აშკარა იყო განზრახვა და დანაშაულის მოტივი.

„ჩვეულებრივად, — განაგრძობდა ლუარსაბი,—მე არ მიყვარდა სხვის პროცესზე დასწრება, და ალბათ სხვა პირობებში დავტოვებდი დარბაზს, რომ ბრალდებულის მეუღლის გულწრფელ თხრობას, საქმის განსაკუთრებულობას და ცნობისმოყვარეობას, თუ როგორ დაიცავდა სოვდაგარს ჩუმად მჯდომი პლევაკო, — არ შევეჩერებინე დარბაზში.

დადგენილი ფაქტების უარყოფისა და შედავებისათვის მიუმართავად, დიდი ტაქტით წარმოთქმულმა პლევაკოს სიტყვამ კოლოსალური შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე“.

აი ამ სიტყვის შინაარსი:

„ბრჭყვიალა და ბრწყინვალებით თვალისმომჭრელ უბრალო ქვათა შორის ძნელია შემთხვევით გარეული კეთილშობილი ქვის შემჩნევა. ამის უნარი ხანგრძლივ გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

უფრო ძნელია ადამიანთა საზოგადოების ფსკერზე, ტურტლიან, სახედაკარგულ და ცხოვრების სიმკაცრით გაუხეშებულ ადამიანთა ბრბოში აღმოაჩინო უფსკრულის კიდეზე მდგომი, უკვალოდ და უსახელოდ დასაკარგავად გამზადებული სპეტაკი, მშვენიერი ადამიანი და მზის ქვეშ სათანადო ადგილი მიუჩინო მას.

აქ გამოცდილება არ გიშველით. საჭიროა შინაგანი ტკივილებით გასხივოსნებული კეთილშობილება, სულის ღვთაებრიობა; დამდაბლებული მშვენიერების შენიშვნა იგივეა, რაც დაუფასებელი და დაზრახული ტალანტის შემჩნევა, დაფასება, და ჭრელი ბრბოს ყიჟინის მიუხედავად — მისი დაფნის გვირგვინით შემკობა.

ვის არ გაუვლია სილამაზით შემკობილი, მშვენიერი გოგონას წინ, ბევრს უნახავს მისი მწუხარე და სასოწარკვეთილებით აღსავსე თვალები. მაგრამ ისინი გულგრილი დარჩენილან მისი ტანჯვისადმი ან გულგატეხილნი შებრუნებულან არამზადული საწადელის მიუღწევლობისაგან.

ცხოვრების კანონზომიერება ულმობლად უქადდა მას იმავე ბედს, რასაც მის მდგომარეობაში მყოფ ათასობით ქალწულს — გარყვნილებით რეწვას.

სახარბიელო არ იყო მისი ბედის მეორე ალტერნატივაც — გამუდმებული ფიზიკური მუშაობა, წვრილი შვილებით გადატვირთული ოჯახები, სიყეყეჩე და ლოთობა.

ასეთ პირობებში სრულ არარაობად იქცეოდა ამ ქალის სილამაზე და სულის სინაზე.

მხოლოდ ამ შეუხედავმა კაცმა გადაარჩინა უფსკრულის პირზე მდგომი, ბუნების საიდუმლოების ეს მშვენიერი ნაყოფი. კეთილშობილებით გაოცებული, უნახავი ალერსით და ყურადღებით გამთბარი ქალი მიენდო თავის კეთილისმყოფელს, რომელმაც არ დააყოვნა კელეპტრით ხელში საკურთხევლის წინ დაეყენებინა იგი და ბედნიერების ცრემლით თვალდანამული ერთგულებაზე დაეფიცებინა.

მეცადინეობითა და წიგნების კითხვით, მაღალი გემოვნების სანახაობებზე დასწრებით შეუდგა ქალი დუხჭირი ცხოვრებიდან გამოყოლილ ზოგიერთ არასასურველ თვისებათა აღმოფხვრას.

იგი ყოველდღე იზრდებოდა, სპეტაკდებოდა, უფრო ნაზი და მოყვარული ხდებოდა. აქ არ შემიძლია უარი ვთქვა შედარებაზე, რომელიც ტრივიალობის შთაბეჭდილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შექმნის საშიშროების მიუხედავად, სწორად გამოხატავს მომხდარ ამბავს.

სწორედ ამ დროს შემოიჭრა მის ცხოვრებაში სტუდენტის ავბედითი ფიგურა, რომელმაც ათლეტური აღნაგობა დაუპირისპირა სულის სიმშვიდეს და გულთა ჰარმონიას. მან უხეში ხელებით ჩამოხადა მშვენიერ ქალს სინაზის და სისპეტაკის გამომხატველი თეთრი ფატა, ნაზი ხელებიდან გამოსტაცა მანათობელი კელაპტარი და წუმპისაკენ, საიდანაც ასეთის სიძნელით იყო ამოყვანილი, უბიძგა მას. დამცხრალი და ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი ინსტინქტების გაღვივების საშუალებით, იაფფასიანი ხელოვნებისადმი, ბოშა ქალების და მთვრალი ქარაფშუტა საზოგადოებისადმი ინტერესის გამოწვევით ცდილობდა სტუდენტი ამაღლების გზაზე დამდგარი ქალი ხელმეორედ დაეყენებინა უფსკრულში ჩავარდნის საშიშროების წინ, რომ ამით მიეღწია თავისი ავხორცული მიზნებისათვის.

საჭირო იყო შველა. ისევ ამ შეუხედავი, მაგრამ სიქველით აღსავსე, სამსხვერპლოდ თავგადადებული კაცის გასროლამ დროზე შეაჩერა ქალის შეცდომა.

ჯერ კიდევ შეუბღალავია ღირსება და კეთილშობილება განახლებული ქალისა, მიუხედავად მის მიმართ მრავალგზის გამოყენებული ცდუნების ხერხებისა.

მოსამართლეებს და ნაფიც მსაჯულებს ეს საქმე წმინდა და სამშვიდობო მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. მოსამართლეობრივი სინდისის შუქზე გასინჯულ უნდა იქნას სულით მაღალი ბრალდებულის ცხოვრების ტრაგედია ათლეტური აღნაგობის, მუდამ მოცინარი დაზარალებულის შინაგან სამყაროსთან დაპირისპირებით".

პლევაკოს სიტყვის დასრულების შემდეგ ნაფიც მსაჯულთა მზერა პლევაკოდან უნებლიედ გადატანილ იქნა ამ დრამის მოქმედ პირებზე: თავჩაქინდრული შეუხედავი სოვდაგარი მწარედ ტიროდა, სტუდენტი კვლავ იღიმებოდა და მიშტერებოდა ფერწასულს და საცოდავად გამომყურე ულამაზეს ქალს.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტით სოვდაგარი უდანაშაულოდ იქნა აღიარებული.

ოფიციალური ფასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 5

1967 წლის 20 ნოემბერი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 18 დეკემბრის № 18 დადგენილების „სასამართლო საქმეებზე შემოსული საჩივრებისა და განცხადებების განხილვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიების შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 29 დეკემბრის № 16 შესაბამისი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

პლენუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების დროულად და სწორად გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენის, მოსახლეობის აღზრდის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების საქმეში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის სექტემბრის დადგენილებაში „წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციისთვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, აღნიშნულია, რომ საბჭოთა ადამიანები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოებისათვის გაგზავნილ თავიანთ წერილებში აყენებენ დიდი პოლიტიკური და სახალხო — სამეურნეო მნიშვნელობის საკითხებს, შეაქვთ წინადადებანი შემჩნეულ ნაკლოვანებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, კანონებისა და უფლებების დარღვევის, განსაკუთრებით საბინაო და შრომის საკითხებზე.

ზემოაღნიშნულ საკითხზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებების მიღების შემდეგ, რესპუბლიკის სასამართლოებმა საგრძნობლად გარდაქმნეს მუშაობა, გაუმჯობესდა მოქალაქეთა პირადი მიღება, ხოლო შემოსული საჩივრებისა და წერილების მეტი ნაწილი განიხილება პასუხისმგებლობით, ყურადღებითა და დროულად. ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა საჩივრების რაოდენობა, ასე მაგალითად, 1966 წელს, 1963 წელთან შედარებით საჩივრების რაოდენობა შემცირდა ერთი ორად, მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ არც თუ იშვიათია, როდესაც ადგილი აქვს მოქალაქეთა წერილებისა და საჩივრების განხილვისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების შემთხვევებს. ზოგჯერ ანალიზი არ უკეთდება საჩივრების, წერილების არსსა და ხასიათს, არ ხორციელდება ღონისძიებანი მშრომელთა საჩივრების წარმომშობი მიზეზების შესასწავლად, არ არის ყოველდღიური კონტროლი საჩივრებისა და წერილების განხილვისა და ობიექტური გადაწყვეტილებათა მიღების საკითხებისადმი. ნაკლოვანებანია საჩივრების შემოწმების, მათი გატარებისა და გადაწყვეტის საქმეში. მოგვარებული არ არის იმ მოქალაქეთა აღრიცხვის საქმე, რომელთაც აქვთ ზეპირი თხოვნა, აგრეთვე მთხოვნელებს არ აძლევენ მოქმედ კანონმდებლობაზე დამყარებულ გარკვეულ და ამომწურავ პასუხს. ასევე აღინიშნება ნაკლოვანებანი სასამართლო გადაწყვეტილებათა დროულად აღსრულებისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციის საქმეში.

თუ დღეისათვის საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში თითქმის არ ირიცხება ვადაგადაცილებული საჩივარი, ყოვლად მოუთმენელია, რომ მოქალაქეების საჩივრებზე პასუხების დროულად გადაცემა გაჭიანურდეს რამდენიმე თვეს.

მოქ. პლიევის სარჩელის განხილვა ჯავის, ზნაურის და ცხინვალის რაიონების სახალხო სასამართლოებში 1 წლის განმავლობაში გაჭიანურდა. მოქ. გ. პივოვაროვას საჩივარი ალიმენტის მიუღებლობის შესახებ ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოში გაგზავნილ იქნა 15-ჯერ, ასევე გაჭიანურდა ა. თუთისანის საჩივრის განხილვა ვანის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს მიაჩნია, რომ მშრომელთა საჩივრებზე, წერილებზე მუშა-

ობის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება სასამართლო ორგანოების წინაშე დასახულ მოთხოვნებს.

თათბირებზე, სემინარებზე და პრეზიდიუმზე იშვიათად ისმენენ ანგარიშებს და ინფორმაციებს ამ საკითხზე, ყოველთვის მკაცრად და პრინციპულად არ ხდება მოთხოვნა სასამართლოს თავმჯდომარეებისადმი მშრომელთა საჩივრებისა და წერილების ყურადღებიანი და ობიექტური განხილვის შესახებ პლენუმის ზემოაღნიშნულ დადგენილებების მითითებათა შესრულებაზე, რის გამოც პლენუმი

ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, რესპუბლიკის რაიონისა და ქალაქის სახალხო სასამართლოებს მთლიანად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი წერილების, საჩივრების განხილვის საქმეში, გამოიჩინონ მეტი გულისხმიერება და ყურადღება, შექმნან წერილებისა და საჩივრების განხილვის საქმეში ობიექტური პრინციპული მიდგომის ატმოსფერო, წერილებზე და საჩივრებზე მუშაობა მიჩნეულ იქნას პასუხსაგებ მოვალეობად. სისტემატურად გაანალიზონ შემოსული წერილები და საჩივრები, ამავე დროს მიღებულ იქნეს საჭირო ზომები განმეორებითი საჩივრების მიზეზების დასადგენად. კვარტალში ერთხელ პრეზიდიუმებსა და ოპერატიულ თათბირებზე განიხილონ ზემოაღნიშნული საკითხები და დასახონ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებს გააძლიერონ შრომის მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლი და ზედამხედველობა დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რათა სისტემატურად და გეგმაზომიერად შემოწმდეს შრომითი კანონმდებლობის დაცვის წესები და თვალყური ადევნონ, რათა არ დაირღვეს მოქალაქეთა შრომითი ინტერესები და უფლებები, რაც აღკვეთავს შრომის საქმეებზე კანონიერი საჩივრების წარმომშობ ყოველგვარ მიზეზებს.

3. ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და საგრძნობლად გაუმჯობესდეს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სემინარული წრის მუშაობა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების, კონსულტანტებისა და სახალხო მოსამართლეთა სემინარული მუშაობა დაიგეგმოს ისე, რომ მსმენელები სისტემატურად ეცნობოდნენ ახალ ნორმატულ აქტებს, კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის სისტემატურად ჩაატარონ ლექცია-მოხსენებები, მიღწეულ იქნას მოსახლეობაში მოქმედი კანონმდებლობის ახსნა-განმარტების უფრო ფართოდ გაშლა.

5. საჭიროდ ჩაითვალოს მოქალაქეთა მიღების საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესება. დაწესდეს მთხოვნელთათვის უფრო ხელსაყრელი მიღების დღეები და საათები, უზრუნველყოფილ იქნას თვითეული მოქალაქის პირადი მიღება. მოქალაქეთა საფუძვლიანი და კანონიერი თხოვნა გადაწყვეტილ იქნას გულისხმიერად და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

მოქალაქეთა წერილები და საჩივრები როგორც წესი განიხილონ არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში მიღების დღიდან, დროულად გაუკეთდეს სათანადო რეაგირება წერილებსა და საჩივრებში დაყენებულ საკითხებს. იმ შემთხვევაში როცა საკითხის განხილვა მოითხოვს უფრო ხანგრძლივ დროს, ეს დროულად ეცნობოს საჩივრის ავტორს.

6. დაევალოს საქართველოს სსრ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, მოსამართლეთა ზონალურ და საწარმოო თათბირებზე გააცნონ და მოსამართლეთა ყურადღება გაამახვილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის სექტემბრის დადგენილების, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას.

კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე დაეკისროს შესაბამისი სასამართლოების თავმჯდომარეებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ზ. მესენგისერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 6

1967 წლის 20 ნოემბერი

„სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

განიხილა რა საქართველოს სსრ პროკურორის წარდგინება და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები სპეკულაციის საქმეებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლო ორგანოები ძირითადად სწორად ახორციელებენ ბრძოლას ამ დანაშაულის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად, სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, სასამართლოები სათანადოდ არ ასრულებენ ხსენებული კატეგორიის საქმეებზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის დადგენილებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზე.

ხშირად სასამართლოები სასჯელის განსაზღვრისას არ ითვალისწინებენ სპეკულაციის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, დამნაშავის პიროვნებას და ამის შედეგად დაუსაბუთებლად უფარდებენ ლმობიერ სასჯელებს.

1967 წლის 1 ნახევარში საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდებულ პირებიდან 36%-ს შეეფარდა ისეთი სასჯელი, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული.

ასევე აღინიშნება ლმობიერი სასჯელის შეფარდების ფაქტები საქ. სსრ სსკ 165 მუხლის I ნაწილით გასამართლების შემთხვევაში. ამ კვალიფიკაციის მიხედვით მსჯავრდებულ პირებს, როგორც წესი, შეფარდებული აქვთ არასაპატიმრო ღონისძიებანი.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ე. პ. შუბითიძეს საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქ. სსრ სსკ 45 მუხლის გამოყენებით შეეცვალა გამასწორებელი სამუშაოებით. ე. პ. შუბითიძე, არ იყო რა ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, ხელობის სახით ჩადიოდა სპეკულაციას, წლების განმავლობაში ახდენდა მსხვილფეხა საქონლის შესყიდვასა და გადაყიდვას, რის შედეგადაც ღებულობდა გამორჩენას დიდი ოდენობით. სასამართლომ არ გაითვალისწინა ე. პ. შუბითიძის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი და უსაფუძვლოდ შეუცვალა მას სასჯელი.

ასევე ლმობიერი სასჯელი (გამასწორებელი სამუშაოები) დაენიშნა ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოს 1967 წლის 19 იანვრის განაჩენით, წინათ სხვადასხვა დანაშაულისათვის სამჯერ სამართალში ნამყოფ გ. ა. კელეპტარიშვილს, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ არ ეწეოდა რა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ახალციხის რაიონში შეისყიდა 1920 კგ ვაშლი და სასპეკულაციოდ წაიღო ქ. ტაშკენტში.

სპეკულაციის საქმეებზე სასამართლოს პრაქტიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს იმ პირთა უკანონოდ დასჯის ფაქტებს, რომელთა მოქმედებები არ შეიცავენ დანაშაულის შემადგენლობას.

ეს შეცდომები ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ცალკეულ სასამართლოს არასწორად აქვს გაგებული, თუ რა სახის მოქმედება უნდა ჩაითვალოს წვრილმან ან საქ. სსრ სსკ 165 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ სპეკულაციად.

ასე მაგალითად, ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1967 წლის 4 ივლისის განაჩენით, საქ. სსრ სსკ 17-165 მუხლის I ნაწილით დასაჯა ი. მ. ხუხაშვილი, რომელიც ცდილობდა სპეკულაციურ ფასებში გაეყიდა კინოს 13 ბილეთი, მაშინ, როდესაც ი. მ. ხუხაშვილის მოქმედება სასპეკულაციოდ შეძენილი ბილეთების რაოდენობისა და ღირებულების, აგრეთვე იმ გამორჩენის ოდენობის გათვალისწინებით, რომელიც მას შეეძლო მიეღო ბილეთების რეალიზაციის შედეგად, არ სცილდებოდა წვრილმანი სპეკულაციის მცდელობის ფარგლებს.

უკანონოდ დასჯის შემთხვევები იმითაც არის განპირობებული, რომ სასამართლოები ზოგჯერ ივიწყებენ საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიციის სავალდებულო მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც წვრილმანი სპეკულაცია მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, თუ იგი პირის მიერ ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მის მიმართ ასეთივე მოქმედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

ქ. თბილისის 1 მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1967 წლის 24 თებერვლის განაჩენით ა. გ. ჯაფარიძეს მსჯავრი დაედო საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-3 ნაწილით, თუმცა საქმიდან არ ჩანდა, რომ მის მიმართ წვრილანი სპეკულაციისათვის უკვე გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

ჯერ კიდევ არ არის ერთიანი პრაქტიკა იმ საკითხზე, თუ რა სახის მოქმედება უნდა ჩაითვალოს ხელობის სახით ჩადენილ სპეკულაციად.

ზოგიერთი სასამართლო შეცდომით თვლის, რომ სპეკულაცია, ჩადენილი პირის მიერ, რომელიც ადრე გასამართლებული იყო ასეთივე მოქმედებისათვის, ყველა შემთხვევაში განხილული უნდა იქნეს ხელობის სახით ჩადენილ სპეკულაციად.

ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-2 ნაწილით დასაჯა სააკიანი მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა სასჯელის მოხდის შემდეგ, რომელიც შეფარდებული ჰქონდა სპეკულაციისათვის, განეორებით ჩაიდინა ასეთივე დანაშაული.

სააკიანი პირველი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ ჩაბმული იყო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და წლების განმავლობაში, მათ შორის დანაშაულის განმეორებით ჩადენის დროსაც მუშაობდა, სპეკულაცია არ წარმოადგენდა მისი შემოსავლის ერთადერთ ან ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, ე. ი. მას არ ჩაუდენია სპეკულაცია ხელობის სახით, ამიტომ ზემდგომი სასამართლოს მიერ მისი მოქმედება მართებულად იქნა გადაკვალიფიცირებული საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-2 ნაწილიდან ამავე მუხლის I ნაწილზე.

ზოგჯერ სასამართლოები ხელობის სახით ჩადენილ სპეკულაციად თვლიან და საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-2 ნაწილით აკვალიფიცირებენ აგრეთვე ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახეზე გვაქვს მხოლოდ სისტემატური წვრილმანი სპეკულაცია და დამნაშავე პირი მიზნად არ ისახავს მნიშვნელოვანი გამორჩენის მიღებას.

ცალკეულ შემთხვევებში არასწორად წყდება აგრეთვე საკითხი, როგორი მოქმედება უნდა ჩაითვალოს დიდი ოდენობის სპეკულაციად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-2 ნაწილიდან ამავე მუხლის I ნაწილზე იქნა გადაკვალიფიცირებული ს. ი. ბერძენიშვილის მოქმედება, რომელმაც სასპეკულაციოდ შეისყიდა 2.500 კგ ვაშლი, თვითეული კილოგრამი 1 მანეთად და 88 კაპიკად და რეალიზაცია უყო 1 კილოგრამს 3 მანეთად.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ და იმავე კოლეგიის სხვა შემადგენლობამ კი დიდი ოდენობის სპეკულაციად მიიჩნიეს დამნაშავის მოქმედება, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან სასპეკულაციოდ შეისყიდა 800 კგ ვაშლი, კილოგრამი 30 კაპიკად, ხოლო რეალიზაცია უყო კილოგრამს 70 კაპიკად.

სასპეკულაციოდ შეძენილი საქონლის რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, თუ რა გამორჩენა მიიღეს ხსენებულმა პირებმა. პირველის მოქმედება შეიცავს საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო მეორესი ამავე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

ხშირად განაჩენები არ შეიცავენ მითითებას სპეკულაციის მაკვალიფიცირებელ ნიშნებზე, ე. ი. მათში არ არის აღნიშნული, თუ რა ნიშნის მიხედვით არის პირი დასჯილი საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-2 ნაწილით, რის გამოც ისინი მოკლებულნი არიან დასაბუთებულობას.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა სასამართლოები განაჩენის დადგენისას არ წყვეტენ ნივთმტკიცების ბედს და კონფისკაციას არ უკეთებენ სასპეკულაციოდ შეძენილ საგნებს თანახმად საქ. სსრ სსსკ 77-ე მუხლისა.

სასამართლოები სათანადოდ არ ასრულებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის № 7 და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის № 5 დადგენილებებს და სპეკულაციის საქმეებს საკმაო რაოდენობით არ იხილავენ გამსვლელ სესიებზე.

სათანადო დონეზე არ დგას სპეკულაციის საქმეთა განხილვაში საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და საზოგადოებრივ დამცველთა ჩაბმის, ამ დანაშაულის ხელშემწყობი კონკრეტული პირობების, მიზეზების გამორკვევის და მათ ასაცდენად მიმართული წარდგინებების და კერძო განჩინებების გამოტანის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ადგენს:

1. კვლავ მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ ეფექტური ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ შეადგენს სასამართლო ორგანოების მნიშვნელოვან ამოცანას.

მოცემულ საქმეებზე სასჯელის ღონისძიების განსაზღვრის დროს ზუსტად იხელმძღვანელონ კანონის მოთხოვნით, გაითვალისწინონ დამნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავის პიროვნება, ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი და პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებანი, განსაკუთრებით გააძლიერონ ბრძოლა კვალიფიციური სახის სპეკულაციის ჩამდენ პირთა მიმართ.

2. აღმოფხვრან იმ პირთა უკანონოდ სამართალში მიცემისა და დასჯის ფაქტები, რომელთა მოქმედებები არ შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობას. კერძოდ, ადგილი არ ექნეს სამართალში მიცემისა და დასჯის ფაქტებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირის მიერ ჩადენილია წვრილმანი სპეკულაცია, უკეთუ მის მიმართ ასეთივე მოქმედებისათვის წინათ არ იყო გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება. ამასთან დაკავშირებით განემარტოს სასამართლოებს, რომ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა ცნების ქვეშ გაგებული უნდა იქნეს ისეთი ღონისძიებებიც, როგორიცაა მილიციის ორგანოს მიერ პირის დაჯარიმება, გაფრთხილება ხელწერილის ჩამორთმევით და სხვ.

საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-3 ნაწილით დასჯილნი უნდა იქნენ ის პირებიც, რომლებიც წინათ გასამართლებული იყვნენ სპეკულაციისათვის და ნასამართლობის მოხსნამდე ან გაქარწყლებამდე ჩაიდინეს წვრილმანი სპეკულაცია.

3. პირის მოქმედებაში სპეკულაციის მაკვალიფიცირებელი ნიშნების არსებობის ან არ არსებობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოებმა იხელმძღვანელონ იმ განმარტებებით, რომლებიც მოცემულია „სპეკულაციის საქმეებზე სასამართლოს პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის № 5 დადგენილების მე-2 პუნქტში, ამასთან ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირს მსჯავრი ედება, საქ. სსრ სსკ 165 მუხლის მე-2 ნაწილით, განაჩენში აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული იმ ნიშანზე, რომლის მიხედვითაც სპეკულაცია მიჩნეულია დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად.

4. აღმოიფხვრას საქ. სსრ სსსკ 77-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები და სასპეკულაციოდ შეძენილ საგნებს აუცილებლად ეყოს კონფისკაცია.

5. განუხრელად იქნეს შესრულებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის № 7 დადგენილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 5 მარტის № 5 დადგენილების მე-3 პუნქტის მითითება საქმეთა განხილვაში საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და საზოგადოებრივ დამცველთა ფართოდ ჩაბმის, საქმეთა გამსვლელ სესიებზე უფრო ხშირად განხილვის, დანაშაულის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების ყოველმხრივ გამოაშკარავებისა და სათანადო შემთხვევებში წარდგინებების და კერძო განჩინებების გამოტანის აუცილებლობის თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ზ. მესენგისერი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 7

1967 წლის 20 ნოემბერი

სხეულის დაზიანების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ს. ი. ქაჯაიას მოხსენება „სხეულის დაზიანების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ „დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე“ სკკპ ცკ-სა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის დადგენილების მიღების შემდეგ, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები უფრო სწორად განუსაზღვრავენ სამართალში მიცემულთ სასჯელის ზომას, მხედველობაში იღებენ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, დამნაშავის პიროვნებასა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. ყოველივე ამის შედეგად უკანასკნელ წლებში შესამჩნევად იკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასამართლობამ დასახელებულ დანაშაულობებზე. ასე, 1967 წლის პირველ ნახევარში 1966 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 18,4 პროცენტით შემცირდა მსჯავრდებულ პირთა რიცხვი, მათ შორის, განზრახი სხეულის მძიმე დაზიანებისათვის მსჯავრდებულთა რიცხვი — 20 პროცენტზე მეტით.

სასამართლო ორგანოებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მოცემული კატეგორიის საქმეთა განხილვის ხარისხიც. მაგრამ ამასთან ერთად, პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. სასამართლოები ჯერ კიდევ არა საკმაო ზომით აფასებენ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ხოლო ამ კატეგორიის საქმეებზე ზოგიერთ შემთხვევებში გამოაქვთ ლიბერალური განაჩენები. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით მსჯავრდებულთაგან დაახლოებით 10%-ს მიესაჯა ისეთი სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, ხოლო დაახლოებით 30 პროცენტი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე.

ასე, ქ. ხოხუმის სახალხო სასამართლომ, სცნო რა ცანავა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით მასში, რომ დაზარალებულ ფანცულაიას ზურგის არეში დანის დარტყმით მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე დაზიანება, მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 2 წლით.

ქ. გორის სახალხო სასამართლომ დადგენილად ჩასთვალა, რა, რომ სხვადასხვა დანაშაულთათვის, მათ შორის, ანალოგიური დანაშაულისათვისაც არა ერთხელ ნასამართლევმა ხუციშვილმა ჩხუბი აუტეხა დაზარალებულ გურაშვილს, წააქცია და მიაყენა მას სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე დაზიანება, საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით მას მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

არის შემთხვევები როდესაც ამ კატეგორიის საქმეებზე გამოტანილია დაუსაბუთებელი განაჩენები.

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლომ დამნაშავედ სცნო და დასაჯა გ. ვ. მელქაძე საქართველოს სსრ სსკ 112 მუხლის 1 ნაწილით იმისათვის, რომ მან მიაყენა შ. ა. მაღლაფერიძეს განზრახი მსუბუქი დაზიანება, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა.

ზედამხედველობის წესით ამ საქმის განხილვისას დადგენილ იქნა, რომ გ. ვ. მელქაძის ქმედობაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა, რადგან მან დაზარალებულს სხეულის დაზიანება მიაყენა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მას ურტყამდა, ე. ი. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

ჯერ კიდევ ხშირია სხეულის დაზიანების შესახებ დანაშაულთა კვალიფიკაციაში შეცდომები, ამ დანაშაულთა ერთობლიობის, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების, სხეულის დაზიანების, რომელმაც სახის წარუშლელი დამახინჯება გამოიწვია, აგრეთვე გაუპატიურების, ხულიგნობის და სხვა ისეთ დანაშაულთა, რომლებსაც თან ერთვოდა სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება, არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის №4 დადგენილების „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ საწინააღმდეგოდ, რომელმაც მიუთითა იმის აუცილებლობაზე, რომ მკაცრად განსხვავებული იქნეს განზრახი მკვლელობა, რომელიც გულისხმობს დამნაშავის მხრივ პირდაპირ ან არაპირდაპირ განზრახვას დაზარალებულისათვის სიკვდილის მიყენებაზე სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან, რომელმაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია. სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ამ დანაშაულის არასწორ კვალიფიკაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 105 მუხლით მსჯავრდებული იქნა ე. ი. მესტვირიშვილი იმისათვის, რომ მან ბარძაყის შუა მესამედში დანის დარტყმით სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა დაზარალებულს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა დიდი ოდენობით სისხლის დაკარგვის გამო.

საქმეზე დადგენილი არ იყო, რომ ე. ი. მესტვერიშვილს სურდა ან უშვებდა დაზარალებულის სიკვდილს, ე. ი. რომ მან ჩაიდინა განზრახი მკვლელობა. საქმის გარემოებები კი მოწმობდნენ, იმას, რომ ის არ ითვალისწინებდა დაზარალებულის სიკვდილს, თუმცა შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა, ამიტომ ე. ი. მესტვირიშვილის ქმედობა შემდგომში გადაკვალიფიცირებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 11 ნაწილზე.

ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. იამანიძეს მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით.

საქმეზე დადგენილი იქნა, რომ ნ. იამანიძემ, იყო რა ცუდ დამოკიდებულებაში დაზარალებულ გ. იამანიძესთან, დანით გულის არეში მიაყენა მას რამოდენიმე ჭრილობა, ე. ი. სიცოცხლისათვის საშიში სხეულის მძიმე დაზიანება.

საქმის გარემოებები, მათ შორის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ორგანოებში დაზარალებულისათვის მრავალი ჭრილობის მიყენების ფაქტი მოწმობდნენ, იმას რომ მსჯავრდებულის განზრახვა მიმართული იყო სიცოცხლის მოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პობაზე, რის გამოც განაჩენი ამ საქმეზე გაუქმებული იქნა.

ადგილი აქვს სხვა დანაშაულთა არასწორ კვალიფიკაციასაც.

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო ვ. მ. აბხაძეს საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით იმისათვის, რომ მან არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას აგინა ქარხანა „კოოპმშენის“ საამქროს უფროსს და ხელის გარტყმით მიაყენა ამ უკანასკნელს სხეულის მძიმე დაზიანება.

აღნიშნული საქმის ზედამხედველობის წესით განხილვისას დადგენილ იქნა, რომ ტყეშელაშვილს ეჭვი ჰქონდა ვ. მ. აბხაძეზე, რომ ის ქარხნიდან იპარავდა რკინის არმატურას, ბრალი დასდო მას ამ დანაშაულში და დაემუქრა, რომ ამის შესახებ მილიციას შეატყობინებდა, ხოლო მაშინ, როდესაც ამის გამო მათ შორის ატყდა კამათი, დაზარალებულმა შეურაცხყო ტყეშელაშვილი და პირველმა გაარტყა მას სახის არეში. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ვ. მ. აბხაძემ სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა დაზარალებულს უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რის გამოც მის მიერ ჩადენილი დანაშაული გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ სსკ 113 მუხლზე.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ა. გ. გეგორჭიანი დამნაშავედ იქნა ცნობილი მასში, რომ, მუშაობდა რა ტაქსის მძღოლად და მიუახლოვდა რა მანქანით გაჩერებას, წაეჩხუბა მგზავრებს და ერთერთ მათგანს მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება, ე. ი. ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით.

მაგრამ ზედამხედველობის წესით ამ საქმის განხილვისას დადგენილ იქნა, რომ თვით მგზავრებმა, იყვნენ რა არაფხიზელ მდგომარეობაში, შეურაცხყვეს ა. გ. გეგორჭიანი და აუტეხეს მას ჩხუბი, რა დროსაც მან გაარტყა ერთერთ მათგანს, რომელიც დაეცა და დაარტყა თავი ასფალტს, მიიღო სხეულის დაზიანება. აღნიშნულთან დაკავშირებით ა. გ. გეგორჭიანის ქმედება გადაკვალიფიცირებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ 115 მუხლის 1 ნაწილზე.

პრაქტიკაში ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლოები არ ასრულებენ „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ 1963 წლის 25 მარტის №2 და “ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ 1964 წლის 22 დეკემბრის № 17 დადგენილებებში მოცემულ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებებს იმის შესახებ, რომ ამ დანაშაულთა კვალიფიკაციისას, მაშინ როდესაც მათ თან ერთვის სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, არ არის საჭირო დამატებითი კვალიფიკაცია იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ ამ დანაშაულობებს.

ასე, მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ დამნაშავედ სცნო ზ. დ. თოხაძე საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის 1 ნაწილითა და 111 მუხლის 1 ნაწილით, ხოლო თელავის რაიონის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო ა. ს. ხეთაგურს საქართველოს სსრ სსკ 117 მუხლის 1 ნაწილით და 111 მუხლის 11 ნაწილით.

სხეულის დაზიანების შესახებ საქმეთა განხილვისას სასამართლოებში ჯერ კიდევ ირღვევა სასამართლო წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიცაა სასამართლო განხილვის ყოველმხრივობა, სისრულე და ობიექტურობა, უშუალობა და უწყვეტობა, აგრეთვე ექსპერტიზის ჩატარების წესები. ამასთან განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ის გარემოება, რომ სასამართლოები არასაკმაოდ სრულად იკვლევენ და აფასებენ ექსპერტთა დასკვნებს. მხედველობიდან უშვებენ, რომ საქართველოს სსრ სსსკ 63 მუხლის შესაბამისად, ექსპერტიზის აუცილებელი ჩატარება სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის დასადგენად, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, სრულიად არ გამორიცხავს მის გამოკვლევასა და შეფასებას სხვა მტკიცებულობათა მსგავსად, რომ ხახის წარუხოცელი დაზიანების მიყენებით გამოწვეული დამახინჯების განსაზღვრა შედის სასამართლოს კომპეტენციაში.

ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ დამნაშავედ სცნო და მსჯავრი დასდო გ. ვ. კაპანაძეს საქართველოს სსრ სსკ 112 მუხლის 11 ნაწილით და ამის დასასაბუთებლად მიუთითა კომისიური ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც დაზარალებულისათვის მიყენებული ჭრილობა მიჩნეულ იყო სხეულის მსუბუქ დაზიანებად ჯანმრთელობის მოშლით.

ამასთან სახალხო სასამართლო არა საკმაო ყურადღებით მიუდგა ამ საკითხის დადგენას, რის გამოც ვერ შენიშნა, რომ ხსენებული ექსპერტიზის დასკვნა ეყრდნობოდა მხოლოდ დაზარალებულის ავადმყოფობის ისტორიას, მაშინ, როდესაც საქმეში იყო ექსპერტის პირველადი დასკვნა, რომელმაც პირადად შეამოწმა დაზარალებული და მისცა დაწვრილებითი დასკვნა იმის შესახებ, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანება მიეკუთვნებოდა მძიმე დაზიანებათა კატეგორიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით გაუქმებული იქნა სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც კ. შ. გაგუა დამნაშავედ იქნა ცნობილი და დაისაჯა საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ განაჩენის გაუქმებას საფუძვლად დაედო კერძოდ ის გარემოება, რომ სასამართლო სხდომის ოქმში აღნიშნული არ იყო სასამართლოს მიერ დაზარალებულის სახის დათვალიერების შესახებ, ხოლო განაჩენში მოტივირებული არ იყო დასკვნა იმის შესახებ, რომ დაზარალებულისათვის დაზიანების მიყენებამ გამოიწვია სახის დამახინჯება.

საჭიროა, აგრეთვე აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში გვხვდება ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის შემთხვევები, არასაკმაოა გამსვლელი სესიებისა და სასამართლო განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის რაოდენობა. ადგილი აქვს სამოქალაქო სარჩელის განუხილველად დატოვების ან მის შესახებ დაუსაბუთებელი დასკვნების გაკეთების, დანაშაულის ხელისშემწყობ გარემოებათა არგამოვლინების და თავიდან არაცილების, კერძოდ იარაღის დამზადების ადგილისა და იმ პირთა დაუდგენლობის შემთხვევებს, ვისგანაც იძენენ ასეთს, აგრეთვე სასამართლოების მხრივ გამოძიების ორგანოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის უხეშად დარღვევის რეაგირების გარეშე დატოვების ფაქტებს.

ყოველივე ამას სასამართლოები მიჰყავს საქმეზე არსებითად არასწორ დასკვნამდე, ხდება განაჩენების შეცვლა და გაუქმება საქმის დამატებით გამოძიებაზე და ახალ სასამართლო განხილვაზე დაბრუნებით, რაც უარყოფითად მოქმედებს დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიურობაზე და ამცირებს განაჩენის აღმზრდელობით მნიშვნელობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი — ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ ყველა სასამართლო ორგანომ:

ა) მთლიანად აღმოფხვრას პრაქტიკიდან აღნიშნული დარღვევები და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას თავის საქმიანობაში მკაცრად იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებებით, რათა ყოველ დამნაშავეს განესაზღვროს სამართლიანი სასჯელი და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და დასჯილი.

ბ) მკაცრად დაიცვას სამართალწარმოების ყველა ნორმა და პრინციპი, გამოავლინოს და თავიდან აიცილოს დანაშაულის ხელისშემწყობი გარემოებები, მათ შორის ადგილი და პირები, რომლებიც ამზადებენ ცეცხლმსროლელ და ცივ იარაღს და თავისი არსებითი დასკვნები საქმეზე გააკეთოს ყველა მტკიცებულების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე თავის შინაგან რწმენაზე დაყრდნობით, რაც უნდა ემყარებოდეს საქმის გარემოებათა ერთობლიობის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, იხელმძღვანელოს კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით.

სასამართლომ გულდასმით უნდა გამოიკვლიოს და კრიტიკულად შეაფასოს ყველა მტკიცებები, მათ შორის ექსპერტთა დასკვნებიც, რომლებიც მისთვის სავალდებულო არ არის.

ამასთან თუ სასამართლო არ დეთანხმება ამ დასკვნებს, მან ეს უნდა დასაბუთოს.

2. თითოეული სამართალში მიცემულისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღოს ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, დამნაშავის პიროვნება და საქმის გარემოებები, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას. ამასთან, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულობებს, რომლებიც ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება პრაქტიკაში, კანონმდებელი მიაკუთვნებს მძიმე დანაშაულთა რიცხვს.

3. არ დაუშვას სხეულის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სარჩელის უსაფუძვლოდ განუხილველად დატოვების, აგრეთვე მისი არასწორად გადაწყვეტის შემთხვევები.

4. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების, რომელმაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია, განზრახი მკვლელობისაგან, აგრეთვე სხეულის განზრახი დაზიანების მკვლელობის მცდელობისაგან გამიჯვნისას, თანახმად „განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის № 4 დადგენილებისა, სასამართლოები უნდა გამომდინარეობდნენ ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოების ერთობლიობიდან, კერძოდ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის ჩადენამდე დამნაშავისა და დაზარალებულის ქცევა, მათი ურთიერთობა, დანაშაულის ხერხები და იარაღი, აგრეთვე თვით ჭრილობების ხასიათი (მაგალითად ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებში) და სხვ. ყველა ამ გარემოების ერთობლიობაში დადგენას, შეუძლია დაეხმაროს სასამართლოს იმ საკითხის სწორად გადაწყვეტაში, ითვალისწინებდა თუ არა დამნაშავე თავისი მოქმედებების შედეგებს. თუ სასამართლო ამასთან დადგენილად ჩასთვლის, რომ სამართალში მიცემული ითვალისწინებდა დაზარალებულის სიკვდილს და განურჩევლად ეკიდებოდა ამ შედეგს, მაშინ დამნაშავის ქმედობა, როგორც არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახი მკვლელობა.

5. გაუპატიურებისა და ხულიგნობის კვალი-

ფიკაციისას მაშინ, როდესაც მათ თან ერთვოდა დაზარალებულისათვის სხეულზე მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება, არ არის საჭირო დამატებითი კვალიფიკაცია იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას პიროვნების ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებისათვის.

იმ შემთხვევებში, როდესაც გაუპატიურებას ან ხულიგნობას თან ერთვოდა დაზარალებულისათვის სხეულის მძიმე დაზიანებების მიყენება, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს საქართველოს სსრ სსკ 117 მუხლის 111 ნაწილით, ან 228 მუხლის შესაბამისი ნაწილით და 110 მუხლის 1 ნაწილით.

6. სახეზე მიყენებული დაზიანების წარუხოცელობის დადგენის საკითხი შედის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციაში, ხოლო ამახინჯებს თუ არა ეს დაზიანება დაზარალებულის სახეს, მოტივირებული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ განაჩენში საქმის მასალების და დაზარალებულის სახის დათვალიერების საფუძველზე, რაც აღნიშნული უნდა იქნეს სასამართლოს სხდომის ოქმში.

7. ამა თუ იმ მოქმედების საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით კვალიფიკაციისათვის სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ დამნაშავის განზრახვა მიმართული იყოს სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებაზე, არამედ საკმარისია საერთოდ სხეულის დაზიანების განზრახვის დადგენა, რომლის სიმძიმეს დამნაშავე შესაძლოა, განურჩევლად ეკიდებოდა.

8. სიცოცხლისათვის საშიში სხეულის განზრახი დაზიანება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 1 ნაწილით თუ ის ასეთს წარმოადგენს მიყენების მომენტში, იმის მიუხედავად, თუ როგორ შეიცვალა დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა შემდგომში (მისი სიკვდილის შემთხვევის გარდა).

9. საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის 111 ნაწილით შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს მხოლოდ იმ პირთა ქმედობა, რომლებიც ამ დანაშაულის ჩადენამდე ცნობილი იქვნენ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად კანონით დადგენილი წესით.

10. იმ შემთხვევებში, როდესაც რამდენიმე დაზარალებულს ერთდროულად მიყენებული აქვს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები, ქმედობები უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების ერთობლიობით, რომლებიც ითვალისწინებდნენ დანაშაულთა ამ სახეებს, ხოლო მაშინ, თუ ერთ დაზარალებულს ერთდროულად მიყენებული აქვს სხვადასხვა ხარისხის რამოდენიმე დაზიანება — სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ყველაზე უფრო მძიმე სხეულის დაზიანებისათვის.

11. სასამართლო ორგანოების ყურადღება მიექცეს იმაზე, რომ თანახმად საქართველოს სსრ სსკ 113 მუხლისა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღელვება გამოწვეულია უეცრად და დაზარალებულის მხრივ ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის პასუხად. ამასთან, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სხეულის მსუბუქი დაზიანებისათვის, თუ ის მიყენებულია უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

12. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების ქვეშ, რაზეც ლაპარაკია საქართველოს სსრ სსკ 114 მუხლში, უნდა გავიგოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმეზე დადგენილი იქნება, რომ დაცვაში მყოფმა პირმა თავდაცვისათვის გამოიყენა ისეთი საშუალებები და მეთოდები, რომელთა გამოყენება აშკარად არ იყო გამოწვეული არც თავდასხმის ხასიათითა და არც რეალური მდგომარეობით, და აშკარა აუცილებლობის გარეშე მიაყენა თავდამსხმელს სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ზ. მესენგისერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ვ. წერეთელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

1967 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ წერეთელი.

თ. წერეთლის სახით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შეემატა კიდევ ერთი წარმომადგენელი სამართლებრივი მეცნიერებისა, რაც ქართული იურიდიული აზრის განვითარების მაჩვენებელია.

თ. წერეთელი დაიბადა 1903 წელს, ქუთაისში, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ექიმ ვასილ წერეთლის ოჯახში. აქ გაატარა მან ბავშვობისა და ყრმობის წლები, აქვე ჩამოყალიბდა მისი პირველი შეხედულებანი ცხოვრების ავ-კარგზე. ამ შეხედულებათა შინაარსი მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჯანსაღმა ოჯახურმა გარემომ და მშობლების პირადმა მაგალითმა. ბავშვობის პირველი შთაბეჭდილებანი და ზნეობრივი წარმოდგენები ერთობ მყარი აღმოჩნდა მომავალი მეცნიერის მთელს შემდგომ ცხოვრებაში. თ. წერეთლის პროგრესული იდეალები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მისი, როგორც მეცნიერის, ჩამოყალიბებაში, პირველად ოჯახურ გარემოცვაში ჩაისახა.

1922 წელს თ. წერეთელი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. ამ დროს იურიდიული განყოფილების წამყვანი პროფესორი იყო გამოჩენილი იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. პროფ. ანდრონიკაშვილმა იმთავითვე მიაქცია ყურადღება თ. წერეთელს, რომელიც გამოირჩეოდა ბუნებრივი ნიჭითა და მაღალი კულტურით. თავის მხრივ თ. წერეთელი უსაზღვროდ გაიტაცა მასწავლებლის ღრმა და შესანიშნავი ორატორული ფორმით წაკითხულმა ლექციებმა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თ. წერეთელი იწყებს პრაქტიკოს — იურისტად მუშაობას სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებებში. იგი მუშაობს რეფერენტად სახელმწიფო არბიტრაჟში და აკსფსრ უმაღლეს სასამართლოში, იურისკონსულტად — საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში.

1933 წელს თ. წერეთელს იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც შესაძლებლობა ეძლევა ფართოდ გამოიყენოს თავის მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობაში სამართლის სხვადასხვა დარგების ღრმა ცოდნა, შეზავებული საჭირო პრაქტიკულ გამოცდილებასთან.

1944 წელს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებლად თ. წერეთელი იცავს დისერტაციას თემაზე: „ობიექტური მომენტის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის“. 1945 წელს კი მივლინებულ იქნა მოსკოვს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის სადოქტორო ასპირანტურაში, რომლის დამთავრებისთანავე დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (1949). ამის შემდეგ იგი უბრუნდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და განაგრძობს მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

თ. წერეთლის მეცნიერული კვლევის ინტერესს შეადგენს სისხლის სამართლის საკვანძო პრობლემები, რომელთა დამუშავება მოითხოვს არა მარტო სისხლის სამართლისა და სამართლის სხვა დარგების (სამართლის ზოგადი თეორია, სამოქალაქო სამართალი) ღრმა ცოდნას, არამედ, აგრეთვე, საფუძვლიან მომზადებას ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში.

თ. წერეთელი ღრმად და ამომწურავად იკვლევს მის წინაშე მდგომ პრობლემებს. საკვლევ პრობლემათა სხვადასხვა ასპექტში გაშუქებით მკვლევარი ადვილად ამჩნევს ამა თუ იმ, ხშირად გაბატონებული, შეხედულების ნაკლს და გაბედულად აკრიტიკებს მას, ისე, რომ ეს კრიტიკა არის შინაგანი, იმანენტური და თავისუფალი შიშველი დეკლარაციულობისაგან.

თ. წერეთლისათვის დამახასიათებელია თეორიული პრობლემების კვლევა არა განყენებულად, ცხოვრებისაგან მოწყვეტით, არამედ მართლმსაჯულების პრაქტიკული ინტერესების შესაბამისად. როგორც საბჭოთა, ისე უცხოური კანონმდებლობის ზედმიწევნითი ცოდნა, სასამართლო პრაქტიკის ოსტატური ანალიზი და განზოგადების საუცხოო უნარი, ღრმა იურიდიული განათლება საშუალებას აძლევს მას გააკეთოს ლოგიკურად დასაბუთებული დასკვნები, რომელთაც ფასდაუდებელი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი თავისი მეცნიერული დებულება, რაოდენ დასაბუთებულიც არ უნდა ჰქონდეს ლოგიკურად, თ. წერეთელს გულდასმით აქვს შემოწმებული ზნეობრივი თვალსაზრისით. ამიტომ მისი მეცნიერული დებულებანი მარტო ფორმალურად როდი შეესაბამებიან სამართლის პრინციპებს, არამედ გამართლებული არიან ზნეობის პოზიციიდანაც.

თ. წერეთელი დანაშაულის პრობლემის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარია სოციალისტური სისხლის სამართლის მეცნიერებაში. მისი ნაშრომი „დანაშაულის შემადგენლობა, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი“ (თანაავტორი ვ. მაყაშვილი, „Советское государство и право“, 1954, № 5) მიძღვნილია დანაშაულის შემადგენლობის ცნების უაღრესად მნიშვნელოვანი და სადავო საკითხისადმი. მან დასაბამი მისცა ფართო დისკუსიას, რომელმაც „Советское государство и право“-ს ფურცლებზე თითქმის ორ წელს გასტანა. ამ ნაშრომმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია საზღვარგარეთ და ითარგმნა კიდეც უნგრულ, პოლონურ და იაპონურ ენებზე.

თ. წერეთლის მეცნიერულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი დანაშაულის ობიექტურ მხარეს. მისი სადოქტორო დისერტაცია „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“, აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილი კაპიტალური გამოკვლევაა; ეს წიგნი პირველად 1957 წელს რუსულ ენაზე გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ხოლო 1963 წელს შევსებული და გაფართოებული სახით განმეორებით დაისტამბა მოსკოვში „გოსიურიზდატის“ მიერ.

დასახელებულ მონოგრაფიაში საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული მიზეზობრივი კავშირის უცხოური თეორიები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყოველმხრივი და ღრმა კრიტიკული ანალიზი მიზეზობრივი კავშირის ექვივალენტური და ადექვატური თეორიებისა, რომლებიც დღესაც გავრცელე-

ბულია ევროპის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში და ფესვგადგმულია სასამართლო პრაქტიკაში. გაკრიტიკებულია აგრეთვე მიზეზობრივი კავშირის ინგლისურ-ამერიკული დოქტრინა.

ნაშრომში ამომწურავად არის გაშუქებული საბჭოთა იურისტების შეხედულებანი. კრიტიკულად განხილულია აუცილებელი მიზეზობრიობის თეორია, რომელიც მეტად გავრცელებულია საბჭოთა იურისტებს შორის.

საკუთარი შეხედულების დასაბუთებისას თ. წერეთელი ემყარება მატერიალისტური დიალექტიკის დებულებას იმის შესახებ, რომ ყოველი მოვლენის წარმოშობა ბუნებასა და საზოგადოებაში არის შედეგი მრავალი სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთზემოქმედებისა. მიზეზი იზოლირებულად მოქმედი ძალა კი არ არის, არამედ ყველა იმ პირობის ერთობლიობაა, რომლის გარეშე მოვლენა-შედეგი ვერ წარმოიშობოდა. შედეგის წარმოშობისათვის აუცილებელი ყველა პირობა ჩართულია მიზეზობრიობის ჯაჭვში, თუმცა ისინი ერთნაირ როლს არ ასრულებენ შედეგის წარმოშობაში. სისხლის სამართლისათვის მიზეზობრიობის ჯაჭვში ჩართულ ასეთ პირობას წარმოადგენს ადამიანის მოქმედება, რომელიც არის conditio sine qua non დანაშაულებრივი შედეგისა. პასუხისმგებლობის სხვა წინამძღვრებთან მიზეზობრივი კავშირის შეპირისპირების დროს თ. წერეთელი ამტკიცებს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველს, მიზეზობრივ კავშირთან ერთად, წარმოადგენს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება. ამასთან დაკავშირებით თ. წერეთელმა განავითარა თავისი საინტერესო მოსაზრება მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელ გარემოებებზე.

ნაშრომში დამაჯერებლად არის გაკრიტიკებული შეხედულება, რომლის მიხედვით უმოქმედობას არ შესწევს უნარი კაუზალური გავლენა იქონიოს გარესამყაროში მიმდინარე პროცესებზე, და მოცემულია უმოქმედობის მიზეზობრიობის ლოგიკურად დასაბუთებული თეორია.

წიგნში თ. წერეთელი გვიჩვენებს, თუ რა ზეგავლენას ახდენს მიზეზობრივი კავშირის ესა თუ ის გაგება ისეთი ძირითადი სისხლისსამართლებრივი ცნებების აგებაზე, როგორიცაა: ბრალის, საზოგადოებრივი საშიშროების, დანაშაულის მცდელობის და თანამონაწილეობის ცნებანი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. მ. ისაევი დიდად აფასებდა თ. წერეთლის შრომის ამ მხარეს. იგი აღნიშნავდა: «Большая заслуга автора состоит в том, что разрабатываемая проблема трактуется не изолировано, а во всех ее связях и опосредствованиях» (იხ. «Причинная связь в уголовном праве», диссертация Т. Церетели, «Советское государство и право», 1949 г., № 9, стр. 70).

თ. წერეთლის გამოკვლევამ მიზეზობრივ კავშირზე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა სოციალისტური ქვეყნების სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში და გამოჩენილ მეცნიერთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ა. ტრაინინი აღნიშნავდა:

«Автор провел самостоятельную, оригинальную и глубокую разработку проблемы причинной связи, исходя из основного положения диалектического материализма об объективной реальности причинных связей..» (იხ. «Причинная связь в уголовном праве», диссертация Т. Цертели, «Советское государство и право», 1949 г., № 9, стр. 70).

პროფ. ვ. კუდრიავცევი, რომელიც მიზეზობრივი კავშირის პრობლემის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნეა საბჭოთა იურისტებს შორის, ასეთ აზრს გამოთქვამს თ. წერეთლის ნაშრომზე: „პროფ. თ. წერეთლის წიგნი ფუნდამენტალური ნაშრომია მიზეზობრიობის საკითხებზე საბჭოთა სისხლის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალში... ამ შემოქმედებითი გამოკვლევის ავტორი დაწვრილებით ავითარებს და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს, რაც, ჩვენი აზრით, მეტად დამაჯერებელია" (იხ. ვ. კუდრიავცევი, ფუნდამენტალური ნაშრომი მიზეზობრიობის საკითხებზე საბჭოთა სისხლის სამართალში, „საბჭოთა სამართალი", 1964 წ. № 5, გვ. 81).

თ. წერეთლის აღნიშნულმა ნაშრომმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთაც. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს პროფ. თ. წერეთლის წიგნს გერმანელი კრიმინალისტი, ბერლინის უნივერსიტეტის პრორექტორი იონ ლექშასი, რომელიც თვით არის ავტორი გამოკვლევისა მიზეზობრივი კავშირის შესახებ. „დასასრულ უნდა ითქვას, — ამთავრებს იგი თავის ვრცელ რეცენზიას თ. წერეთლის წიგნზე,— რომ თ. ვ. წერეთლის ნაშრომი სისხლის სამართალში მიზეზობრიობის პრობლემის შესახებ წარმოადგენს სოციალისტური სისხლის სამართლის მრავალფეროვანი პრობლემების მიმართ საერთოდ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისა და კერძოდ მარქსისტული კაუზალური თეორიის გამოყენების თვალსაჩინო დოკუმენტს... პრობლემების ყოველმხრივი გადაწყვეტა, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, უაღრესად ამდიდრებს სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ თეორიას და მნიშვნელოვანი დახმარებაა პრაქტიკისათვის... წინამდებარე ნაშრომი საუკეთესოა, რაც ამ დარგში დღემდე მოუცია სოციალისტურ სისხლისსამართლებრივ მეცნიერებას. (Staat und Recht, 1959, № 3, S. 414).

დანაშაულის ობიექტური მხარის საკითხებს თ. წერეთელი ეხება აგრეთვე 1966 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი". დანაშაულებრივი ქმედობის ანალიზისას ავტორი მარჯვედ იყენებს საბჭოთა ფსიქოლოგების მოძღვრებას ნებელობითი აქტის შესახებ; დამაჯერებლად აკრიტიკებს ამ საკითხზე არსებულ ბურჟუაზიულ თეორიებს. ნაშრომში ახლებურად არის გადაწყვეტილი დანაშაულებრივი შედეგის ზოგიერთი საკითხი.

თ. წერეთლის რამდენიმე გამოკვლევა ბრალის პრობლემას ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ იურიდიულმა საზოგადოებრიობამ ის ბრალის პრობლემაზე მსჯელობით გაიცნო. 1939 წელს გამოქვეყნებულმა მისმა პირველმა პუბლიკაციამ „გაუფრთხილებლობის შესახებ საბჭოთა სისხლის სამართალში" (თანაავტორი ვ. მაყაშვილი, Проблемы социалистического права, 1939, № 4—5) არა მარტო სწრაფად მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება, არამედ დასაბამი მისცა ბრალის საკითხების გაღრმავებულ შესწავლას საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

ბრალისადმი მიძღვნილ სხვა ნაშრომებში (იხ. «К вопросу о понятии вины» «მოამბე». 1960, № 1; «Вина как предпосылка уголовной ответственности в советском уголовном праве, ჟურ. «Jogtudományi közlöny, 1967, № 1; „ბრალის ცნების განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალში", ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1967, № 4), საინტერესოდ არის დასმული და გამოკვლეული ბრალის პრობლემის სადავო და რთული საკითხები.

ნაშრომში „პასუხისმგებლობის საფუძვლები საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით" (თსუ შრომები, 1951, ტ. 51) თ. წერეთელმა, პირველმა საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში, წამოჭრა საკითხი დანაშაულის ცნების ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. საბჭოთა ფსიქოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით მან გაარკვია, რომ დანაშაულის ზოგად ცნებაში მიზეზობრივი კავშირი და ბრალი შეადგენენ წინააღმდეგობათა ორგანულ ერთიანობას (არა იგივეობას), ანუ შინაგანისა და გარეგანის, სუბიექტურისა და ობიექტურის დიალექტიკურ ერთიანობას.

დანაშაულის ჩადენის სტადიებს ეძღვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა თ. წერეთლის წიგნი „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ (1961). მასში ავტორი ანვითარებს დებულებას, რომელიც პირველად ჯერ კიდევ 1942 წელს წამოაყენა ნაშრომში „რეალური შესაძლებლობის კატეგორიის გამოყენება მცდელობის ცნების აგებისათვის“ (თსუ შრომები, 1942, ტ. 24) დასაბუთებულია, რომ მცდელობის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ შესაძლებლობაში. ეს დებულება მხარდაჭერას პოულობს საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში. კერძოდ, მას იზიარებს პროფ. ა. ა. პიონტკოვსკი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს თ. წერეთლის პრიორიტეტზე აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში (იხ. მისი «Учение о преступлении», 1961, стр. 491).

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი საკითხებია გადაჭრილი თ. წერეთლის წიგნში „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (1965). ამ ნაშრომში ნაჩვენებია კაუზალურ ფაქტორთა არატოლფასობის მნიშვნელობა თანამონაწილეების ცალკეულ სახეთა გამიჯვნისათვის. გაკრიტიკებულია თანამონაწილეობის როგორც ძველი ჰიპერაქცესორული თეორია, ასევე ის თეორიები, რომლებიც სავსებით უარყოფენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოკიდებულებას აღმსრულებლის პასუხისმგებლობისაგან. განვითარებულია შეხედულება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის შეფარდებითი აქცესორულობის შესახებ.

თ. წერეთელს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შემუშავებასა და დახვეწაში. ქართული სამართლებრივი სიტყვა-გამოთქმების შექმნა და დაზუსტება მისი შემოქმედებითი საქმიანობის მხოლოდ თანამდევი პროცესი როდია. გარდა იმისა, რომ თ. წერეთლის ნაშრომებში ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ იურიდიული მოვლენისა თუ ინსტიტუტისათვის შესაფერი ლექსიკური ფორმის გამონახვის ცდას, ის დამოუკიდებელ ტერმინოლოგიურ ძიებასაც ეწევა. განსაკუთრებით დასაფასებელია ინტენსიური მუშაობა, რომელიც თ. წერეთელმა, როგორც ერთ-ერთმა შემდგენელმა და მთავარმა რედაქტორმა გასწია „იურიდიული ტერმინოლოგიის“ რუსულ-ქართული ნაწილის შესაქმნელად (1963).

თ. წერეთელი ღვაწლმოსილი პედაგოგია, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწეობის ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე იურისტთა მრავალი თაობა აღზარდა. ის კვლავაც კითხულობს ლექციებს იურიდიულ ფაკულტეტზე სისხლის სამართალში, ხოლო 1937 წლიდან 1944 წლამდე კითხულობდა სამოქალაქო სამართლის კურსს.

თ. წერეთლის ძირითადი პედაგოგიური პრინციპია, რაც შეიძლება ნათელი გახადოს სტუდენტისათვის ის სოციალურ-პოლიტიკური და ეთიკური მიზნები, რომლებსაც ემსახურება ამა თუ იმ სამართლებრივი პრინციპის, ინსტიტუტისა თუ ნორმის არსებობა. ამავე დროს, იგი სტუდენტებს სისხლის სამართლის მეცნიერების უკვე მზამზარეულ დებულებებს კი არ აწოდებს, არამედ, თავისი მასწავლებლის—უბადლო პედაგოგის ლ. ანდრონიკაშვილის მსგავსად, ცდილობს თვით ჩააბას ისინი მეცნიერული აზროვნების პროცესში. ასეთი მიდგომის წყალობით სტუდენტები მიწოდებულ მასალას იმახსოვრებენ არა ბრმად, პასიურად, არამედ ამ მასალის ღრმა გაცნობიერების შედეგად. ინტერესს თ. წერეთლის ლექციებისადმი მდიდარ შინაარსთან ერთად განსაზღვრავს ლექტორის ბუნებრივი ორატორული ნიჭი და ლექციის წაკითხვის ლაღი, თუმცა, ამავე დროს, მკაცრი მეცნიერული მანერა.

ფართო მეცნიერულ ერუდიციას და პედაგოგიურ გამოცდილებას თ. წერეთელი დაუშურებლად ახმარს მეცნიერ მუშაკთა ახალგაზრდა კადრების აღზრდას. მისი ხელმძღვანელობით ზოგმა უკვე დაიცვა დისერტაცია, ნაწილი კი განაგრძობს მუშაობას კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული კადრების აღზრდა მას თავის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად მიაჩნია.

თ. წერეთელს შესწევს უნარი უსაზღვრო ინტერესი გაუღვიძოს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს სამართლის მრავალფეროვანი პრობლემებისადმი. დიდი სიმკაცრითა და მომთხოვნელობით აჩვევს ის მომავალ მეცნიერებს პასუხისმგებლობას და კეთილსინდისიერებას კვლევით მუშაობაში. თ. წერეთლის მეცნიერული ხელმძღვანელობა ნამდვილი სკოლაა, რომლის გავლით ახალგაზრდა მკვლევარები სასარგებლო მეცნიერულ ჩვევებს იძენენ.

თ. წერეთელი მეცნიერული მუშაობის ცნობილი ორგანიზატორია. ერთხანს ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი იყო, 1957 წლიდან კი სათავეში უდგას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებას (ამჟამად სამართლის სექტორს, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგება). თ. წერეთელი ხელმძღვანელობს იურიდიული მეცნიერული საქმიანობის კოორდინაციას ჩვენს რესპუბლიკაში.

როგორც იურიდიული კომისიის წევრს თ. წერეთელს თავისი წვლილი შეაქვს ახალი კანონპროექტების მომზადებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. წერეთლის მონაწილეობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შედგენაში.

დაუცხრომელ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თ. წერეთელი წარმატებით ათავსებს საზოგადოებრივ საქმიანობასთან. ის არაერთხელ იქნა არჩეული მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად; არის ჟურნალების „საბჭოთა სამართლისა“ და „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი; როგორც მოწინავე საბჭოთა იურისტი ქალი, არჩეულია „იურისტ ქალთა საერთაშორისო ფედერაციის საბჭოთა ასოციაციის აღმასკომის“ წევრად და სხვ.

თ. წერეთელმა დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარებაში. ის დღესაც აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით, მას აღელვებს ახალი პრობლემები, რომელთა გაშუქებას ინტერესით მოელის მთელი ქართული იურიდიული საზოგადოებრიობა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ—ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ



ამბობენ: საუკეთესო ის შრომებია, რომლებიც იძლევიან საზრდოს მჭევრმეტყველებისა და აზრთა ჭიდილისათვის.

ეს დადასტურდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიაში იმ დღესაც, როცა გიორგი ისიდორეს ძე ხარატიშვილი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად იცავდა დისერტაციას თემაზე: „რუსულ დრამატულ თეატრში კ. მარჯანიშვილის რეჟისორული მოღვაწეობის შესწავლისათვის“. შრომაში ახალი აზრების, მოვლენების აღქმამ ფრიად ცხარე, ხანგრძლივი და საინტერესო კამათი გამოიწვია.

დისერტანტმა გადაშალა სრულიად ახალი ფურცლები კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა. მან გააბათილა ზოგიერთი თეატრმცოდნის შეხედულება, თითქოს კ. მარჯანიშვილის რეჟისორული მოღვაწეობა რუსულ დრამატულ თეატრში 1901-1921 წლებში ხასიათდებოდა ბურჟუაზიული ესთეტიზმითა და ფორმალიზმით. მან აღნიშნა, რომ 1905 წლის რევოლუციამდე და მას შემდეგაც — სტოლიპინის რეაქციის წლებში, როდესაც რუსულ დრამატულ ხელოვნებაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა დეკადენტურმა მოძრაობამ და ამ სახის პიესებმა შეზღუდეს რეალისტური დრამატურგია, როდესაც თეატრში დამყარდა რეჟისორის დიქტატურა — რომელმაც სპექტაკლი ფორმალისტურ სანახაობად გადააქცია—მარჯანიშვილი კვლავ რჩებოდა მაღალი, პროგრესული და იდეური თეატრის მომხრეთა მხარეზე და მისი შემოქმედება ძირითადად ამ ხაზით მიმდინარეობდა. ამასთან კ. მარჯანიშვილი, ისევე როგორც კ. სტანისლავსკი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, განიცდიდა თეატრალური მოდერნიზმის გარკვეულ გავლენასაც და ზოგჯერ მათზე უფრო შორსაც მიდიოდა.

სადისერტაციო შრომაში გადმოცემულია ამ მოქმედების ადამიანის ნოვატორული საქმიანობა სცენაზე — დაფუძნებული ფსიქოლოგიურ რეალიზმზე, სპექტაკლში მხატვრული გაფორმების პრიმატის უარყოფაზე, როლის შინაგან, ფსიქოლოგიურ გახსნაზე, სპექტაკლის დეკორატიული გაფორმების სიახლეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომაში ნაჩვენებია, რომ კ. მარჯანიშვილმა პირველმა წამოაყენა საკითხი რუსულ დრამატულ თეატრში სინთეტური მსახიობის მომზადების შესახებ. მანვე შექმნა სინთეტური თეატრი — „თავისუფალი თეატრი", რომელიც 1913 წელს გაიხსნა მოსკოვში. 1919 წელს დადგმული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროთი" კ. მარჯანიშვილმა, პირველმა საბჭოთა რეჟისორებს შორის, დაგვანახვა საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ახალმა თეატრმა წარსულის სიკეთე, როგორ უნდა შეირჩეს პიესები კლასიკური დრამატურგიიდან და შეეთანაწყოს იგი საბჭოთა სინამდვილეს.

ბევრის თქმა შეიძლება დისერტანტის სხვა მიგნებებზეც. მას აქვს სწორი ალღო, ძიება ეყრდნობა მდიდარ ფაქტობრივ მასალას და სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენებას. ამ დისერტაციით კოტე მარჯანიშვილი — ეს მადლი და მადანი თეატრალური ხელოვნებისა — უფრო მეტი სიდიდით და ემოციური ზემოქმედების ძალით წარმოსდგა ჩვენს წინაშე. ამიტომაც იყო, რომ შრომით დაინტერესდნენ ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორებიც არიან პროფესორები ა. დეიჩი, გ. კრიჟიცკი, მწერალი ლევ ნიკულინი, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ე. გოგოლევა, გ. კოზინცევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. მარჯანიშვილი და სხვანი.

* * *

ხელოვნებისადმი ტრფიალმა ადრე გაიტაცა გიორგი ხარატიშვილი. ეს გასაკვირიც არაა: სიყმაწვილეს უყვარს მოვარდნილ ოცნებათა ქარებისა და ფიქრთა ცეცხლის აკიაფება და პოეზია, თეატრი ამ მეოცნებე ფიქრთა ყველაზე კარგი ნავსაყუდელი ხდება. და გიორგი გაიტაცა თეატრმა, ბისმა ცხოვრებამ. საბჭოთა სამართლისა და აღმშენებლობის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სწავლას აგრძელებს მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე.

დაიწყო ძიების, გატაცების, თეატრალურ სამყაროში ჩაწვდომის წლები. იხიბლება სადა, მართალი ხელოვნებით და ყველაფერს რეალისტური თეატრის პრობლემებს უკავშირებს. ამ დროიდან მოყოლებული საინტერესოდ წერს ხელოვნების საკითხებზე და ხელოვნების ისეთ გამოჩენილ წარმომადგენლებზე, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ამდიდრებენ ადამიანის შემეცნებას, ჩააფიქრებენ და ლამაზ ფიქრებს აზიარებენ. ის ყოველგვარი პათეტიკის გარეშე გვიამბობს იოჰან შტრაუსის ვალსებზე, ქართული კომიკური ოპერის ფუძემდებელ—ვიქტორ დოლიძეზე, ჟორჟ ბიზესა და ქართულ ვოკალურ კულტურაზე...

ტიციან ტაბიძე ერთგან წერს: ჩვენდა საბედნიეროდ თუ საზიანოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ძალიან უყვარს ადამიანის ამაღლება და მალე დაცემაცო. ადამიანის ამაღლება ეს არის წყურვილი სტატისტიკით მცირე ხალხის — ჰყავდეს კერპი და დაცემაც იმის ბრალია, რომ რადიუსის სიმოკლე უშლის თვალიდან კერპის მიფარებას და მალე იმსხვრევა, როცა თვალები მიაშტერდებიანო. სწორედ ამასვე უჩივის გ. ხარატიშვილი თავის პორტრეტებში ნუცა ჩხეიძის, გიორგი შავგულიძისა და სხვათა მიმართ, როდესაც იგი ფრიად ემოციური ნაირფეროვნებითა და ფსიქოლოგიური ნიუანსების ზუსტი ხაზებით ჰყვება ამ ქართულ შემოქმედთა სახეებზე.

აი, როგორ ლაპარაკობს ნუცა ჩხეიძეზე:

„ნ. ჩხეიძემ ჭეშმარიტად შექმნა სცენური ხელოვნების გარკვეული შემოქმედებითი სტილი, რომელიც როლის შინაგანი, ღრმა ფსიქოლოგიური განცდით გახსნასა და წარმოსახვაში მდგომარეობდა. იმ პერიოდში მსოფლიო თეატრალურ ხელოვნებაში ამ მიმართებით საუკეთესო წარმომადგენელი იყო იტალიელი გენიალური მსახიობი ელეონორა დუზე. 1922 წელს კ. სტანისლავსკი მ. ერმოლოვას სწერდა: „ეჰ! რატომ არ იყავით თქვენ თავის დროზე ევროპაში? მაშინ ყველას ეცოდინებოდა, რომ მსოფლიოში პირველი მსახიობი დუზე კი არ არის, არამედ ჩვენი მარიამ ნიკოლოზის ასული“. თუ კი ეს ითქმის მ. ერმოლოვაზე, იმ ხელოვანზე, რომელიც თეატრალური კულტურის ერთ-ერთ ცენტრში, მოსკოვში, ამ „თეატრალურ მეჭაში“ მოღვაწეობდა, მაშინ რაღა ვთქვათ ჩვენს ნინო ჩხეიძეზე, რომლის მთელი შემოქმედება მხოლოდ პატარა საქართველოს ეროვნულ სცენაზე დაიფერფლა“. ამ დროს გ. ხარატიშვილი თავისი ეროვნული თავმოყვარეობით სრულიადაც არ აჭარბებს და შეუფერებელ ქებათა-ქებას არ უკმევს ქართველ ხელოვანთ, არამედ მეტყველი სიამაყით (და ამასთან გულისტკივილითაც) აღვსილი ჰყვება მათზე. იგი ხომ ქართული თეატრის პულსით ცხოვრობს და მისი გამარჯვების წყურვილითაა ატანილი...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებს ჩვეული გატაცებით ესაუბრება ი. პროტაზანოვის, ე. ბაუერის, ვ. გარდინის, ი. პერესტიანის ნამუშევრებზე; ი. მოზჟუხინის, ვ. ხოლოდნაიას, ო. რუნიჩის აქტიორულ მოღვაწეობაზე; ს. ეიზენშტეინის ეპიურ სურათზე, პუდოვკინის ეპოსში დრამატიულ საწყისების გახსნაზე, ნ. შენგელაიას რომანტიულ „ელისოზე“... აქ მას მიჰყავს ლექციების კურსი სსრ კავშირის კინოს ისტორიაში.

* * *

მაგრამ ხელოვნებას ხშირად იურისპრუდენცია ენაცვლება, გიორგის ყოფით ამბებზეც უხდება ფიქრი — ბრალდებულთა და სამართალში მოცემულთა კანონიერი ინტერესების დაცვა, წუხს მათზე, ესარჩლება.... ამ დროს უფრო ნათლად ჩანს ამ კაცური ადამიანის ბუნება, ფაქიზი, მოსიყვარულე სული. მას არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, მაგრამ თითოეული მისი გამოსვლა პროცესზე ეს შეხვედრაა მასთან, ლაპარაკს იწვევს მასზე... საქმის მასალების ზედმიწევნით შესწავლა, სამართლებრივი პოზიციის გამოკვეთილობა და დასაბუთებულობა, თანმიმდევრულობა და სიზუსტე მისი დაცვითი სიტყვის ღირსებაა. საქმის გადმოცემის ანალიზი ერწყმის მტკიცებულების სისტემის ლოგიკურობას, ამასთან მისი სიტყვის ძალა მისსავე სისადავესა და უბრალოებაშია. ეს კი თხოულობს აზროვნებასა და აზროვნებას.

ასეთია ეს კაცი, კარგი კაცური თვისებებით, კაცი ხელოვნებათმცოდნე და იურისტი. მათ სამსახურშია ისიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

ლამარა ისაკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანტასტიკური პროცესი

1717 წლის ოქტომბერში, მრავალი პარიზელი ჩერდებოდა იუსტიციის სასახლესთან, რათა შეეხედათ სადარბაზოსკენ მიმავალ კარეტებისათვის. მდიდრულად ჩაცმული პარიკებიანი ქალბატონები და ბატონები სწრაფად უჩინარდებოდნენ სხდომის დარბაზის დიდ კარებში.

ეს ბრწყინვალე საზოგადოება მიიზიდა აქ ვინმე ბატონ ბუასოს სარჩელმა, რომელიც მოითხოვდა ექვსი წლის წინათ გარდაცვლილ და სენ-ჟერმენ-დე-პრე-ს საბატონოში დაკრძალული მეუღლის კლემენს დე ლა ფაილის დაბრუნებას. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სასამართლოს დარბაზში მყოფი მოპასუხე ქალი არის კლემენს დე ლა ფაილი, თუმცა მოპასუხე დაჟინებით იმეორებდა, რომ ის მაიორ ჟორჟ დე გარანის კანონიერი მეუღლეა.

პროცესის წინა ისტორია უცნაური იყო.

ათი წლის წინ, როდესაც კლემენს თექვსმეტი წელი შეუსრულდა, მამამისმა, პარლანენტის თავმჯდომარემ, დაქვრივების შემდეგ, ბავშვი გაგზავნა მეუღლის მშობლებთან ქალაქ ტულუზაში. აქ იგი შეხვდა ახალგაზრდა ოფიცერს ჟორჟ დე გარანს. ახალგაზრდებს შეუყვარდათ ერთმანეთი და მალე ნიშნობაც გამოაცხადეს, მაგრამ უცაბედად ჟორჟი პოლკში გამოიძახეს და ინდოეთში გამგზავრება უბრძანეს. ახალგაზრდა ოფიცერი ევედრებოდა თავის მომავალ სასიმამროს დე ლა ფაილს ნება დაერთო ინდოეთში გამგზავრებამდე კლემენსთან დაეწერა ჯვარი, მაგრამ კლემენსის მამამ უარი განაცხადა. მას არ სურდა, რომ მის ქალიშვილს თავისი ბედი კოლონიალურ ჯარების ოფიცრისათვის დაეკავშირებინა, რომელსაც მცირე ხელფასი ჰქონდა და ამასთან მდგომარეობა ფრიად ცვალებადი. დამშვიდობებისას შეყვარებულებმა სამუდამო ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს.

ორი წლის განმავლობაში ჟორჟიდან არავითარი ცნობა არ მოსულა; შემდეგ კი მიიღეს ოფიციალური შეტყობინება იმის შესახებ, რომ ინდოეთში მყოფი პოლკი, სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს მთლიანად განადგურდა და კაპიტანი გარანიც იქ დაიღუპაო.

უბედურებისაგან დამწუხრებულმა კლემენსმა გადაწყვიტა, რომ თავისი ცხოვრება საქმროს ხსოვნისათვის მიეძღვნა, მაგრამ მამამისმა ჯერ დაყვავებით, ხოლო შემდეგ მუქარით თავისას მიაღწია — ერთი წლის შემდეგ იგი მოხუცი აზნაურის ბატონ დე ბუასოს ცოლი გახდა, ხოლო წლის თავზე ქალიშვილიც შეეძინა.

ვერც დედობის გრძნობამ შეუცვალა ახალგაზრდა ქალს ხასიათი, ერთთავად ჩაფიქრებული და სევდიანი იყო. ის ავად გახდა; 1711 წლის 13 ოქტომბერს ექიმმა დაადასტურა მისი სიკვდილი. მეორე დღეს ის დაასაფლავეს.

იმავე დღეს ინდოეთიდან დაბრუნდა ჟორჟ დე გარანი, რომელიც ყველას მკვდარი ეგონა. აუწყეს თუ არა ყოფილი საცოლის გარდაცვალება, კაპიტანი გულისტკივილით გაემართა სასაფლაოზე, სადაც საკაო თანხის მიცემით დაიყოლია დარაჯი მისთვის აკლდამა გაეხსნა, რათა ერთხელ კიდევ შეეხედა სატრფოსთვის. რაც შემდეგ მოხდა „მძინარე მზეთუნახავის“ ზღაპარს მოგვაგონებს. შეყვარებულის მოხვევისთანავე, ვითომდა გარდაცვალებული გაცოცხლდა. მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ თუ რა მოხდა სინამდვილეში. ზუსტად დადგენილია მხოლოდ ეს: აკლდამის მონახულების ორი დღის შემდეგ გარანი ავიდა გემბანზე, რომელიც ინდოეთში მიემგზავრებოდა. ყველას დასანახად ის მარტო გაემგზავრა.

გავიდა ხუთი წელი. ბატონი დე ბუასო კლემენსის სიკვდილის წლისთავზე, ისე როგორც წინა წლებშიც. მივიდა სასაფლაოზე, რათა მეუღლის ცხედართან ყვავილები დაელაგებინა. მეუღლის აკლდამასთან მან შენიშნა პირბადიანი ახალგაზრდა ქალი, რომელიც დახრილი შეჰყურებდა მარმარილოს დაფას. ფეხის ხმაზე ქალი სასწრაფოდ გასწორდა და დე ბუასოს მოეჩვენა რომ პირბადის ქვეშ, მან თავისი ცოლი შეიცნო. მან ხელებგაწვდილმა გადადგა ნაბიჯი უცნობი ქალისკენ, მაგრამ ქალი გვერდიდან დაუსხლტა, და სწრაფი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისაკენ, სადაც მას ეტლი ელოდებოდა.

ამ შეხვედრამ ბუასოს სიმშვიდე დაუკარგა. დასარწმუნებლად, რომ მას არაფერი არ მოსჩვენებია და ჰალუცინაციებით არ არის შეპყრობილი, ბუასომ გადაწყვიტა გაეხსნევინებინა მეუღლის აკლდანა. გვამი იქ არ აღმოჩნდა!

გამოძიება სისხლის სამართლის პოლიციას მიანდვეს. მისმა აგენტებმა ზუსტად დაადგინეს: სასაფლაო მოინახულა მაიორ ჟორჟ დე გარანის მეუღლემ. რამოდენიმე დღის წინ ცოლ-ქმარი დე გარანები ინდოეთიდან საფრანგეთში დაბრუნდნენ. პოლიციამ დაადგინა, რომ სასაფლაოს ყოფილმა დარაჯმა, გარდაცვალებამდე ხუთი

წლით ადრე, მემკვიდრეობის მიღების საბაბით, სანსახურს თავი დაანება. ამ ცნობებს ერთვოდა კიდევ ის, რომ კაპიტანი დე გარანი ინდოეთს გაემგზავრა არა სამხედრო გემით, არამედ თავისი ხარჯებით სავაჭრო გემით. ამავე გემით მასთან ერთად გაემგზავრა შავპირბადიანი ავადმყოფი ქალი.

მიუხედავად ყველა ამ ფაქტებისა, ჟორჟ დე გარანი დაჟინებით იცავდა თავს და განმარტავდა:

— „სამხედრო ტრანსპორტს ვეღარ დაველოდე, რადგან ჩემი ყოფილი საცოლის სიკვდილის გაგების შემდეგ, მინდოდა რაც შეიძლებოდა სწრაფად გავცლოდი ამ მწუხრის ნაპირს.

გემზე მყოფი ავადმყოფი ქალი ინგლისელი იყო და მიემგზავრებოდა ოკეანის გაღმა ‘ვილების სანახავად. რით აიხსნება, რომ კუბო ცარიელი აღმოჩნდა? ამ კითხვაზე ვერაფერს ვიპასუხებთ. შესაძლოა მესაფლავე დაეხარბა ვარდაცვალებულის სამკაულს და შემდეგ ცხედარი ჩაფლა წინასწარ გამზადებულ საფლავში... ჩემი მეუღლის მამა ინგლისელია, დედა ესპანელი, თვით კი დაბადებულია ინდოეთში. ჩვენ დავქორწინდით პონდიშერის შტატის გუბერნატორის ეკლესიაში; აი ჩვენი საბუთები“.

დე გარანის ჩვენებაში არანაკლებ დამაჯერებელი იყო მის წინააღმდეგ შეგროვილ ფაქტებზე, მაგრამ დე ბუასო მაინც დაჟინებით მოითხოვდა პროცესის გაგრძელებას.

ქალბატონი დე გარანიც უმტკიცებდა სასამართლოს, რომ ის კლემენს დე ფაილი არ არის, მაგრამ მოწმედ დაკითხული მამამისი ირწმუნებოდა, რომ მის წინაშეა მისი ქალიშვილი და სთხოვდა ახალგაზრდა ქალს დაბრუნებოდა კანონიერ ქმარს და თავის შვილს. ყოველივე ამაზე ქალბატონი დე გარანი პასუხობდა: „დიდი ხანია რაც მამა გარდამეცვალა. ხოლო ბატონ დე ბუასოს, არ მაქვს პატივი, რომ ვიცნობდე“. სასამართლოსა და საზოგადოების სიმპატია, მადამ დე გარანის მხარეზე იყო.

მაგრამ სხდომის დამთავრებისას მოხდა მოულოდნელი რამ: ბატონმა დე ბუასომ დარბაზში შემოიყვანა თავისი შვიდი წლის ქალიშვილი. გოგონა მოდიოდა ფართო გასასვლელისაკენ; მიაცილებდა მას ასობით თვალი. ბავშვი მიუახლოვდა სასამართლოს წინაშე მდგომ ქალს და საცოდავი ხმით წარმოთქვა: „დედა, ნუთუ შენ არ გინდა რომ მაკოცო?“

მოპასუხე ქალის ქცევამ ყველაფერი ამნია: ქალი აკანკალდა, ატირდა, ბავშვი ხელში აიტაცა და კოცნა დაუწყო. რამდენიმე წამის შემდეგ ქალბატონ დე გარანმა შესძლო თავის შეკავება, ხელისკვრით მოიშორა ბავშვი და დამსწრე საზოგადოებას მიმართა: „განა სირცხვილი არ არის ასეთი მეთოდებით ქალს პროვოკაცია მოუწყონ?! სხვისი ბავშვის ტირილისას ვერც ერთი დედა ვერ დარჩებოდა გულგრილი“.

მაგრამ სასამართლომ გადაწყვიტა: „ქალბატონი დე გარანი ცნობილი იქნეს ქალიშვილობის გვარით კლემენს დე ლა ფაილად ბატონ დე ბუასოს მეუღლედ და დაუბრუნდეს იგი მის კანონიერ მეუღლეს და თავის შვილს. შეეფარდოს შინაური პატიმრობა დე გარანების ოჯახს გაქცევის თავიდან ასაცილებლად“.

კლემენსმა უმაღლესი ორგანოს მონასტერში აღკვეცის ნება სთხოვა, მაგრამ იგი არ იქნა შეწყნარებული. ბატონი ბუასო გამარჯვებას ზეიმობდა და განაცხადა, რომ მან ყველაფერი აპატია მის „გზააბნეულ კრავს“.

ასეთ უიმედო მდგომარეობაში მყოფმა ქალბატონმა დე გარანმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ბედს შეურიგდა, დე ბუასოსთან დაბრუნების დღეც კი დანიშნა.

აი, როგორ აღწერდნენ მაშინდელი გაზეთის რეპორტიორები ამ ტრაგედიის უკანასკნელ აქტს: „საღამოს, დე ბუასოს საზეიმოდ გაჩრაღდნებულ სასახლის წინ გაჩერდა კარეტა, საიდანაც გადმოვიდა თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილი კლემენს დე ლა ფაილა. ის მშვენიერი იყო, ძალზე გაფითრებული და თითქმის გამქვირვალე. თვალებში ცეცხლი უკიაფობდა და პირზე ღიმილი უკრთოდა. მან რამდენიმე ნაბიჯი გაიარა ვესტიბიულში გაფენილ ხალიჩაზე. მისკენ წამოვიდა ხელებგაშლილი ბატონი დე ბუასო. კლემენსმა ცივად შეხედა მას და ხმადაბლა წარმოთქვა: „ბატონო, მე თქვენ მოგიტანეთ ის, რაც ოდესღაც დაჰკარგეთ“ და ამ სიტყვებით ის იატაკზე დაეცა.

იმავე დროს პარიზის გარეუბანში სანლუიში, დე გარანიც ესალმებოდა სიცოცხლეს ცოლთან ერთად მიღებული საწამლავით.

1966 წ. 29 ივლისი „ნედელია“

თარგმანი კ. კალანდაძისა

შ. გვეტაძე

ნასროკი

მოთხრობა*

— გვარი? შეიძლება გამომძიებლის დაუდევრობით შეუმოწმებელი დარჩა მარკაროვის წარსული. ეს სამწუხაროდ ბევრს ემართება, ხოლო თავის ქალით და ორიოდე ძვლით, ასევე ტანსაცმლის ნაფლეთებით ადამიანის ამოცნობა ძალზე ძნელია. ყოველ შემთხვევაში შეცდომა გამორიცხული არ არის.

— გვამი? ვისია გვამი? — კვლავ გაიმეორა ხომერიკმა.

— ეს სერიოზული კითხვაა, სწორედ ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ამ საკითხის დეტალურად შემოწმება.

— მიმოწერით?

შეიძლება მიმოწერითაც, მაგრამ ეს დიდ დროს წაგვართმევს და იქნებ სასურველი შედეგიც არ მოგვცეს, რადგან გვამის ვინაობას მაგადანელი ამხანაგები დადგენილად თვლიან. უნდა მიმავლინოთ მაგადანში! — წარმოსთქვა მინდელმა მტკიცედ.

— მაგადანში? — განცვიფრდა ხომერიკი.

— დიახ, მაგადანში! გთხოვთ გამიგოთ გიორგი ასლანის-ძევ, ხოტოველმა არ აღიარა სად წაიღო ობლიგაციები. ჩვენ მაინც გვჭირდება თქვენი გეგმის სისრულეში მოსაყვანად მოსკოვში გამგზავრება და გენერალური პროკურორისათვის საქმის მოხსენება. მე მგონი როდესაც ჩვენს მოსაზრებას მოისმენენ, ნებას დამრთავენ მაგადანში გამგზავრებაზე, იქ კი ორი დღე სავსებით მეყოფა.

ხომერიკი ცოტა ხანს დუმდა.

— თანახმა ვარ — წარმოთქვა მან ბოლოს და სავარძლიდან წამოდგა — მხოლოდ ჯერ ჩარგიევი დავკითხოთ და თუ მან არაფერი თქვა, მიგავლენთ მოსკოვში.

...დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ხომერიკი, ბალანჩივაძე და მინდელი ციხის უფროსის სამუშაო ოთახში ისხდნენ და პატიმრის კამერიდან ამოყვანას უცდიდნენ.

ჩარგიევი ამოიყვანეს. პატიმარმა მანძილი კაბინეტის კარებიდან საწერ მაგიდამდე მტკიცე ნაბიჯით გაიარა. მისი გარეგნობა არც შიშს გამოხატავდა არც ზვიადობას, ხომერიკის წინაშე დინჯად შეჩერდა, გულგრილად მოათვალიერა ოთახში მყოფნი და გულხელდაკრეფილი ელოდა კითხვებს.

— ჩარგიევო! — დაიწყო პროკურორმა, — ჩვენ ამოგიყვანეთ იმისათვის, რომ დამატებით დავაზუსტოთ ზოგიერთი საკითხი და გამოძიებაც დავამთავროთ.

ჩარგიევმა უსიტყვოდ დაუკრა თავი.

— პირველ რიგში გვაინტერესებს გვითხრათ რამდენ გვარს ატარებთ და რომელია აქედან თქვენი ნამდვილი გვარი, — განაგრძო ხომერიკმა.

— მე უკვე ვუპასუხე ამ კითხვაზე გამომძიებელს. მაგრამ თუ თქვენ გსურთ, შემიძლია გავიმეორო: ჩემი ნამდვილი გვარი კოკოევია, ამჯერად კი ჩარგიევის გვარს ვატარებ.

— და თქვენ სხვა გვარი არასდროს გიტარებიათ?

— არა, ამის დამალვას ახლა აზრი აღარ აქვს. მე მგონი სულ ერთია, ქურდი ორ გვარს ატარებს თუ ოთხს, — მიუგო გესლიანი ღიმილით ჩარგიევმა.

— ამაოდ ცრუობთ ჩარგიევო, — ჩაერია დაკითხვაში ბალანჩივაძე.

— მე მართალს მოგახსენებთ ბატონო პოლკოვნიკო!

— არა, ტყუით! თქვენ მესამე გვარიც გაქვთ, რომლის აღნიშვნაც „გულწრფელი აღიარებისას“ გამოგრჩათ, — შენიშნა მინდელმა დაცინვით.

ჩარგიევი მოიღუშა.

— იცით რას გეტყვით? — დაიწყო მან ცივად, — მე არაფერი გამომრჩენია, არც არაფერი დამიმალავს, მაგრამ თუ ჩემი აღიარებით კმაყოფილი არ ხართ, რაშიაც თქვენი ტონი მარწმუნებს, ეძიეთ და იპოვეთ. მე მგონი ამისათვის გიხდიან თქვენ ხელფასს, — მიუგო ღვარძლიანად მინდელს.

— ჩვენ უკვე ვიპოვეთ ჩარგიევო!

— მართლა? ცივად გაიღიმა ჩარგიევმა, — იმედი მაქვს გამაცნობთ თქვენს ახალ აღმოჩენას.

— ინებეთ, თქვენი მესამე გვარი მარკაროვია. ამ გვარით იჯექით შორეულ ბანაკში, საიდანაც

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 1966 წ. № 3, 4, 5, 6; 1967 წ. № 1, 2, 3, 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე წლის წინათ, სამწუხაროდ, მოახერხეთ გამოქცევა.

ჩარგიევის სახეს ცვლილება არ დატყობია. დამცინავად გადახედა მინდელს და შემდეგ ბალანჩივაძეზე გადაიტანა მზერა.

— აღიარებთ? — შეეკითხა ხომერიკი.

პატიმარი ერთხანს დუმდა, შემდეგ პაპიროსი ამოიღო, მშვიდად მოსრისა და აუჩქარებლად მოუკიდა.

— აღიარებთ თუ არა? — გაუმეორა ხომერიკმა.

— სისულელეს არასოდეს არ ვაღიარებ. ჩანს თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ შორეულ ჩრდილოეთზე. თორემ გეცოდინებოდათ, რომ იქიდან პატიმარი ვერ გაიქცევა, — დინჯად უპასუხა განმეორებით დასმულ კითხვას ჩარგიევმა.

— შეუძლებელი რომ იყოს თქვენც ვერ გაიქცეოდით, მაგრამ ახლა ამაზე საკამათოდ როდი ამოგიყვანეთ საკანიდან. ეს ფაქტი უკვე გამორკვეულია და ბანაკიდან ოფიციალური ცნობა მიღებული გვაქვს.

— მე კი გეუბნებით, რომ სისულელეა! თქვენს მიერ დასახელებული გვარი არასოდეს მიტარებია.

— ამის უარყოფას აზრი აღარ აქვს, ჩარგიევო. თქვენ არა მარტო საპატიმროდან გაქცეული მარკაროვი და „საშა ჩერქეზი“ ხართ, არამედ მკვლელიც.

— მკვლელი? მერე და ვინ მოკალი ან რატომ უნდა მომეკლა? — განცვიფრდა ჩარგიევი.

— კარგათ იცით ვინც მოკალით, ხოლო მოჰკალით იმიტომ რომ თქვენი ტაიგაში დაღუპვის ილუზია შეგექმნათ და გაქცეულ „საშა ჩერქეზის“ ძებნა აღარ მომხდარიყო.

— ზღაპარია, ბატონო პროკურორო.

— თქვენ ტყეშელიაძის გაძარცვა-მკვლელობასაც ზღაპრად თვლიდით, მაგრამ დიდი ხანია არ არის რაც ზღაპარი სინამდვილედ იქცა და დანაშაულიც აღიარეთ.

ჩარგიევს ბრაზი მოერია.

— ვაღიარე ის რაც გავაკეთე, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყოველგვარ ზღაპარს დავეთანხმები. გაიგეთ, რომ მე ქურდი ვარ, ქურდი და არა მკვლელი!

ოთახში წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაშ არ გსურთ აღიაროთ? — დაარღვია დუმილი ხომერიკმა

ჩარგიევმა თავი ასწია.

— მე უკვე გითხარით ჩემი სათქმელი, — მიუგო უკმეხად.

— კეთილი ჩარგიევო, რამდენიმე დღეში თქვენი პირადი საქმეც მოგვივა. მაშინ რაღას იტყვით?

— მაშინ მობრძანდით და გაიგებთ, — ჩაიცინა პატიმარმა.

— ასე იყოს, — ხომერიკი სავარძლიდან წამოდგა, — გაიყვანეთ! — უბრძანა ბადრაგს.

ჩარგიევი აუჩქარებლივ წამოდგა, შეჩვეული მოძრაობით დინჯად დაიწყო ხელები ზურგზე, და ნელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ხომერიკმა რამდენჯერმე გაიარა კაბინეტში, შემდეგ ფეხზე წამომდგარ მინდელთან მივიდა, წყნარად დაადო მხარზე ხელი.

— წილი ნაყარია, — წარმოსთქვა წყნარად, — შენი დაყოვნება აღარ შეიძლება ლევან, დღესვე უნდა წახვიდე, — საათს დახედა, — ახლა 5 სრულდება, 11 საათზე ჩემთან იყავი. კაბინეტში, ზოგიერთ დეტალზე კიდევ უნდა მოვილაპარაკოთ. წინასწარ დირექტივებს არ გაძლევ, შენ თვითონ ადგილზე გაერკვევი როგორ უნდა იმოქმედო. ეცადე არაფერი, სულ მცირე დეტალიც არ დაგრჩეს შეუსწავლელი გაქცეული „საშა ჩერქეზისა“. თუ ჩარგიევი და მარკაროვი ერთი და იგივე პიროვნებაა, მის წარსულში არის რაღაც ისეთი, რამაც ის მხეცად აქცია, გაანადირა. იმის დადგენა თუ რა დანაშაული ჩაიდინა მან, ყველაფერი როდია, — ეს საქმის ერთი მხარეა მხოლოდ. ვინ არის? სადაურია, სად და როგორ გაატარა ბავშვობა და სიჭაბუკე? რომელია ნამდვილი გვარი? რა ეროვნებას ეკუთვნის? ჰყავს ცოლ-შვილი, ნათესავები, ახლობლები? აი საკითხები, რომლებსაც ჯერჯერობით გადაჭრით ვერ ვუპასუხებთ — ხომერიკი ცოტა შეჩერდა და შემდეგ მძიმედ დაუმატა — დამნაშავის დასჯა ადვილია, არც დანაშაულის გახსნაა მაინცა და მაინც ძნელი, მაგრამ მიზეზი, რატომ გახდა ადამიანი ბოროტმოქმედი ყოველთვის როდია ოღლი დასადგენი, ამას კი დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, გამიგე ლევან?

— გავიგე გიორგი ასლანის-ძევ.

— კეთილი, ამაღამ თბილისში წახვალ, დილით რესპუბლიკის პროკურორს მოახსენებ საქმის ვითარებას, ხვალ კი გაფრინდები მოსკოვში, ეხლა კი წავიდეთ, დრო ცოტაღა დაგვრჩა, — დაამთავრა ხომერიკმა და პირველი წავიდა კარებისაკენ.

თებერვლის მეორე ნახევარში ერთბაშად დათბა. მზიანმა ამინდებმა სწრაფად აღგავა თოვლი, ხეებს კვირტები დაებერათ და მარტი ამაყად შემოუძღვა ქუთაისში ნაადრევ გაზაფხულს. თბილად ჩაცმული მინდელი მანქანიდან ათვალიერებდა ნაცნობ ბებერ მუხებს და სიამოვნებით სუნთქავდა კარზე მომდგარ გაზაფხულის სურნელებას. მანქანა სწრაფად მიქროდა უძველეს მუხნარში გაჭრილ ლარივით სწორ გზატკეცილზე. უკვე გამოჩნდა ქალაქი, უკან დარჩა გარეუბანში ჩამწკრივებული კორპუსები. მანქანამ სვლას უკლო, რკინიგზის ხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასჭრა და ქალაქში შევიდა. მძღოლმა ღიღინი შესწყვიტა და მზერა გამომძიებელს მიაპყრო.

— პროკურატურაში, სოლომონ, პროკურატურაში— სახლში მისვლას მერეც მოვასწრებ.

სოლომონმა გაიცინა, საჭესთან შეესწორდა და ფეხი აქსელერატორს დაჭირა. მანქანა სამ სართულიან შენობასთან შეჩერდა.

მინდელი სწრაფად გადმოვიდა და ჩქარი ნაბიჯებით აუყვა კიბეს...

— ლევანს გაუმარჯოს, — სიხარულით შეეგება ხომერიკი გამომძიებელს და ხელი გაუწოდა, — ხომ კარგად ხარ პოლარელო? დაუმატა და ღიმილით შეათვალიერა გამომძიებელი.

კარგად ვარ, გიორგი ასლანის-ძევ, მგზავრობაც ჩინებული გამოვიდა, — მიუგო მინდელმა და მარჯვენას მარჯვენა შეაგება.

ხომერიკმა ხელი მოჰხვია, ფანჯარასთან მდგარ ტახტთან მიიყვანა, დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— მაშ კარგად იმგზავრე? — შეეკითხა ისევ.

— კარგად, შედეგით მგონი კმაყოფილი დარჩებით, — მიუგო მინდელმა, შემდეგ სავარძლიდან წამოდგა, მოკლე ქურქი გაიხადა.

— როგორ არის „ჭაღარა“? — იკითხა ღიმილით.

— მოგენატრა? — გაეცინა პროკურორს, — კარგად არის, მაგრამ არა მგონია სიხარულით მოელოდეს შენს ჩამოსვლას.

— ამაში დარწმუნებული ვარ, სამაგიეროდ მე ველი მოუთმენლად მასთან შეხვედრას.

— შენი მოუთმენლობა გასაგებია ლევან და ამჟამად მისატევებელიც, — გაიღიმა ხომერიკმა. შემდეგ საწერ მაგიდასთან მივიდა, ყურმილი აიღო და ბალანჩივაძეს დაელაპარაკა...

რამდენიმე წუთის შემდეგ მინდელი ჩვეული, დინჯი ტონით აცნობდა პროკურორსა და მილიციის უფროსს შორეულ ჩრდილოეთში შეკრებილ მასალებს.

— მაგადანელი ამხანაგები ძლიერ გაკვირდნენ ჩემი ჩასვლის მიზანი რომ გაიგეს. მტკიცედ მიპასუხეს — „ჩერქეზი დიდი ხანია მიწაში წევსო“. უხალისოდ მომცეს პირადი საქმე. ფოტო არც დამითვალიერებია, პირდაპირ დაქტილო ბარათს ვეცი. ფორმულები ზუსტად დაემთხვა, მხოლოდ ამის შემდეგ დავაკვირდი პროფილსა და ანფასში გადაღებულ მარკაროვის სურათებს. ფოტოდან ოდნავ შეცვლილი ჩარგიევის სახე შემომცქეროდა, თუმცა არა ისეთი ელეგანტური, როგორც ჩვენი „ჭაღარა“, მაგრამ მაინც ჩარგიევი. ამის შემდეგ კოლონიის ხელმძღვანელობას ვაჩვენე ჩვენს მიერ შედგენილი დაქტილო ბარათი და ჩარგიევის ფოტოსურათები. პირველად დაჯერებაც არ უნდოდათ, მაგრამ დაქტილო ბარათის ნახვის შემდეგ ყოველგვარი ეჭვი გაუქრათ.

გავეცანი ტაიგაში ნაპოვნი გვამის ამოცნობის აქტსა და მონაკვლევ მასალებს. ამ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ არ გამკვირვებია ადგილობრივ ამხანაგების დასკვნა — მარკაროვ-ჩერქეზის ტაიგაში დაღუპვის შესახებ. ტანსაცმლის ნაფლეთებში კომისიას პატიმრის პირადობის დამადასტურებელი საბუთიც ეპოვნა, უფრო სწორად საბუთი კი არა, რაღაც ნაკუწები. დიდი შრომა გაეწიათ ამ საბუთის აღსადგენად და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექსპერტმა ცალ-ცალკე და ერთად დაასკვნეს, რომ საბუთი მარკაროვის გვარზე იყო შედგენილი, ჩათვალეს, რომ გვამი კოლონიიდან გაქცეულ ჩერქეზს ეკუთვნოდა.

— კი მაგრამ, ნუთუ არავინ აღმოჩნდა უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანის მაძებარი? — იკითხა ბალანჩივაძემ.

— აი, საქმეც ეგ არის, რომ არავინ! არავითარი ცნობა პატიმრის გაქცევის ან ვისიმე უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ, არც მაშინ არც შემდეგ მაგადანის ოლქში არ შემოსულა. ჩემს იქ ყოფნაში კიდევ ერთხელ შევამოწმეთ ეს საკითხი. ასე რომ ახლაც არ ვიცი ვისია ტაიგაში აღმოჩენილი ცხედარი ან საიდან გაჩნდა იქ.

— ეგ რაღაც წარმოუდგენელია?! ადამიანი ჩიტი როდია, რომ მისი დაკარგვა შეუმჩნეველი დარჩეს, — წარმოსთქვა ხომერიკმა.

— სავსებით გეთანხმებით გიორგი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — მგლების მიერ დაგლეჯილი ადამიანი ჩარგიევი ანუ მარკაროვი არ არის. ამ გარემოებამ ძალზე შეგვაშფოთა, ყველანი შევთანხმდით, რომ ნაპოვნი საბუთი ტანსაცმელში შემთხვევით არ მოხვედრილა. ის ცხედარს სწორედ მარკაროვმა ჩაუდო ჯიბეში ან ცოცხალსავე მისცა; მაგრამ ვინ იყო მკვდარი?

ადგილზე არსებული საბუთების შესწავლით გამოირკვა, რომ კოლონიიდან გაქცევა მარკაროვსა და ვიღაც მარტინოვს — ძველ ქურდ-რეციდივისტს მოეწყოთ. მარტინოვი პატრულს გადაჰყრია, უსვრიათ, მძიმედ დაჭრილი მიუყვანიათ უკანვე. კოლონიაში მისი მიყვანიდან 6 საათის შემდეგ ცნობილი გახდა მარკაროვის გაქცევაც, მაშინვე დაუწყიათ ძებნა, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. მარტინოვის დაკითხვა მხოლოდ მესამე დღეს მოხერხდა, მაგრამ მან უარი განაცხადა მარკაროვთან ნაცნობობაზე და გაქცევის ცდაც უარყო, შემთხვევით კოლონას ჩამოვრჩი და გზა ამებნა, უმიზეზოდ მესროლესო, — იმეორებდა ყოველ დაკითხვისას.

— ახლა თუ დაკითხეთ? — შეაწყვეტინა ბალანჩივაძემ.

— ვერა, ვერ დავკითხეთ. მარტინოვი ორი წლის წინ მომკვდარა. უნდა გულახდილად გითხრათ: გავეცანი რა მდგომარეობას, თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებლად ჩავთვალე კოლონიიდან იმ პირობებში გაქცევა, როგორც ეს სინამდვილეში მომხდარა. მარტინოვისათვის არ აღმოუჩენიათ არა თუ რაიმე იარაღი, პურის ნაჭერიც კი, ხოლო უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე 150 კილომეტრია გასავლელი. როგორ შეეძლო გაეღწია მარტინოვს და როგორ მოახერხა ეს მარკაროვმა? აი კითხვები, რომელიც წამოიჭრა ჩვენს წინაშე. როგორც ადგილობრივი ამხანაგები დარწმუნდნენ მარკაროვის სიცოცხლეში, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მარკაროვს ვიღაც დაეხმარა და შეიძლება შემდეგ თვითონვე გახადა მისი მსხვერპლი, მაგრამ ვინ დაეხმარა? აი ამ კითხვას ვერ ვუპასუხეთ, რადგან თუ ის პატიმარი, ან უარეს შემთხვევაში კოლონიის თანამშრომელი იყო, სხვა არა იყოს რა მისი უკვალოდ გაქრობა არ დარჩებოდა შეუნიშნავი. ხოლო თუ დასახელებული პუნქტიდან მოვიდა ვინმე, შეუძლებელია ისე გაევლო ესოდენ დიდი მანძილი, რომ ვერავის შეემჩნია.

— რა თქვა გიორგაძემ წერილის შესახებ? — შეეკითხა ხომერიკი.

— გიორგაძე ძველი ქურდი-რეციდივისტია, დამნაშავეთა წრეში „პაპაშას“ სახელით იცნობენ. მან კატეგორიულად უარყო მარკაროვის ნაცნობობა, განმარტა, რომ თუმცა გაუგონია „საშკა ჩერქეზის“ სახელი, მაგრამ პირადად არასოდეს უნახავს. „ისე როგორც პატიმრებმა მეც გავიგე „ჩერქეზის“ გაქცევა და ტაიგაში სიკვდილი. სხვა კი მის შესახებ არაფერი ვიცი“ — თქვა მან. გამოირკვა, რომ თუმცა ერთ კოლონიაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მართლაც არ ხვდებოდნენ ერთმანეთს. გიორგაძემ დაადასტურა მარტინოვთან ნაცნობობა, მაგრამ წერილის გადაცემა უარყო.

— კი მაგრამ ვის მისცა წერილი გიორგაძემ?

— ეს კითხვა მეც მაინტერესებდა. გიორგაძემ ვერ აღადგინა ვის მისცა წერილი. განმარტა: „შეიძლება ვინმე გათავისუფლებულ პატიმარს გავატანე. მაგრამ ვის, არ მახსოვსო“. ვაჩვენე წერილი, დაადასტურა, რომ მისი დაწერილია, მაგრამ წერილის წამომღების გვარი ან სახელი არ არის მითითებული: ეს კი გიორგაძეს საშუალებას აძლევს „ვერ გაიხსენოს“ ვის გაატანა წერილი. ასე რომ ეს საკითხი კვლავ ბურუსით არის მოცული.

— რა გამოირკვა საბოლოოდ? — კვლავ შეაწყვეტინა ბალანჩივაძემ.

— გარდა იმისა, რომ გაქცეული მარკაროვი ჩარგიევია, თითქმის არაფერი, — მიუგო მინდელმა.

— სხვა რა მასალები შეკრიბეთ ჩარგიევზე? დასვა კითხვა ხომერიკმა.

— მე თან წამოვიღე, უფრო სწორად ფოსტით გამოვგზავნე მისი პირადი საქმე კოლონიიდან. საკავშირო პროკურატურის საშუალებით დავუკავშირდი ტაშკენტს და გამოვითხოვე სისხლის სამართლის საქმე, რომლითაც ჩარგიევს 25 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი მარკაროვის გვარით. საქმე ალბათ ამ დღეებში ჩამოვა.

— კეთილი, სხვა? — გაიღიმა ხომერიკმა.

მინდელი გამომცდელად მიაჩერდა მომღიმარ ხომერიკს:

— გენერალურმა პროკურორმა, — დაიწყო მან ყოყმანით, — სავსებით მოიწონა ჩვენი გეგმა ობლიგაციების შესახებ. შეუთანხმა საკითხი სადაც საჭირო იყო და მისცა კიდევაც ტყეშელიაძის ბინიდან მოპარული ორი ობლიგაციის ნომერი და სერია. ერთ მათგანს უნდა რგებოდა 2500, ხოლო მეორეს 1000 მანეთის მოგება. მაგადანში ყოფნისას შევამოწმე გაზეთი და განვცვიფრდი, რომ ჩვენთვის საჭირო ობლიგაციებს მოგება არ ხვდა.

— ძალიან გეწყინა? — გაეცინა ბალანჩივაძეს.

— ჩემი წყენა რა შუაშია. მაგადანიდან დაბრუნების შემდეგ პროკურატურაში თქვენი დეპეშა მაჩვენეს, რომლითაც ითხოვდით აღარ გაეტარებინათ რაიმე ღონისძიება. რა მოხდა?

— ობლიგაციები ვიპოვნეთ, — უპასუხა ხომერიკმა.

— მართლა? — გაუხარდა მინდელს, — აღიარა ხოტოველმა?

— არა! გაეცინა ხომერიკს. ობლიგაციები ვიპოვნეთ იმ საშუალებით, რაც ჩვენი მუშაობის ძირითად საყრდენს წარმოადგენს.

— ვერ გავიგე გიორგი ასლანის-ძევ.

— ახლავე აგიხსნი, — ხომერიკი სავარძლიდან წამოდგა, — შენი წასვლის მეათე დღეს, ძიძიგური ჩამოვიდა თბილისიდან, თან ერთი მეტად სიმპატიური მამაკაცი-პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი — აბრამ კრიხელი ჩამოჰყვა. სწორედ ამ კრიხელმა მოიტანა ობლიგაციები უკლებლივ ლურჯი აბრეშუმის ზონარით შეკრული.

ხომერიკმა სალარო გახსნა, მრგვალად დახვეული ობლიგაციები გამოიღო და მინდელის წინ მაგიდაზე დასდო.

— არაფერი მესმის, — აიჩეჩა მხრები მინდელმა და ობლიგაციებს ხელი შეავლო.

— ეს სულ მარტივი და ჩვეულებრივი ამბავია, — განაგრძო ხომერიკმა, — კრიხელი ხოტოველის დეიდაშვილია, საკმაოდ ცნობილი პიროვნება, რამდენიმე მეცნიერული შრომის ავტორი. 12 იანვარს ქუთაისში მივლინებაში მყოფი ხოტოველს ეწვია. მან წასვლისას დეიდაშვილს ობლიგაციები გადასცა და სთხოვა შეენახა, „არ მინდა ცოლშვილმა იცოდეს, დამიხარჯავენო“, — უთქვამს მისთვის. კრიხელს ობლიგაციები წაუღია. შემდეგ როდესაც ხოტოველის დაპატიმრება გაეგო, თუმცა მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპატიმრების მიზეზი არ იცოდა, ეჭვი შეპარვია და რჩევისათვის პარტბიუროს მდივნისათვის მიუმართავს. იქიდან კი მილიციის სამმართველოს შეატყობინეს, ხოლო სერგომ ჩვენამდე მოიყვანა, — დაამთავრა ხომერიკმა.

— დიდებულია, — აღფრთოვანდა მინდელი, — ასე რომ...

ასე რომ, — სიტყვა ჩამოართვა პროკურორმა, — კრიხელმა თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა, ხოლო ხოტოველს აღიარების მეტი საშუალება აღარ დარჩა და ობლიგაციებს საათებიც მოაყოლა.

— საათებიც? საათები სადღა ჰქონდა, ნუთუ სახლში? — აღელდა მინდელი.

— ნუ ღელავ შალვა, სახლში რომ ჰქონოდა, ჩვენც ვიპოვნიდით. ჩხრეკა საფუძვლიანად იქნა ჩატარებული, საათები ხოტოველს სოხუმში მცხოვრებ მოქალაქისათვის მიუყიდნია, სწორედ გუშინ ჩამოიტანა ბურდულმა.

— კარგია, ძალიან კარგი, — გამხიარულდა მინდელი.

— მაშასადამე, საქმე უკვე მთლიანად გახსნილია და დანაშაულის სრული სურათიც აღდგენილი.

— მკვლელობა? — ჩაერია ბალანჩივაძე.

— ტაიგაში ჩადენილი მკვლელობა? ეს ამ საქმის დამთავრებას არ შეაფერხებს. თუ ჩარგიევმა არ აღიარა, საქმე ამ ნაწილში გამოიყოფა მხოლოდ, — მიუგო მინდელმა.

— ვნახოთ, გვეტყვის ჩარგიევი, — დინჯად წარმოსთქვა ხომერიკმა და უეცრად აწკრიალებული ტელეფონის აპარატის ყურმილი აიღო.

ცოტა ხნის შემდეგ ხომერიკმა საათს დახედა.

— 3 საათია, შენ შინ წადი ლევან, ბავშვები მოუთმენლად გელიან, დრო არა გვაქვს თორემ მე და დავითიც წამოგყვებოდით... ხვალ კი საქმეს შევუდგეთ. ჩარგიევის დაკითხვას მეც მინდა დავესწრო. საღამოს თუ მოახერხო დამირეკე, ბურდული ვინახულოთ.

ტელეფონის ზარმა ხომერიკს სიტყვა გააწყვეტინა.

— გისმენთ, — ჩასძახა მშვიდად მიკროფონში, — იმავე წამს სახე შეეცვალა, წარბები მრისხანედ შეჰყარა.

— რაო? მერე თქვენ სად იყავით დღისით, მზისით, — იყვირა მან და ბრაზმორეულმა ყურმილი გამეტებით დაახეთქა აპარატზე.

— რა მოხდა გიორგი? — აღელდა ბალანჩივაძე.

— ციხის თანამშრომლების სიბრიყვე! — კვლავ იყვირა ხომერიკმა. ეზოში სასეირნოდ გაყვანილი ჩარგიევი გაიქცა!

— გაიქცა?!

პოლკოვნიკი ტელეფონს ეცა.

— ჩქარა მანქანა! — შეჰყვირა მან.

— საჭირო არ არის, შეაჩერა ხომერიკმა, — გაქცეული ჩარგიევი დაჭრეს და მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოშია მიყვანილი. იქ კი ჩემი მანქანით წავიდეთ, მინდელიც წავიყვანოთ.

— ცოცხალია?

— ჯერ ცოცხალია, უგონოდ არისო, ასე სთქვა ციხის უფროსმა, — მიუგო ხომერიკმა და დაუმატა: ნუღარ ვაგვიანებთ, წავიდეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ პროკურორი, გამომძიებელი და მილიციის უფროსი საავადმყოფოში მივიდნენ.

მისულებს ციხის უფროსი შეეგება.

— როგორ არის პატიმარი? — მოუთმენლად იკითხა მინდელმა.

— ცუდად, მძიმე მდგომარეობაშია, — უპასუხა ციხის უფროსმა მოგვიანებით.

— სად არის? — კვლავ იკითხა მინდელმა.

— საოპერაციოში, მაგრამ უფრო ცუდი ის არის, რომ გრძელიძე მივლინებაშია და...

— მაშ ვინ უკეთებს ოპერაციას? — ჩაერია ხომერიკი.

— ალბათ ქირურგი ხეთაგური, ციალა ხეთაგური, ჩემი რძალი, — გაეღიმა ბალანჩივაძეს.

— დიახ, პატივცემულო დავით.

— ციალა... ძალიან კარგი, ოპერაცია უკვე დაიწყო?

— ალბათ, ამხანაგო გიორგი.

— როგორ მოხდა ეს ამბავი? — იკითხა ბალანჩივაძემ.

— ძალიან უბრალოდ, იმდენად უბრალოდ, რომ წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა თუ ამას გაბედავდა პატიმარი.

— მაინც?

— დღის 2 საათზე პატიმრები ჩვეულებრივ გაიყვანეს ეზოში სასეირნოდ, სულ 25 კაცი, მათ შორის ჩარგიევიც. თქვენ იცით ჩვენთან ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, ამის გამო ციხის კედელთან სწორედ სადარაჯო კოშკურის წინ ხარაჩოა გამართული, ხარაჩოზე კი ძელია მიდგმული. ჩარგიევი რამდენჯერმე ავიდა ძელზე, მაგრამ ბადრაგს ყურადღება არ მიუქცევია ამ ერთი შეხედვით უწყინარი გართობისათვის, მით უმეტეს, რომ ძელიდან კედლის სიმაღლე 2 მეტრზე მეტია და იქვე კოშკურაზე გუშაგი დგას.

ერთბაშად ჩარგიევი ძელს მოსწყდა, ხარაჩოზე შეხტა და ვიდრე ბადრაგი გამოერკვეოდა რა მოხდა, ვეფხვივით ისკუპა და გალავანს გადაევლო. საბედნიეროდ კოშკურაზე მყოფი გუშაგი არ დაიბნა და გაქცეულს ტყვია დაადევნა. გალავნიდან გადმომხტარი ჩარგიევი მძიმედ დაეცა ქვაფენილზე, მაგრამ ტყვიებს უვნებლად გადარჩენილი მაშინვე წამოხტა და ქურციკივით მოჰკურცხლა. შესახვევთან მეორე გუშაგის ტყვია დაეწია და როდესაც ჩვენ ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივედით, იგი უგონოდ ეგდო და სისხლში ცურავდა ——დაამთავრა ციხის უფროსმა.

— სად არის დაჭრილი? — იკითხა ხომერიკმა.

— ზურგში, ტყვია სხეულში აქვს ჩარჩენილი. ვინ იფიქრებდა რომ ის ამას...

— თქვენ, თქვენ უნდა გეფიქრათ, რომ ჩარგიევი ხელიდან არ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას! ხომ გაგაფრთხილეთ განსაკუთრებულ მეთვალყურეობის ქვეშ იყოლიეთ მეთქი, — გულმოსულად უთხრა პოლკოვნიკმა, თუმცა ახლა ამის დრო არ არის. ამჟამად მთავარია ყველაფერი გაკეთდეს ჩარგიევის გადასარჩენად, წავიდეთ ციალა ვნახოთ, — წარმოსთქვა ბალანჩივაძემ და საოპერაციოსაკენ გაეშურა.

დიდ, ნათელ ფანჯრებიან საოპერაციო ოთახში ხლოროფორმის მწვავე სუნი იდგა. გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ სტერელიზატორის შიშინი არღვევდა. ექთანი საოპერაციო ხელსაწყოებს ამზადებდა.

ოთახში ფეხაკრეფით შესულთ ოპერაციის სამზადისში გართული ხეთაგური შეეგებათ, დასტაქარს ქათქათა ხალათი ეცვა, თეთრი ქსოვილის ნიღაბ აფარებულს თეთრივე ხელთათმანები ემოსა.

შემოსულებს უხმოდ, თავის დაკვრით მიესალმა და ბორბლებზე შემდგარ მოზრდილ მაგიდას მიუახლოვდა, სადაც დაჭრილი ჩარგიევი იწვა. ხომერიკსაც ამ მაგიდისაკენ გაექცა თვალი. ჩარგიევის სახეს ზეწარი ფარავდა. მარცხენა ხელი, რომელიც ორდინატორს ეჭირა, სანთელივით გაჰყვითლებოდა. მკერდის მძლავრ მოძრაობაზეღა ეტყობოდა, რომ სიკვდილს ჯერ კიდევ ვერ დაემარცხებინა სიცოცხლე.

— ყველაფერი მზადაა, — ჩუმად ახსენებს ექთანი ექიმს.

ციალამ ენერგიული მოქმედებით გადახადა ზეწარი დაჭრილს და სკალპელი აიღო.

— დავიწყოთ, — წარმოსთქვა მტკიცედ და მჭრელი იარაღი გაბედულად დაუსვა იოდის ხსნარისაგან ყავისფრად შეფერილ ტიტველ სხეულს.

...ორ საათზე მეტს მუშაობდნენ ხეთაგური და მისი კოლეგები. ხომერიკი, ბალანჩივაძე და მინდელი პატივისცემით შესცქეროდნენ ექიმთა ბრძოლას ადამიანის სიცოცხლისათვის, სიკვდილის დამარცხებისათვის.

ოპერაცია დამთავრდა.

— დასტაქარი მძიმე ნაბიჯით გადის საოპერაციოდან.

ხომერიკი, ბალანჩივაძე და მინდელი თან შეჰყვნენ კაბინეტში შესულ ხეთაგურს.

— რას გვეტყვი ციალა? — შეეკითხა რძალს პოლკოვნიკი. ხეთაგურმა ხელები შეიმშრალა. პირსახოცი სანიტარს გადასცა.

— მძიმე მდგომარეობაა — მიუგო ციალამ.

— ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის გადასარჩენად, ჩარგიევი არ უნდა მოკვდეს, — წარმოსთქვა მინდელმა.

— მე გაფრთხილება არ მინდა, ამხანაგო ლევან. სიკვდილის ხელიდან ადამიანის გამოგლეჯა, ვინც უნდა იყოს იგი, ჩემი მოვალეობაა, მაგრამ აქ მეტად მძიმე მდგომარეობაა, შეიძლება გონზეც ვერ მოვიდეს ისე დაიღუპოს ავადმყოფი.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— მერე და რა მშვენიერი ვაჟკაცია უბედური, — წყნარად ჩაილაპარაკა ხეთაგურმა, — ვინ იცის მასაც ჰყავს ცოლი, შვილები, ახლობლები.. აფსუსი არ არის ასეთი ვაჟკაცი ასე დაიღუპოს? ციალამ ჩუმად მოიწმინდა ცრემლები.

ხომერიკი წამოდგა.

— ჩვენ წავალთ, ციალა. აქ ყოფნა ამჟამად არაფერს მოგვცემს, თუ ჩარგიევი გონს მოვიდეს, მორიგე ექიმი გააფრთხილეთ მინდელს დაურეკოს, ტელეფონის ნომერი მიეცით.

ხეთაგურმა თავი გააქნია.

— მე ავადმყოფს ვერ მოვშორდები პატივცემულო გიორგი, ახლა ჩემი ადგილი აქ არის. ნუ დამელოდებით, ილიას უთხარი დამირეკოს, რაც შეეხება დაჭრილს, გონზეც რომ მოვიდეს, მასთან საუბრის ნებას მაინც ვერ დაგრთავთ. ის ჯერჯერობით სიკვდილის სარეცელზე წევს.

— გასაგებია ციალა, მაგრამ ვინ იცის, მაინც იქონიე მხედველობაში.

...ციალა მარტო დარჩა. ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი. ვერ გაეგო რატომ დაეუფლა ასეთი კაეშანი. ყოველ ოპერაციას ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ხარობდა, როდესაც გაიმარჯვებდა სიკვდილთან ჭიდილში, ნაღვლობდა როცა სიკვდილი აჯობებდა, მაგრამ დღევანდელი მისი განწყობა არ გავდა პაციენტის მოსალოდნელი დაღუპვით გამოწვეულ პროფესიულ დარდს. მას რაღაც სხვა გამოუცნობი ვარამი აწვალებდა და ვერაფრით ვერ აეხსნა მისი გამომწვევი მიზეზი.

მოსაღამოვდა. ციალა წამოდგა, სინათლე აანთო, მექანიკური მოძრაობით შეისწორა თმები და ჩარგიევის პალატას მიაშურა.

...მძინარე მინდელი ტელეფონის ზარმა გაღვიძა. საათს დახედა. ზუსტად ღამის 3 საათი იყო. ყურმილი ზანტად აიღო, მაგრამ მიხვდა თუ არა რომ ქირურგი ხეთაგური რეკავდა, უეცრად გამოფხიზლდა, სწრაფად წამოჯდა საწოლზე, — ჩარგიევი გარდაიცვალა გაიფიქრა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოხდა ციალა — შეეკითხა შემკრთალი ხმით.

— ახლავე, ამ წუთში მოდით საავადმყოფოში, პატიმარი თქვენს სასწრაფოდ ნახვას თხოულობს — უპასუხა ციალამ.

მინდელს გულზე მოეშვა.

— ათ წუთში მანდ ვიქნები — ჩასძახა მიკროფონში და ლოგინიდან წამოიჭრა.

...ციალა სამორიგეო ოთახში დახვდა გამომძიებელს. ტირილისა და უძილობისაგან თვალები დასიებოდა, მან ნაძალადევი ღიმილით გაუღიმა შემოსულ მინდელს.

— რა მოხდა ციალა? — შეეკითხა გამომძიებელი.

— ჩარგიევი გონს მოვიდა, შენი ნახვა ითხოვა... — ხმა აუთრთოლდა დასტაქარს.

— მერე და ამიტომ სტირი? — განცვიფრდა მინდელი. ციალამ თავი დახარა, მსხვილმა ცრემლებმა დაუსველა ლამაზი სახე.

ის... ის ბოდავს... საცოდავად ბოდავს, რაღაც უცნაურსა და წარმოუდგენელს — ამოილუღლუღა ხეთაგურმა და ღვარად წამოსული ცრემლები ცხვირსახოცით შეიშრო.

მინდელი გვერდზე მოუჯდა.

— დამშვიდდი ციალა, დაჭრილის ბოდვა რად უნდა გიკვირდეს, ეგ ხომ კანონზომიერი მოვლენაა. ჩარგიევი გადარჩა, ეს შენი გამარჯვებაა, დასტაქარის მარჯვენის გამარჯვება, სიხარული გმართებს, შენ კი სტირი არ გრცხვენია?

ციალას არ უპასუხია, თავდახრილი ნერვიულად სრესდა სველ ცხვირსახოცს.

— კარგი ციალა, ნუღარ სტირი, მითხარი მაინც რას ბოდავს ჩარგიევი, როგორ არის ავადმყოფი?

ციალამ თავი ასწია, ნაღვლიანად შეხედა გამომძიებელს. — ერთი საათის წინ — წყნარი ხმით დაიწყო მან — მასთან ვიყავი პალატაში. გულის საშუალებებს ვუკეთებდი, ქაფური შევუშხაპუნე, შემდეგ მაჯა გავუსინჯე. სიხარული დამეუფლა, რადგან გულის ცემა გამოუკეთდა. უეცრად დაჭრილმა დაიკვნესა. „მათე, აბა შემომხედე მათე“ — ჩავძახე რამდენჯერმე. მან ისევ დაიკვნესა, შემდეგ ნელ-ნელა გაახილა თვალი, შემომხედა. მე ღიმილით შევცქეროდი. „როგორ ხარ მათე? აბა მოიხედე, მითხარი რამე“. ჩარგიევს თვალები გაუფართოვდა, დიდხანს შემომცქეროდა მდუმარედ, შემდეგ რაღაცის თქმა დაიპირა, რამდენჯერმე აუთრთოლდა ბაგე, მაგრამ სათქმელი ვერა სთქვა, ყრუდ დაიკვნესა, მხოლოდ თვალები კი, ფართოდ გახელილი თვალები, დაეინებით შემომცქეროდნენ და იმ წამს რატომღაც მომეჩვენა, რომ პირველად არ ვხედავდი მათ, თითქოს ადრეც მენახა, ადრეც შევხვედროდი, გესმის ლევან?

— მესმის ციალა, მერე რა მოხდა, ალბათ ვინმე ნაცნობს მიამსგავსე, ეს არის და ეს.

— ჰო... ალბათ... მეც მესმის, რომ რაღაც სისულელეა, მაგრამ მაინც, არ ვიცი რატომ, ნაღველი ამეშალა, ცრემლი მომერია.

ჩარგიევმა გაიღიმა, თვალებში სითბო ჩაუდგა, კვლავ აუთრთოლდა გაფითრებული ტუჩები. რამდენიმე ყლუპი წყალი ჩავაყლაპე, მან მადლობით შემომხედა, შემდეგ ნელ-ნელა გახსნა ბაგე — „სადღა ვარ“? მკითხა სუსტი ხმით — საავადმყოფოში, ვუპასუხე რაც შეიძლებოდა მხიარულად — ახლა კარგად ხართ, მალე სულ კარგად იქნებით.

„თქვენ... თქვენ ვინა ხართ“? მე? ექიმი ვარ, თქვენი ექიმი, ციალა ხეთაგური — ვუთხარი ღიმილით და შუბლიდან ოფლის მსხვილი წვეთები მოვიწმინდე.

ციალა... ციალა... ჩაილაპარაკა მან რამდენჯერმე. ჰოო, ალბათ სიზმარში ვარ, ალბათ მძინავს — დაუმატა ჩურჩულით.

— თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს ექიმო. აღმითქვით რომ შემისრულებთ.

— რა გსურთ?

— ახლავე დაუძახეთ გამომძიებელს! უეჭველად მოიყვანეთ, მე მასთან დიდი, ძალიან დიდი საქმე მაქვს.

— ხვალ დაურეკავ.

— ხვალ უკვე გვიან იქნება... დღეს, ახლავე მინდა, რომ დაუძახოთ — დაეინებით გაიმეორა მან და ისეთი მუდარით შემომხედა, რომ წინ ვეღარ აღვუდექი.

— კარგი, ეხლავე დავურეკავ — დავთანხმდი მე.

— გმადლობთ ექიმო, მხოლოდ იჩქარეთ თორემ დაიგვიანებთ, გამომძიებელი ვეღარ მომისწრებს.

მეც დაუყოვნებლივ გამოვედი პალატიდან და იმ წამსვე შენ დაგირეკე, როგორც ადამიანს არ შემეძლო უარი მეთქვა მომაკვდავის თხოვნის შესრულებაზე, როგორც ექიმს კი არ მქონდა უფლება მისი სურვილის დაკმაყოფილებისა — დაამთავრა ხეთაგურმა და კვლავ მოიწმინდა ცრემლები.

— დამშვიდდით ციალა, რა საჭიროა ამდენი ცრემლები. მინდელმა რამდენჯერმე გაიარა ოთახში.

— შეიძლება ჩარგიევთან შესვლა? — იკითხა მოგვიანებით. ციალა წამოდგა.

— წავიდეთ, მაგრამ გთხოვთ არაფერი ჰკითხოთ. მისი მდგომარეობა ძალზე მძიმეა.

ჩარგიევთან ექთანი მორიგეობდა. დასტაქარისა და გამომძიებლის შემოსვლაზე მორიდებით წამოდგა, ზედმეტი ხმაურის გარეშე დაჭრილის საწოლთან დაუდგა სკამი გამომძიებელს.

მინდელი ფრთხილად ჩამოჯდა. ჩარგიევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკვირდა. დაჭრილს არწივის თვალები ჩასცვენოდა, მძიმედ სუნთქავდა, ნელა ტოკავდა მკერდზე სანახევროდ გადაფენილი თხელი საბანი.

ავადმყოფმა ნელა გაახილა თვალები და საწოლთან დახრილ მინდელს მიაპყრო დასუსტებული მზერა, შემდეგ გამომძიებლის გვერდით მდგარ ექიმს შეავლო თვალი.

— გმადლობთ, რომ მოხვედით... ასეც ველოდი... თუმცა... იქნებ საჭიროც არ იყოს... თქვენ ხომ ყველაფერი იცით და „საშა ჩერქეზის“ ჩვენება ალბათ აღარც გჭირდებათ — ამოილაპარაკა მან სუსტი ხმით.

— მე დასაკითხავად არ მოვსულვარ ჩარგიევო, — შენიშნა მინდელმა წყნარად.

— ვიცი... ჩემი თხოვნით მოხვედით, მე თვით მინდოდა თქვენი ნახვა... სიკვდილის წინ... მინდა რაღაც გითხრათ, ბევრი რამ გითხრათ, მაგრამ...

ციალა, გთხოვთ მარტო დამტოვოთ — წარმოსთქვა ჩარგიევმა და დაუმატა — ძალიან გთხოვთ, ნუ მეტყვით უარს...

— კარგი — ხმა აუკანკალდა ხეთაგურს. მხოლოდ მე აქვე ვიქნები თუ საჭირო იქნეს...

— დაგიძახებთ ექიმო, გამომძიებელი შეგატყობინებთ თუ ცუდად გავხდი... — ნაძალადევად გაიღიმა დაჭრილმა.

პატიმარი და გამომძიებელი მარტონი დარჩნენ.

მისმინეთ, თუ ძალა მეყო ბოლომდე გიამბობთ ყოველივეს, გიამბობთ ყველაფერს დაუფარავად, შეულამაზებლად. სიკვდილის სარეცელზე მყოფნი ტყუილს არ ამბობენ, მეც სიმართლეს გეტყვით, მეგონა გული დიდი ხანია აღარ მაქვს მეთქი. ვცდებოდი თურმე... ბედმა აქაც დამცინა. თუმცა არ ვნანობ, ვინ იცის უკეთესიც იყოს, სიკვდილის წინ პატარა სიწარულიც დიდი ბედნიერებაა უთუოდ...

ჩარგიევმა ცოტა შეისვენა და განაგრძო — მითხარით, ეს ჩემი ექიმი... ქალბატონი ციალა დიდი ხანია ქუთაისში ცხოვრობს?

— ხუთი წელია, — მიუგო პატიმრის კითხვით ოდნავ განცვიფრებულმა მინდელმა.

— ხუთი წელი? ბედნიერია, არა? ო, ეს მე ძალიან, ძალიან მიხარია...

გაკვირვებული მინდელი სდუმდა, ვერ გაეგო რა სურდა პატიმარს.

— რა გსურთ, მითხარით? — შეეკითხა მექანიკურად.

ჩარგიევმა უპასუხოდ დასტოვა გამომძიებლის კითხვა და წყნარი ხმით განაგრძო:

— ტყვეით დაჭრილს მან გამიკეთა ოპერაცია... რამდენიმე საათის სიცოცხლე მაჩუქა... რა იცოდა თუ ისეთ ტანჯვას მომაყენებდა რაც მთელს ჩემს სიცოცხლეს აიწონიდა. თუმცა არ ვნანობ, არც ბრალს ვდებ, მან ხომ... მაგრამ თავიდან დავიწყებ თუ სულთამხუთავმა დამაცადა ყველაფერს გეტყვით, იქნება უფრო დამშვიდებით გავემგზავრო იმ ქვეყანას...

თავი XIII

— თქვენ ალბათ მიხვდით, მე არც ჩარგიევი, არც კოკრევი და არც მარკაროვი არა ვარ... ეს გვარები ყველა შერქმეულია, ყალბია...

მე... ქართველი ვარ. ქალაქ თბილისში დავიბადე, მამაჩემი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ერთ-ერთი მსხვილი სპეციალისტი იყო, დედა კი ინჟინერ-მშენებელი. თბილისში მუშაობდნენ საკავშირო მნიშვნელობის ობიექტზე, მამა მშენებლობის უფროსად, დედა ინჟინრად. ჩემი ბავშვობა ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე ლამაზი ეპიზოდია ჩემი ცხოვრებისა. მშობლები არაფერს მაკლებდნენ — ვსწავლობდი მუსიკას, უცხო ენას, ვიყავი სპორტსმენი; ყველაფრით უზრუნველყოფილი შევხვედი სიცოცხლეს. ხდება ხოლმე, ბავშვები სწორედ ამ უზრუნველი ცხოვრებისა და განებივრების გამო ცუდისკენ მიილტვიან, მაგრამ ჩემი მშობლები კარგი აღმზრდელები იყვნენ და მე პატარაობიდან მხოლოდ კარგს ვითვისებდი. ბედნიერები ვიყავით. მშობლები შემოგვხვეოდნენ მე და ჩემს პატარა დას, ეკას, ის ჩემზე ცხრა წლით უმცროსი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას ნაწნავებიანი, მუდამ მომღიმარი გოგონა. როდესაც გაჯავრდებოდა, ცრემლით აევსებოდა დიდი ცისფერი თვალები, სიხარულის დროს კი მისი თვალები ორ უძირო ლურჯ ტბას ემსგავსებოდა, რომელშიც ცისფერი ნაპერწკლები ციალებდნენ.

1938 წლის 10 იანვარი ჩემს მეხსიერებაში არასოდეს ამოიშლება. ამ დღეს ჩვენმა ოჯახმა უკანასკნელად იზეიმა ჩემი დაბადების დღე. შემდეგ დიდი უბედურება გადამხდა თავს...

ჩარგიევი წამით გაყუჩდა და განაგრძო: თქვენ ალბათ მიხვდით, რომ დაჭრის შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში მოხდა ისეთი რამ, რამაც მაიძულა აღსარება მეთქვა და გამომძიებისათვის მეამბა ის, რასაც სხვა ვითარებაში ვერ გაიგებდით. მაგრამ არ ვნანობ... სიცოცხლის უკანასკნელი საათები საამოდ დამიტკბო... ციალამ! ჩემი ბავშვობის მეგობარი და პირველი, ჭაბუკური სიყვარული, სასიკვდილო სარეცელზე შემახვედრა ბედმა...

მე და ციალა ერთ სკოლაში გავიზარდეთ, ერთად გავატარეთ ბედნიერი ბავშვობა და ისე შევეჩვიეთ, რომ უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებდით. დამამთავრებელ კლასში ეს შეჩვევა დიდ გრძნობაში გადაიზარდა. მე მივხვდი, რომ ციალას გარეშე გაძლება აღარ შემეძლო. ციალა როგორც სხვა დროს, უკანასკნელ დღეობაზეც ჩემი სტუმარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო უკანასკნელი დღე ჩვენი ბედნიერებისა... ღამით ჩემი მშობლები დააპატიმრეს, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ გაასამართლეს კიდეც. სასამართლომ ბრალდება დადასტურებულად ცნო და ორთავეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა შეუფარდა. დავრჩით მე და ჩემი პატარა ეკა უპატრონოდ. ადამიანები იმდენად გააბოროტა ჩემი მშობლების მძიმე დანაშაულმა, რომ არავინ გამოგვიწოდა დახმარების ხელი, ბინიდან გაგვასახლეს, სკოლაში ამითვალწუნეს. ამხანაგების დაცინვის საგანი გავხდი და ყოველივე ამან ისე ამომაგდო კალაპოტიდან, რომ სრულიად ავიღე ხელი მეცადინეობაზე და ოროსანთა რიგებში აღმოვჩნდი. მხოლოდ ციალას არ მივუტოვებივარ ამ მძიმე დღეებში, მაგრამ მომხდარი ამბით ისე ვიყავი განადგურებული, მის სიყვარულსაც ვერ მოვუარე. ბედმა ეს უბედურებაც არ მაკმარა. მშობლების გასამართლებიდან ორი კვირის შემდეგ ეკა ავად გახდა ფილტვების ანთებით და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ამ უკანასკნელმა დარტყმამ სრულიად შემაძულა ადამიანები, ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე, ყველას გავექეცი და მეც არ ვიცი, როგორ ჩაუვარდი ხელში ქურდების ბანდას და ვიღაც რუბენას. რუბენამ მალე გამოძერწა ჩემგან საკმაოდ მოხერხებული ქურდი. მისი ხელმძღვანელობით არა ერთი ავკაცობა ჩავიდინე საქართველოში. შემდეგ როდესაც საქართველოს მილიციამ ჩვენს კვალს მიაგნო და ჯგუფის წევრთა უმრავლესობა გააუნებლა, მე და რუბენა როსტოვში გავიქეცით... აქედან დაიწყო ჩემი ხეტიალი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. ვქურდობდით როსტოვში, ხარკოვში, მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში. რუბენა, მოსკოვში მილიციის სამძებრო მუშაკებთან შეტაკებისას მოჰკლეს, მე ცოცხლად შემიპყრეს და 7 წლით პატიმრობა მომისაჯეს. გავთავისუფლდი თუ არა, კვლავ ქურდობას მივყავი ხელი. უკვე დაოსტატებულს როსტოვში „საშა ჩერქეზი“ შემარქვეს. ეს სახელი მეხივით ქუხდა ქურდების წრეში. ოცი წელი ვიავკაცე. არ დარჩენილა საბჭოთა კავშირის თითქმის არც ერთი დიდი ქალაქი, სადაც კვალი არ დამეტოვებინოს. უკანასკნელად ვილნიუსში მოვიკალათე და ქურდების პატარა, მაგრამ საიმედო ბანდა შევაკოწიწე. იქვე გავიცანი ივანისელიც, რომელიც თბილისიდან იყო გადმოხვეწილი. არც მან, არც სხვამ არ იცოდა, რომ ქართველი ვიყავი და ჩემი სამშობლო საქართველო იყო. ივანისელს თავდაპირველად სხვებისგან განურჩევლად ვეკიდებოდი და უყოყმანოდ ვგზავნიდი სარისკო საქმეზე, მაგრამ ამ ორიოდე წლის წინათ მოხდა შემთხვევა, რამაც ივანისელი ჩემთვის ახლობელ ადამიანად აქცია: ერთ-ერთი მაღაზიის გაქურდვისას, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, მილიციას გადავეყარეთ. სროლაში მოვყევით. მე და ივანისელი ერთად გავრბოდით. უეცრად ტყვიამ ბარძაყში გამიარა და მოწყვეტით დავეცი. ნაცვლად იმისა, ადგილზე გავეთავებინე, ივანისელმა ზურგზე მოგიგდო, მოახერხა ალყიდან გასვლა და მეც გადამარჩინა. ძალზე გამიკვირდა ივანისელის საქციელი, მაგრამ ამის შემდეგ დავიახლოვე და ვცდილობდი სარისკო საქმეზე აღარ გამეგზავნა. ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. ერთი თვის შემდეგ ფეხზე დავდექი და კვლავ ძველი საქმიანობა გავაგრძელე.

ამის შემდეგ ძალიან გაჭირდა ვილნიუსში თავის შენახვა. ერთიერთმანეთზე აკრიფა მილიციამ ჩვენი ხალხი და ბოლოს ჩემი თავისუფლების აღსასრულიც დადგა. ერთ დილას მოულოდნელად დამაკავეს ქუჩაში. ძიება დიდხანს არ გაგრძელებულა... ოცდახუთი წლით გამგზავნეს შორეულ ბანაკში. ჩემი ჩავარდნის მიზეზი ციხეში გავიგე, მაგრამ შური არავიზე მიძიებია. უჩემოდ დაეხრჩოთ „საშკა ჩერქეზის“ კვალზე მილიციის მიმყვანი. დაჭერის დღიდან მხოლოდ გაქცევაზე ვფიქრობდი. ბანაკის პირობებს რომ გავეცანი, გაქცევის იმედი დავკარგე. თვით ტერიტორიიდან გასვლა არ იყო მაინცდამაინც ძნელი, სადარაჯო ზონიდან გასხლტომაც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარი სიძნელე შემდეგ იწყებოდა: ასორმოცდაათ კილომეტრზე მეტი უდაბური ტაიგა უნდა გამევლო და სიცივესა და ნადირს რომ გადავრჩენოდი, შიმშილი მომკლავდა.

რამდენიმე თვე გავიდა. გაქცევაზე ფიქრი არ მშორდებოდა. ყოველი პატიმრის ოცნება ხომ თავისუფლებაა. ერთ საღამოს მეზობელ ბანაკიდან პატიმარი მოვიდა, რომელსაც „ცაციას“ ეძახდნენ. მან ყოველგვარი შესავლის გარეშე შემომთავაზა ბანაკიდან გაქცევა და თავისი გეგმაც გამაცნო: ბანაკიდან ერთი წლის წინათ ვიღაც იაკუტი გაენთავისუფლებინათ, რომელიც სოფელ მედვედევოში, ბანაკიდან დაახლოებით ასორმოცდაათ კილომეტრში დასახლებულა. აი სწორედ ამ იაკუტთან დაემყარებინა კავშირი „ცაციას“ და მისი დახმარებით აპირებდა გაქცევას. ბევრი არ მიფიქრია. ოცდახუთი წელი ბანაკში ყოფნას, სიკვდილი მერჩია.

— კარგი, — დავთანხმდი უცბად, — იცის ვინმემ შენი განზრახვა?

— „ცაცია“ შეყოყმანდა.

— იცის ერთმა, ისიც უნდა წავიყვანოთ.

— ვინ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძველი ქურდია „პაპაშა“, გვარად გიორგაძე.

— გიორგაძე?

— ჰო, ქართველია, კავკასიელი.

— კარგი! როდის მივდივართ?

— მე თვითონ გაგაფრთხილებთ ამ დღეებში. იაკუტის შეტყობინებას ვუცდი.

— „პაპაშა“ პირადად გამაცანი.

— მოდის, — მიპასუხა „ცაციამ“ და წავიდა.

მეორე დღეს გიორგაძეს შევხვდი, ხოლო ერთი კვირის შემდეგ გაქცევისათვის უკვე ყველაფერი მზად იყო. დანიშნულ ადგილზე იაკუტი გველოდებოდა, რომელსაც ზონიდან 25 კილომეტრში პროდუქტიც მოემარაგებინა.

შევთანხმდით, მაგრამ წინა დღეებში გაუთვალისწინებელი ამბავი დატრიალდა: საგუშაგოზე „პაპაშას“ ვიღაც პატიმარი აუხირდა. მას „ცაცია“ გამოექომაგა, მოწინააღმდეგეს კი რამდენიმე ამხანაგი და ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. გიორგაძე მძიმედ დასჭრეს, „ცაციასთვის“ კი ბარი დაერტყათ და წელს ითრევდა.

— მაინც უნდა წავიდეთ, — მითხრა „ცაციამ“, — ახლა გამოძიება დაიწყება და შეიძლება ორი დღის შემდეგ სამუშაოზეც გამიყვანონ.

— „პაპაშა“? — ვკითხე მე.

— ვერ წამოვა. სიკვდილს თუ გადაურჩა, რამდენიმე თვე სამუშაოდაც აღარ ივარგებს. ქუთაისში ცოლი ჰყავს და მის სახელზე წერილს გვატანს.

გადაწყდა ჩვენ ორი გავქცეულიყავით. მეორე დღეს იაკუტიც გამოჩნდა და გაქცევის დღე დავნიშნეთ. საღამოს მე და „ცაცია“ ცალ-ცალკე გავემართეთ იაკუტთან შესახვედრად, მაგრამ დანიშნულ ადგილზე მხოლოდ მე მივაღწიე, „ცაცია“ პატრულს გადაეყარა და როგორც ჩანს, მოკლეს ან ცოცხლად შეიპყრეს.

მთელი ღამე ვიარეთ. იაკუტი მარჯვედ იკვლევდა გზას. გამთენიას, სადღაც ფუღუროში მოვიკალათეთ და მთელი დღე გვეძინა. საღამოს კი იაკუტმა შაქრის რაფინადით სავსე პატარა ჩანთა გადმომცა, პირობითი ნიშანი გამაცნო, სოფელ მედვედოვოს გზა მასწავლა და ვინაობაც დამისახელა.

ერთმანეთს გამოვეთხოვეთ, მაგრამ ბედმა ისურვა, რომ იაკუტის გზა მალე დამთავრებულიყო. ასიოდე ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, რომ საშინელმა ჭახანმა შესძრა ტაიგის მდუმარება. იაკუტის კვალს ავედევნე და მალე საშინელი სურათი დავინახე. თოვლისაგან დამძიმებული ცალკე მდგომი მოხრილი ფიჭვი ვინ იცის რამდენი წელი თურმე იმიტომ იმაგრებდა თავს, რომ წაქცევისას იაკუტისათვის სიცოცხლე წაერთმია. გადატეხილი ხე თავში დასცემოდა იაკუტს და ქვეშ მოეტანებია. შევეცადე ხისგან გამენთავისუფლებინა და როცა გვერდზე გავათრიე უთავო ცხედარიღა შემრჩა ხელში. საშინელ დარტყმას თავი მოეგლიჯა მისთვის.

გადავწყვიტე მისი სიკვდილი ჩემს სასარგებლოდ გამომეყენებინა. სწრაფად გავიძვრე ბანაკში მიღებული ცხვრის ქურქი. იაკუტს თბილი ბეწვი გავხადე და ჩემი ქურქი ჩავაცვი. როცა ყველაფერს მოვრჩი, ტაიგიდან გავედი და გზას დავადექი.

აღარ გიყვებით რა გაჭირვება გადავიტანე, ვიდრე დასახლებულ პუნქტს მივაღწევდი. იაკუტი მართალი გამოდგა. ვუთხარი თუ არა პირობითი ნიშანი, მიმიღეს, მომიარეს. მთელი ერთი თვე მათთან ვიყავი, ხოლო როდესაც კარგად მოვმაგრდი, საბუთები მიშოვეს და გამომისტუმრეს.

ორი თვის შემდეგ უკვე სამშვიდობოს ვიყავი. ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოსკოვში ჩარგიევის სახელზე სავსებით საიმედო საბუთები ვიშოვნე. საცხოვრებლად ამჯერად ტაშკენტი ავირჩიე. მოვეწყვე ტაქსომოტორის პარკში დისპეტჩერად და ჩემი ხალხის ძებნას შევუდექი.

ერთი თვის შემდეგ ძველ საქმიანობას მივყავი ხელი. ივანისელმა ტაშკენტში მომნახა.

ასე მიდიოდა ჩემი დღეები. ერთ საღამოს ივანისელი ჩემთან დარჩა ღამის გასათევად, რატომღაც ძილი გაგვიტყდა. დიდხანს ვისაუბრეთ, ბოლოს თბილისში წამოსვლა გადავწყვიტეთ.

თბილისში 16 დეკემბერს ჩამოვედი და სასტუმრო „თბილისში“ დავბინავდი. წყალტუბოში ტანიასათვის ჩამოვედი, სადაც მას ოთხი კვირის შემდეგ ველოდი.

ორი დღე სასტუმროდან არ გამოვსულვარ. მესამე დღეს გვიან ღამით ივანისელი მოვიდა და თან კიტოვანი მოიყვანა. იმის მიხედვით, თუ როგორ მორიდებით მექცეოდა კიტოვანი მე მივხვდი, რომ ივანისელს ჩემი პიროვნება უკვე გაეცნო მისთვის. კიტოვანმა ქუთაისში წასვლა და საიუველირო მაღაზიის გაქურდვა შემოგვთავაზა. უყოყმანოდ მივიღეთ მისი წინადადება და გიორგაძის ბინის გამოყენების მიზნით „პაპაშას“ წერილი გადავეცი. კიტოვანი გამხიარულდა და რადგან იცოდა, რომ „პაპაშას“ ქურდულ საქმეებს ცოლი არ თანაუგრძნობდა, გადაწყვიტა პატიმრობიდან ახლად განთავისუფლებულს ინკინრად გაესაღებინა თავი...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი საუკუნე ხალხის სამსახურში

ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა მილიციამ 50 წლის მანძილზე. 21 ნოემბერს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში თავი მოიყარეს რესპუბლიკის მილიციის ორგანოების მუშაკებმა, თბილისის მშრომელებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რათა ედღესასწაულათ საბჭოთა მილიციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

საზეიმო კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ პრეზიდიუმში მყოფ ამხანაგებს **ვ. მუავანაძეს, დ. სტურუას, რ. ფრუიძეს, გ. ძოწენიძეს, გ. ჯავახიშვილს, შ. კიკნაძეს, ო. ლოლაშვილს,** მინისტრებს, ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვ. ჩოფიკაშვილმა.**

შეკრებილთა ტაშის გრიალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ** წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის მილიციის მუშაკებისადმი.

მოხსენება საბჭოთა მილიციის 50 წლის სახელოვანი გზის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა, შინაგანი სამსახურის მესამე რანგის გენერალმა **ე. შევარდნაძემ.**

მომხსენებელმა ილაპარაკა ლურჯფარაჯიან ადამიანების მაღალ პასუხისმგებლობაზე, საბჭოთა მილიციის ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვან გზაზე, მათ როლზე სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის საქმეში.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკებს გულთბილად მიესალმნენ და მიულოცეს დღესასწაული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ა. ზურაბაშვილმა,** კომუნისტური შრომის დამკვრელმა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატმა **ზ. სარალიძემ,** პარტიის წევრმა 1917 წლიდან **ვ. ნადარეიშვილმა,** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა **ზ. მუზაშვილმა,** რესპუბლიკის პროკურორმა **პ. ბერძენიშვილმა,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. მაისურაძემ,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ბ. კაციტაძემ.**

პიონერული საყვირის ხმაზე სცენისაკენ მიემართებიან და ადამიანთა სიმშვიდის დამცველებს მხურვალედ მიესალმებიან თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი ძერჟინსკელები და მეხანძრეები, თბილისის სკოლების პიონერები და მოსწავლეები.

საზეიმო კრების დასასრულს გაიმართა კონცერტი.

დ. ნანოგაშვილი

საბჭოთა სასამართლოს 50 წელი

საბჭოთა სასამართლოს ნახევარი საუკუნე შეუსრულდა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა სასამართლოს ორგანოების მუშაკთა და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც გაიმართა 6 დეკემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **დ. სტურუა, ა. ინაური, ო. ლოლაშვილი, ო. ჩერქეზია,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი **ი. შევარდნაძე,** პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს, მილიციის ორგანოების წარმომადგენლები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. ბუხრაშვილმა.**

საზეიმო კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმებას რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაკებისადმი, რომელიც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.**

სხდომის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის **ს. ქაჯაიას** მოხსენება — „საბჭოთა სასამართლოს 50 წელი". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ნახევარი საუკუნის მანძილზე, მტკიცედ დგანან რა სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების სადარაჯოზე, სასამართლოს ორგანოების მუშაკები დიდ და მაყოფიერ მუშაობას ეწევიან საბჭოთა ნოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისა, დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის საქმეში.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის პროკურორი **პ. ბერძენიშვილი,** საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი **ე. შევარდნაძე,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი **ვ. ბენიძე,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტრიბუნალის თავმჯდომარე **კ. კომნატი,** საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. პაიჭაძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი **ვ. აბაშმაძე.**

დასასრულ, საზეიმო კრების მონაწილეებს უჩვენეს რუსთაველის სახელობის თეატრის დადგმა — „მზიანი ღამე".

დ. ნ.

---

50 წელი სახელმწიფო უშიშროების საღარაჯოზე

50 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც შეიქმნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოები. 50 წელია, რაც უხილავი ფრონტის მებრძოლები — ჩეკისტები იცავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრებს საბჭოთა ქვეყნის გარეშე და შინაური მტრების წინაშე ბრძოლაში, შეაქვთ თავიანთი წვლილი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მიღწევების განმტკიცების საქმეში.

ბევრი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში კომუნისტური პარტიის აღზრდილმა საბჭოთა საქართველოს ჩეკისტებმაც.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ასობით მშრომელი შეიკრიბა 18 დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რათა მიელოცათ საქართველოს ჩეკისტთა სახელოვანი კოლექტივისათვის ღირსშესანიშნავი იუბილე — სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების 50 წელი.

თეატრში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებთან ერთად შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები, თბილისის გარნიზონის მეომრები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **პ. როდიონოვი, დ. სტურუა, ა. სტუჩენკო, რ. ფრუიძე, გ. ჩოგოვაძე, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ო. ჩერქეზია,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები, თბილისის სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების მოწინავე მუშაკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. ბუხრაშვილმა.**

დიდებულად ჟღერს საბჭოთა სახელმწიფოსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს **პ. როდიონოვს.** შეკრებილთა ტაშის გრიალში მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკებისადმი ღირსშესანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით.

მოხსენება „სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების 50 წელი“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. ინაურმა.**

შეკრებილებმა ყურადღებით მოისმინეს, თუ რა ვაჟკაცურად და უშიშრად იბრძოდნენ საბჭოთა ჩეკისტები დიდი ოქტომბრის მონაპოვართა განმტკიცებისათვის, რა უანგაროდ ემსახურებიან ისინი დიად სამშობლოს.

ქართველ ჩეკისტებს სახელოვანი იუბილე მიულოცეს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა **ე. შევარდნაძემ,** საქართველოს სსრ პროკურორმა **პ. ბერძენიშვილმა,** რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. ცქიტიშვილმა,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ი. ვეკუამ,** თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორმა **ი. ხვედელიანმა,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა, პოლიტსამმართველოს უფროსმა **თ. სტეპჩენკომ,** ძველმა ბოლშევიკმა **დ. ლომაძემ,** საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ი. გამრეკელმა.**

მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა მჭიდრო კავშირი აქვთ ჩეკისტებს ჩვენს საზოგადოებრიობასთან, მშრომელთა კოლექტივებთან და აღნიშნეს, რომ ეს კავშირი სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. საბჭოთა მოქალაქენი, უწევენ რა დახმარებას სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების ორგანოებს იმპერიალისტურ დაზვერვათა ჯაშუშური და სხვა ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთაში, ამასთან იჩენენ გაბედულობასა და მამაცობას.

საზეიმო კრების მონაწილეებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ქართველ ჩეკისტთა კოლექტივი, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი საბრძოლო რაზმია, კვლავაც თავდადებით იშრომებს, სანიმუშოდ შეასრულებს ჩვენი დიადი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის საპატიო და პასუხსაგებ ამოცანებს.

საზეიმო კრება დახურულად ცხადდება. კვლავ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

დასასრულ საზეიმო კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერაციული თათბირი

მიმდინარე წლის 24 იანვარს გაიმართა ლაგოდეხის რაიონის პროკურატურის, მილიციის, საგამომძიებლო ჯგუფისა და სასამართლოს მუშაკთა ოპერატიული თათბირი.

მოხსენებით — „გამოძიების და მოკვლევის ხაზით 1967 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები და მომავალი ამოცანები“ — გამოვიდა რაიონის პროკურორი **ალ. ვაიტაძე.**

ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედია, — ამბობს მომხსენებელი, — სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა, მართლწესრიგის დარღვევათა აღმოფხვრა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდია სასამართლო — პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების როლი, რომლებიც მოწოდებული არიან არა მარტო დასაჯონ დამნაშავენი, არამედ გამოასწორონ, აღზარდონ ისინი, დაუბრუნონ პატიოსან ცხოვრებას.

გასულ წელს განხორციელდა სერიოზული ღონისძიებანი ადმინისტრაციის ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. რაიონში შემცირდა სისხლის სამართლის დახაშაულთა რიცხვი, ამაღლდა გამოძიების ხარისხი და დაცულია გამოძიების ვადები.

ამასთან ერთად, იყო შემთხვევები საქმის უსაფუძვლო აღძვრისა, მილიციაში მოქალაქეთა უკანონო დაკავებისა, საგამომძიებლო ჯგუფში გამოძიებულ საქმეებზე საპროცესო ნორმების დარღვევისა.

მომხსენებელი შეჩერდა საბჭოთა კანონების პროპაგანდის მნიშვნელობაზე, ილაპარაკა ამ მიმართებით ჩატარებულ ნაყოფიერ ნუშაობაზე.

პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, — ამბობს დასასრულ ალ. ვაიტაძე, — ჩვენი რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისათვის, პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მილიციის რაიგანყოფილების უფროსმა **მ. ლეჟავამ,** პროკურორის თანაშემწემ **ბ. ოქროშიძემ,** უბნის რწმუნებულმა **ს. წიქარიშვილმა,** უფროსმა სახალხო ავტოინსპექტორმა **ა. ქუფარაშვილმა,** საგამომძიებლო ჯგუფის გამომძიებელმა **ვ. ორჯონიკიძემ.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. უნგიაძემ.**

ლ. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე 1967 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

მოწინავე და სარედაქციო წერილები

სახელმწიფო მმართველობის ლენინური პრინციპების ზეიმი, № 6 გვ. 3–10

საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის

გ. ინწკირველი — საბჭოთა სახელმწიფო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე, № 6 გვ. 25–35.

გ. ჟვანია — საერთაშორისო-სამართლებრივი მნიშვნელობა დეკრეტისა ზავის შესახებ, № 4 გვ. 3-14.

ხ. როგავა — სოციალისტური კანონიერების ლენინური საფუძვლები, № 6 გვ. 42–50.

საბჭოთა საქართველოს მართლმსაჯულების სათავეებთან, № 2 გვ. 6–15, № 3 გვ. 22-29, № 5 გვ. 15–28, № 6 გვ. 13-25.

ლ. სურგულაძე — საბჭოთა საქართველოს პირველი წლების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი, № 4 გვ. 22–29.

გ. ტყეშელიაძე — სისხლისსამართლებრივი ნორმები ოქტომბრის დეკრეტებში № 4 გვ. 14–22.

ნ. ფარბეროვი, გ. მანოვი — ლენინური იდეები სოციალისტური საზოგადოების სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, № 5 გვ. 3–14.

ბ. ფარვიზფური — ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობა ირანის სუვერენიტეტის აღორძინებისათვის, № 6 გვ. 57–63.

ვ. შანიძე — სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის განვითარება საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, № 6 გვ. 63-68.

ა. შუშანაშვილი — ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა სასამართლოს შექმნა, № 6 გვ. 50–57.

ვ. ჭანია — საბჭოთა დემოკრატიის საწყისებთან, № 6 გვ. 32–42.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ისტორია, ადმინისტრაციული, საერთაშორისო სამართალი

ვ. აბაშმაძე — დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, № 2 გვ. 56-61.

ვ. აბაშმაძე — აბსოლუტიზმის იდეები დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ მოძღვრებაში, № 5 გვ. 57–67.

ა. აბესაძე — კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხისათვის, № 4 გვ. 29–33.

რ. დეკანოზოვი — შპიცბერგენის ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების საკითხები, № 5 გვ. 51-57.

ი. დოლიძე — ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ერთი ადგილის აღდგენისათვის, № 4 გვ. 58-64.

გ. ნადარეიშვილი — საჯარო სასჯელები გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში, № 1 გვ. 60-69.

გ. ნადარეიშვილი — „ახსნილისა“ და „მოკიდებულის“ ცნებებისათვის, № 4 გვ. 61–68.

გ. პაიჭაძე — რუსეთში ქართლ-კახეთის 1752 წლის ელჩობის საკითხისათვის, № 2 გვ. 61-68.

რ. ჩიჩუა — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის გაფართოება ეკონომიურ რეფორმასთან დაკავშირებით, № 4 გვ. 33-39.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა

ვ. მაისურაძე, გ. მოსესიანი — სამართალში მიცემის სტადიის ზოგიერთი საკითხისათვის, № 3 გვ. 41–51.

მ. მაჭავარიანი — სქესობრივ დანაშაულთა ზოგიერთი საკითხისათვის, № 3 გვ. 29-41.

ს. მშვენიერაძე — სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადები, № 1 გვ. 7–19.

მ. უგრეხელიძე — გაუფრთხილებლობის მასშტაბი ინგლის-ამერიკის სისხლის სამართალში, № 4 გვ. 65-71.

ს. ქველიძე — შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხი, № 2 გვ. 23-32.

თ. შავგულიძე — ნასამართლობის გაქარწყლება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, № 4 გვ. 71-75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. შუშანაშვილი — საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი, № 1 გვ. 19-29.

თ. წერეთელი — სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში, № 2 გვ. 17-23.

თ. წერეთელი — ბრალის ცნების განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალში, № 4 გვ. 39-47.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი, არბიტრაჟი

ვ. გეწაძე — საბჭოთა საოჯახო სამართლის ისტორიისათვის საქართველოში, № 1 გვ. 38-45.

გ. დევდარიანი — შერეული კომლის საკითხისათვის, № 3 გვ. 58-67.

ა. კომახიძე — დაუმთავრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვა, № 1 გვ. 29-38.

თ. ლილუაშვილი — სასამართლოს მიერ სპეციალური ცოდნის გამოყენების ფორმები სამოქალაქო სამართლის პროცესში, № 2 გვ. 32-42.

თ. ლილუაშვილი — სახელმწიფო მმართველობისა და პროფკავშირის ორგანოების დასკვნების გამოყენება სამოქალაქო სამართლის პროცესში, № 4 გვ. 53-58.

რ. შენგელია — მოქალაქეებთან დადებული საბანკო სესხის ხელშეკრულების იურიდიული ბუნების ზოგიერთი საკითხის შესახებ, № 5 გვ. 35-45.

თ. ცაგურია — კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განაჩენების თუ დადგენილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, № 4 გვ. 47-57.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა, ადვოკატურა

პ. ბერძენიშვილი — განუხრელად განვახორციელოთ საპროკურორო ზედამხედველობა, № 3 გვ. 14-22.

პ. ბერძენიშვილი, ი. ხიონიდი — დავიცვათ სოციალისტური საკუთრება დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, № 5 გვ. 28-35.

გ. იოსავა. გ. ბახტაძე—ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი დავების განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ, № 3 გვ. 51-58.

ვ. მაისურაძე — ხალხი და მართლმსაჯულება, № 1 გვ. 3-7.

პ. როდიონოვი — სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, № 3 გვ. 3-14.

გ. ცუცქირიძე — ავტოავარიის საქმეებზე აუცილებელია დადგინდეს დაზარალებულის როლი დამდგარ შედეგში № 2 გვ. 47-51.

დისკუსია, კოლეგიკა, რეკლიკა

ბ. ბარათაშვილი — ადვოკატის მოვალეობისა და ავტორიტეტის შესახებ, № 1 გვ. 45-56.

ნ. კევლიშვილი — კიდევ ერთხელ ენის სიწმინდის დაცვის შესახებ № 1 გვ. 56-60.

გ. ლეჟავა — ადვოკატთა საქმიანობის მცდარი შეფასება № 2 გვ. 51-56.

პორტრეტები, ინტერვიუ, სასამართლო ქრონიკა, მხატვრული ნაწარმოებები

შ. ბათიაშვილი — შეხვედრა როსტოვში № 5 გვ. 70-76.

შ. გვეტაძე — ნაპრალი, № 1 გვ. 79-89, № 2 გვ. 74-88, № 3 გვ. 79-81, № 5 გვ. 80-87, № 6 გვ. 89-96.

მ. ვაყელიშვილი — გულის კარნახით, № 6 გვ. 87-89.

ლ. ისაკაძე — გული კვლავ ახალგაზრდულად ძგერს, № 2 გვ. 71-74.

ფ. ლომაშვილი — გ. თ. სტურუა, № 6 გვ. 68-77.

ო. მგელაძე — მკვლელობა ზღვისპირა ქალაქში, № 1 გვ. 76-79.

ზ. მესენგისერი — იუსტიციის ვეტერანი, № 1 გვ. 73-75.

დ. ნანობაშვილი — სამოცდათექვსმეტი გაზაფხული, № 2 გვ. 68-71.

დ. ნანობაშვილი — ქრისტეს თვითმარქვია მოციქულები საბრალდებო სკამზე, № 3 გვ. 71-76.

ბ. ჩეჩელაშვილი — 36 წელი პროკურატურის ორგანოებში, № 1 გვ. 75-76.

ლ. ჭანტურია — დამსახურებული ავტორიტეტი, № 3 გვ. 76-79.

მ. ჯავახიშვილი — სასამართლო, № 5 გვ. 76-80.

ს. ა. ქავთარაძე — № 5 გვ. 78-87.

მოგონებები

ა. ბურთიკაშვილი —იოსებ ბარათაშვილი № 1, გვ. 69-73.

სხვადასხვა

დ. ფურცელაძე — ქართული სამართლებრივი ტერმინების ძიებისათვის, № 4 გვ. 75-81.

ნ. წერეთელი — იურიდიული სამსახურის სრულყოფისათვის, № 2 გვ. 42-47.

ოფიციალური მასალა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 19 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ, № 2 გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ, № 2 გვ. 4.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალებიდან, № 5 გვ. 14–15.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება № 4 „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“, № 5 გვ. 65–70.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ამნისტიის შესახებ“, № 6 გვ. 10–13.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია № 1 გვ. 93–96.

ო. გამყრელიძე — თ. წერეთელი, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი, № 4 გვ. 83–88.

ლ. გიორგაძე — საინტერესო გამოკვლევა თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შესახებ № 4 გვ. 88-91.

მ. გურვიჩი — ფუნდამენტალური ნაშრომი საბჭოთა სამოქალაქო საპროცესო სამართალში № 5 გვ. 87-91.

ვ. ლორია — პირველი ქართული სახელმძღვანელო ადმინისტრაციულ სამართალში, № 5 გვ. 91–96.

ი. ფუტკარაძე — საყურადღებო ნაშრომი საბჭოთა სახელმწიფო აპარატის სრულყოფის საკითხებზე № 4 გვ. 81-83.

არბიტრაჟის პრაქტიკა № 3 გვ. 90-93.

ინფორმაცია № 1 გვ. 89–93, № 2 88–96, № 3 გვ. 83–87, № 4 გვ. 91-96, № 5 გვ. 96.

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას № 3 გვ. 67–71.

მმაჩის ორგანოების პრაქტიკა № 3 გვ. 87–90.

სასამართლო პრაქტიკა № 3 გვ. 93–96.

ნეკროლოგი

ზ. ნ. ნარიმანოვი № 1 გვ. 96.

ო. მ. მგელაძე № 2 გვ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. ნ. ინწკირველი

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, დოცენტი ზაქარია ნესტორის ძე ინწკირველი.

ზ. ინწკირველი დაიბადა 1893 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში. მშობლები ბავშვობაშივე დაეხოცა და ადრე დაიწყო შრომითი საქმიანობა. დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ბახვში, შემდეგ დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. 1919 წელს შევიდა პარიზის კომერციულ აკადემიაში, რომელიც დაასრულა 1923 წელს და დაეუფლა ეკონომისტის სპეციალობას, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლებაც. 1934 წელს საკვალიფიკაციო კომისიამ მიანიჭა დოცენტის წოდება.

1923 წლიდან ზ. ინწკირველი იყო განსახკომის სააღრიცხვო-ეკონომიური კურსების გამგე და ლექტორი, 1929-33 წლებში საფინანსო ეკონომიური ინსტიტუტის საკოლმეურნეო ფაკულტეტის დეკანი და დოცენტი. დიდხანს მუშაობდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიაში პრეზიდიუმის წევრად. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე გამოქვეყნებული შრომა და სახელმძღვანელო. დაჯილდოებული იყო სსრ კავშირის მედლებით.

გამოცდილი პედაგოგისა და მეცნიერის, თავმდაბალი და უანგარო ადამიანის ზ. ინწკირველის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მისი ამხანაგებისა და მახლობლების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. ნაკაიძე



გარდაიცვალა სკკპ წევრი 1921 წლიდან ალექსი ივლიანეს-ძე ნაკაიძე.

ა. ი. ნაკაიძე დაიბადა 1885 წელს ქ. ოზურგეთში, გლეხის ოჯახში. 1894 წელს შედის ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მაგრამ მძიმე მატერიალური პირობების გამო მეშვიდე კლასიდან სწავლას თავს ანებებს და დამოუკიდებელ შრომით ცხოვრებას იწყებს. 1905 წელს ა. ნაკაიძე ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობაში მუშაობდა, სადაც იგი დაუკავშირდა ქუთაისის რევოლუციურად განწყობილ მუშებს და ინტელიგენციას. 1921 წელს იგი კომპარტიის რიგებში შევიდა.

1921-22 წლებში ა. ნაკაიძე ქუთაისის მაზრის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგედ მუშაობდა, 1922-23 წლებში დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის წევრად, 1923-27 წლებში დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრად, 1927-29 წლებში ზესტაფონის მაზრის სასამართლოს თავმჯდომარედ, 1929-32 წლებში ქუთაისის გაერთიანებულ სასამართლოს თავმჯდომარედ, 1932-33 წლებში თბილისის გაერთიანებულ სასამართლოს თავმჯდომარედ, 1933-35 წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის სასამართლოს თავმჯდომარედ, 1935-37 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსთან არსებული განსაკუთრებული კამერის სასამართლოს თავმჯდომარედ, 1937-1945 წლებში კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგედ. 1945 წელს ა. ნაკაიძე დაენიშნა პერსონალური პენსია.

ა. ნაკაიძე იყო პრინციპული, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანი.

ა. ნაკაიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩებ მისი მეგობრების, ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსის შედეგები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა და ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქციამ გამოაცხადეს კონკურსი საქართველოს ადვოკატურის ისტორიისა და სასამართლო მოღვაწეების შესახებ საუკეთესო ნაშრომისათვის.

ჟიურიმ განიხილა წარმოდგენილი მასალები და მიიღო გადაწყვეტილება.

პირველი პრემია მიეკუთვნა ადვოკატ ა. ხოჭოლავას ნაშრომს — „მცირე მოგონება მასწავლებელზე" (იბეჭდება ჟურნალის ამ ნომერში);

მეორე პრემია — ადვოკატ ვ. სიდამონიძეს ნარკვევებისათვის საქართველოს ადვოკატურის ისტორიიდან;

მესამე პრემიები მიეკუთვნა ლ. ისაკაძის ნარკვევს „ერთი საღამო მოსამართლესთან" და ადვოკატ ა. ლომინაძის ნარკვევს „იუსუფ ცივაძე".

პრემირებული ნაშრომები დაიბეჭდება ჟურნალის უახლოეს ნომრებში.

ჟურნალის ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად რეკომენდაცია მიეცა აგრეთვე რამდენიმე ნაშრომს.

634/A

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР